

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო  
ძ ი ე ბ ა ნ ი

**XL**

Linguistic  
P a p e r s

*ედღვნება ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას*

თბილისი 2018 Tbilisi

**„საენათმეცნიერო ძიებანის“**

XL წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

**„Linguistic Papers“** volume 36 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ნ. დარასელია** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **N. Daraselia** (editor of the English part), **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ნოდარ არღოთელი

**ზოგი ნახურ-დაღმსტური ლექსიკური ნასმსობანი  
ხემსურულ და თუშურ დიალექტებში<sup>1</sup>**

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისა და მათი მოსაზღვრე კავკასიელი ხალხების მჭიდრო ურთიერთკავშირების შესახებ. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩრდილო-კავკასიელებთან ხევსურებისა და თუშების მრავალსაუკუნოვან მეზობლობასა და ხანგრძლივ ისტორიულ კონტაქტებზე, რამაც ფართო ასახვა პოვა, ზოგადად, ქართული ენის მთის დიალექტების, კონკრეტულად, ხევსურულისა და თუშური კილოების ლექსიკურ საგანძურში. ამას ნათელყოფს ის საგანგებო დაინტერესება, რომელსაც ამ საკითხებისადმი იჩენს არაერთი მკვლევარი: ივ. ჯავახიშვილი (1937), ნ. ტრუბეცკოი (1973), არნ. ჩიქობავა (1953; 1987), გ. კლიმოვი (1972), ტ. გუდავა (1954), თ. გონიაშვილი (1940), ევგ. ჯივანაშვილი (1953), დ. იმნაიშვილი (1959), ალ. ჭინჭარაული (1960; 1975; 1986; 1987), თ. უთურგაიძე (1960; 1966; 1987), ყ. მიქაილოვი (1979; 1999), ს. გუმაშვილი (1986), მ. ხალილოვი (2004) და სხვ.

ზემოხსენებულ მკვლევართა უმრავლესობა სპეციალური განხილვის საგნად აქცევს არა მხოლოდ დარგობრივ ლექსიკას, არამედ სხვა სახის სახელებსაც. ცხადია, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებანი, ისე ჩვენს ხელთ არსებული ენობრივი მასალა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ლექსიკური შეხვედრები ძირითადად შეპირობებულია ექვსი ფაქტორით (ზვიადაური 1997: 97; შდრ. გუდავა 1954: 701). განსახილველ ენებსა და დიალექტებში შესაბამისი ლექსემა:

- 1) სხვა ენობრივი წყაროდან მომდინარეობს;
- 2) გენეზისურად საერთო წარმომავლობისა (ამას მისი ეტიმოლოგია ცხადყოფს);
- 3) ერთი ენიდან მეორეში არის შეთვისებული;

<sup>1</sup> იხ. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების XII სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2012, გვ. 5.

- 4) ბგერწერითი (resp. ხმაბაძვითი) ლექსიკის კუთვნილებაა;
- 5) ფორმოზრივი მსგავსებით ტიპოლოგიური ხასიათისაა;
- 6) უკუსესხების შედეგია, რაც არაიშვიათია საკვლევ ენათა სინამდვილეში.

ამჟამად ჩემი განხილვის საგანია ნახურ-დაღესტნურ ენათა ზოგი სახელი, რომელთა პოვნიერება ქართული ენის მთის დიალექტებში ეჭვგარეშეა.

I. ნახურ ენათაგან შეთვისებული ლექსიკა:

1. ჩეჩნ. **შოდო**, **შნდ** (ჭებ.), **შოტო** (შარ.), ინგ. **შოდა**, ბაცბ. **შატ**<sup>1</sup>, შდრ. ხევს., მოხ. **შატ**-ი/-ა „id.“, თუშ. **შატ**-რ „ყულფი“, „შეკვრა“, „კვანდი“. **შატ**-ი ფშაურ დიალექტშიც იჩენს თავს და გ. ხორნაული ამგვარ მნიშვნელობას უძებნის: „წყლიანი თოვლი, კარგად რომ გუნდავდება“ (ხორნაული 2000: 268]. ვაჟა-ფშაველასთან დასტურდება **შატივ** ფორმა, რომელსაც ალ. ჭინჭარაული ასე განმარტავს: „ყულფად, მარყუჟად“ (ჭინჭარაული 1969: 292). ამ ფორმის გვერდით გვხვდება **შატა**, რომელსაც ხევსურულში ოდნავ გადახრილი მნიშვნელობა მოეპოვება: „პერანგის ფარაგის შასაყრელი, ღილკილოსად გადასაცემელი ყულფი“ (მივლ. მას.). დაახლოებით ანალოგიურად არის განმარტებული ქეგლ-ში: „ღილზე გადასაცემელი ყულფი (მაფის ან თასმისა) (ქეგლ 1962: 671).

ყურადღებას იქცევს ინგილოურ დიალექტში თავჩენილი ფორმა **შატაი** „სახედ წინდის ჭრელია ერთგვარი“<sup>2</sup>. ამგვარი მნიშვნელობა პარალელს პოულობს ხევსურულ მონაცემთან: „შატაიან თათნრ შატაით ნაქსოვნი“ (მივლ. მას.).

მიუხედავად იმისა, რომ **შატ**-ი ფართოდ გავრცელებული ლექსემაა ქართული ენის დიალექტებში და ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშიც დასტურდება, იგი მაინც ნახურ ენათა კუთვნილება ჩანს, რადგანაც ამ ენებში ბგერათშესატყვისობას იძლევა: ჩეჩნ. : ინგ. **დ** :

<sup>1</sup> ამავე სახელზე უწინაც გვქონია მსჯელობა [იხ. ზვიადაური 1997: 98], თუმცა მისი გამეორება გამოწვეულია დამატებითი მასალისა და ზოგი რეალის გამოვლენით. კერძოდ, პირად საუბარში ალ. ჭინჭარაული ვარაუდობდა, რომ მისი მშობლიური სოფლის – შატილის შედგენილობაში ძირეულ მორფემად **შატ**-ი იყო საგულევებელი, რომელიც ქართული გაფორმებით (**-ილ**) გვხვდება. მართლაც, შატილის ციხესიმაგრის მიმდებარედ ორი მდინარის – გუროსა და წმიდაწყლის – წყალთშესართავია. სწორედ ამ სახელდებაში გამოკრთის იმ საზოგადოების თვალსაზრისი, რომელმაც ხერთვისი კვანძად (შატად) გააიზარა.

<sup>2</sup> შდრ. **შარტოვანი** „ჭრელად ნაკერი ფარდა ანუ ყავალული“ [საბა 1993: 280].

ბაცბ. ტ. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა ქართულში თავდაპირველად ბაცბური ენიდან შემოსულიყო.

2. ჩეჩნ., ინგ. ქოგ, ბაცბ. ქოკ<sup>1</sup>, ხუნძ. ქტაჰ (შდრ. თუშ. ქოკ-ებ-რ „თოვლზე სასიარულო თვითნაკეთი თხილამურები“) 1. „ფეხი“; 2. „ნაბიჯი“.

თ. უთურგაიძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქოკ-ებ-ში ძირად გამოიყოფა ქოკ (ბაცბ., შდრ. ჩეჩნ.-ინგ. ქოგ „id.“) და იგი დაუკავშირდება ბაცბურ ფორმას (უთურგაიძე 1966: 65). მართალია, ხევსურულ დიალექტში ეს სახელი არ დასტურდება, გვაქვს ქოჭი („საბარგე პირუტყვის კეხი“ – ალ. ჭინჭარაული), რომელიც შეიძლება გენეზისურად სწორედ ქოკ-ს უკავშირდებოდეს, როგორც ფეხისმაგვარი ნაწილებისაგან შემდგარი ნაკეთობა. კ>ჰ გარდაქმნა (პალატალიზაცია აბრუპტიული საფეხურის გავლით) სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ხევსურულში უკანაენისმიერი კ-ს აფრიკატიზაცია შემჩნეულია (ჭინჭარაული 1960: 24), მაგ.: წიწიშო < კიკიშო, წიწა < კეკა...

3. ბაცბ. ფსტუნ „ცოლი“. ეს სახელი კოტე ჭრელაშვილს თავის წოვა-თუშური ენის გრამატიკისათვის დართულ ლექსიკონში გამარტივებული ფორმით (ფსტუ „id.“) შეაქვს. ისევე, როგორც ჩეჩნ.-ინგ. ზუდ („ქალი“, „ძუკნა“) ლექსემას თუშურში ზუტ („Vagina“) ეთანადება (უთურგაიძე 1966: 19), ბაცბ. ფსტუ („ცოლი“) სახელს მნიშვნელობის დავიწროვებით ხევსურულში შეესაბამება ფსუტ-ი („Vagina“) < ფსტუ (მეტათეზისით).

ვფიქრობ, ენის ამგვარი ქცევა შეპირობებული ჩანს ერთგვარი ევფემისტური აზროვნებით, რაც გულისხმობს უხერხულ სიტყვათა სხვა ენაზე გამჟღავნებასა და გამოთქმის სიადვილეს.

4. ჩეჩნ., ინგ., ბაცბ. ჰიმ „ერთგვარი მცენარეა, უფრო ყანებში მოდის, მისი ღერო და ძირი იჭიმება, კარტოფილისნაირ ძირს იკეთებს“ – განმარტავს თ. უთურგაიძე (უთურგაიძე 1966: 69). ყურადღებას იქცევს ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში თავჩენილი ჰყიმი // ჰყიმა ანალოგიური მნიშვნელობით. ხევსურულ დიალექტში გვხვდება ჰიმა („id.“), ხოლო თუშურში – ჰიმბ („id.“). ვარაუდობენ, რომ იგი პირდაპირ ნახურ ენათაგან არის შეთვისებული (უთურგაიძე 1966: 69).

---

<sup>1</sup> ცნობილია აკ. შანიძისეული ეტიმოლოგია ტაპონიმ ლიქოკისა (ლამ + ქოკ „მთის ფეხი“).

იბადება კითხვა: თუკი **კიმა** წარმომავლობით ნახურია და ქართულში **ყ** განვითარებულია, მაშინ რამ გამოიწვია მისი გაქრობა მთის დიალექტებში? ანდა: თუკი დიალექტებში **კიმ** ფორმით შემოვიდა, მაშინ წყარო-ენებში რამ შეაპირობა **კ > ჭყ** პროცესი?

გარდა ამისა, თუკი სწორია **ჟყიმა**-ს დაკავშირება **კიმა**-სთან, მაშინ უცნაურობას ვაწყდებით იმ თვალსაზრისითაც, რომ საკვლევ დიალექტებში **ჟყ**- კომპლექსი ანლაუტში აკრძალული არ არის, მაგ.; ხევს. ჟყივის, ჟყორვა, ჟყლეტა...

ის ფაქტი, რომ **ჟყიმი** // **ჟყიმა** ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში (გურული, იმერული, ფშაური, ქიზიყური...), მის ქართულ წარმომავლობას უჭერს მხარს. ამასთანავე, ამ სახელის ნახურ წარმომავლობის მტკიცებას ხელს უშლის ბგერათმეცნიერების უქონლობაც ამ ენათა სინამდვილეში.

ჩემი აზრით, საანალიზო ლექსემა თავდაპირველად უშუალოდ ქართული ენიდან უნდა შეეთვისებინა ნახურ ენებს (მოსალოდნელია, ბაცბურს), მოგვიანებით კი გამარტივებული სახით, უკუსესხების შედეგად, მას მთის დიალექტებშიც შეუღწევია.

II. დაღესტნური ენობრივი სამყაროდან ნასესხები სახელები:

1. ხუნძ. ჩედ „პური“, „საკვები“ – მრ. რ. ჩად-ალ. როგორც ჩანს, თუშურში იგი წარმოდგენილია ჩადალ-რ ფორმით, რომელსაც გ. ცოცანიძე ასე განმარტავს: „თივის ან ძნის პატარა სარზე აგებული მცირე ზვინი“ (ცოცანიძე 2012: 265). აკ შანიძის განმარტებით: „ყანაში აგებული ძნა ან სათიბში აგებული თივა“ (შანიძე 1984: 437). ხევსურულში, მართალია, არ დასტურდება ჩადალი თუშურის ანალოგიური სემანტიკით, მაგრამ გვხვდება ჩადალა, რომელიც ზვინის გადაზრიანებით მიღებული დიდტანიანი ადამიანის სახალისო ეპითეტია. ამასთანავე, ხევსურულში დასტურდება ქოჩადალი (< ქვა+ჩადალი „ქვაზვინი“) „ვეებერთელა და ზვინივით ამალღებული ლოდი“ (ჭინჭარაული 2005: 918). ამავე დიალექტში მოგვეპოვება საჩადლ-ი < სა-ჩადალ-ი, „ძნების შესანახი ადგილი“, რაც ფაქტობრივ საპურეს ნიშნავს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ხუნძური მრავლობითი რიცხვის ფორმა ჩად-ალ<sup>1</sup> შეითვისა თუშურმა კილომ, საი-

---

<sup>1</sup> მრავლობითი ფორმის სესხების არაერთი შემთხვევა არსებობს ამ ენათა სინამდვილეში, მაგალითად, ხუნძ. ხინკ „ხინკალი“ – მრ. რ. ხინკ-ალ. სწორედ ეს ბოლო ფორმა იქნა შეთვისებული ქართულში.

დანაც მას სხვა დიალექტებშიც და სამწერლო ენაშიც შეულწევია. ს.-ს. ორბელიანი განმარტავს: „ჩადალი – თივის ძნეული (თივის ძნეული თუ ყანის ძნეული)“.

2. საკ. დიდ. **ჟეკ-ა** : ჰინ. **ჟეკჷ-ა** : ხვარშ. **ჟიკჷ-ა** : ბეჟ. **ზუკ-ალ** (საკ. ბეჟ.), **ზოკ-ა** (ჰუნზ.), შდრ. თუშ. და-**ჟეკ**-ად, ხევს. გა-**ჟეკვ**-ა „ცე-მა“, „დაჟეჟვა“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნასესხებ მასალაში **ვ**-ს შემცველი ფორმაც (გა-ჟეკვ-ა) გვხვდება, რაც მისი რელატიური ქრონოლოგიის გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს. კერძოდ, იგი ნასესხებია მანამ, სანამ დიდოურ ენაში, რომლიდანაც ჩანს შეთვისებული, ლაბიალიზებული კომპლექსი არსებობდა (შდრ. ჰინ. ჟეკჷ-ა).

3. თუშ. **წოროტაყტ** „ძლიერ მახვილი, წვეტიანი რქა“.

ჩემი მოსაზრებით, **წოროტაყტ** უკავშირდება ხუნძ. **წერ** („ყინული“) სახელს, რომლის ირიბი ფუძე არის **წორ-ო-**. სწორედ ამ ფუძეზე დაყრდნობით და **-ტა** (< **-ტად** „ზედ“) „-ზე“ ლოკატიური ბრუნვის ნიშნის დართვით იწარმოება მიმართებითი ზედსართავი სახელი. ეტიმოლოგიურად იგი აღნიშნავს: „ყინულზე“ ანუ ყინულივით რქა, მამასადამე, მახვილი რქა.

ქვემოთ გაკვრით შევხვები ექსპრესიულობის გამომხატველ ელემენტებს, რომელთა ჩვენებას გარკვეული ინტერესი ახლავს, ვინაიდან შორისდებული ადამიანის გრძნობებს, განცდებსა და სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. ამ სახის ნახურ მასალაზე თ. უთურგაიძეს მოეპოვება საინტერესო დაკვირვებები (უთურგაიძე 1966: 71-72), ამიტომ აქ მხოლოდ დადესტნურ ენათა ზოგ შორისდებულზე გამახვილდება ყურადღება.

4. საკ. დიდ. **ელე-ლე!** „ჰეი-ჰეი!“ „ვაი-ვაი!“ ეს შორისდებული, კონტექსტისდა მიხედვით, გამოხატავს აღტაცებასაც და ტკივილსაც. მას ხვესურულ და თუშურ კილოებში ეძებნება პარალელი **ელელე** („ვაიმე“) შორისდებულის სახით, რომელიც ტკენის გამომხატველია. წყარო-ენებად ამ შემთხვევაში მიიჩნევა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები, რომლებშიც გავრცელებულია საანალიზო შორისდებული.

5. საკ. დიდ. **ჭადადა!** „ვაიმე!“ (**ჭადადა-ჭაბაბა!** „ვაიმე-ვაიმე!“) გამოხატავს განცვიფრებას, შემფოთებასა და ძლიერ ტკივილს. დაახლოებით ანალოგიური მნიშვნელობა მოეპოვება ხვესურულსა და თუშურში **ადადაი** ფორმით გამოვლენილ შორისდებულს, რომელიც უშუალოდ დიდოური ენიდან ჩანს შეთვისებული.

6. თუშურ დიალექტში დასტურდება გაკვირვება-აღტაცების გამომხატველი შორისდებული **ეზ!** „ბიჭოს!“

ვფიქრობ, ეს შორისდებულები დიდოური ენის კუთვნილებაა. ამას მიგვანიშნებს მისი ფორმა **ეზ!** ზედმიწე. „მოიცა!“ როგორც ირკვევა, იგი სემანტიკური რეინტერპრეტაციით თუშურ კილოში დამკვიდრებულა და ამჟამად გაცეების მნიშვნელობა აქვს. საკუთრივ დიდოურში დასტურდება კლასიფიკატორიანი ზმნა **ზ-ეზ-ა** „ყოფნა“, „არსებობა“, „დარჩენა“, „მოცდა“. სწორედ ამ ზმნის I კლასის II პირის ბრძანებითი არის შორისდებულად ქცეული, რაც თავისთავად საინტერესო მოვლენაა შორისდებულთა ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამრიგად, ნასესხებ ლექსიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართული და ნახურ-დაღესტნური ენების ურთიერთგავლენა ხელშესახებია – სესხება ხდება ერთი მხრიდანაც და მეორიდანაც. ქართულიდან ნასესხები მასალა მეტია, შედარებით მცირეა ნახურ-დაღესტნური ენებიდან შემოსული ლექსიკა. ამასთან ერთად, ხევსურულ კილოში უფრო მეტადაა ნახურ ენათა სამყაროდან შეთვისებული მასალა, ხოლო თუშური სიახლოვეს დაღესტნურ (მეტწილად, დიდოურ) ენებთან ამჟღავნებს. მთის დიალექტებში გვაქვს ძველი, საშუალო და ახალი ნასესხობანი, თუმცა მათი რელატიური ქრონოლოგიის დადგენა, ამ ენობრივ ერთეულთა დამწერლობისა და წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, მეტისმეტად გამწვანებულია.

## ლიტერატურა

**გუდავა, 1954** – ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ. – სმამ, ტ. XV, N10. თბ., 1954.

**ზვიადაური, 1997** – ნ. ზვიადაური, ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქართული ენის მთის დიალექტებში. - ეტიმოლოგიური მიუბანი, ტ. VI. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1997.

**უთურგაიძე, 1966** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1966.

**შანიძე, 1984** – ავ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი – I. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1984.

**ცოცანიძე, 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი. თბ., ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2012.



**ჭინჭარაული, 1960** – აღ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი. თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960.

**ჭინჭარაული, 1969** – აღ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი. თბ., თსუ გამ-ბა, 1969.

**ჭინჭარაული, 2005** – აღ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. თბ., გამ-ბა „ქართული ენა“, 2005.

**ხორნაული, 2000** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

**NODAR ARDOTELI**

### **Some Nakh-Daghestanian Lexical Borrowings in the Khevsurian and Tushian Dialects**

#### **Summary**

The age-long neighbourhood and historical contacts of Khevsurians and Tushians with the North Caucasian peoples are reflected in the lexis of the given Highland dialects of the Georgian language. The borrowings from Nakh-Daghestanian languages are the proof of such close linguistic ties. The paper examines a number of lexical borrowings from Nakh and Daghestanian languages and analyzes their modifications in the Georgian dialects in question.

ციური ახვლედიანი, ბიორბი ჟუფარაძე

### ფრანგული და ინგლისური ოიკონიშური ფრაზეოლოგიზმები

ოიკონიმები დასახლებულ პუნქტთა (ქალაქების, დაბების, სოფლებისა და დასახლებათა სხვა სახეობების) სახელწოდებებია. ოიკონიმები, როგორც დასახლებულ პუნქტთა (ქალაქიდან მოყოლებული ცალკე მდგომ ერთ სახლამდე) სახელწოდებები, წარმოადგენენ ტოპონიმიკური სივრცის სახელდებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჯგუფს. დასახლებული პუნქტები, როგორც ხელქმნილი ობიექტები, მკვეთრად გამოიყოფიან გარემომცველი ლანდშაფტიდან. უდიდესი ექსტრალინგვისტური განპირობებულობის (სხვა სახელწოდებებთან შედარებით) შედეგად, ოიკონიმები ადვილად ერთიანდებიან სიტყვათა მყარი შეერთებების სხვადასხვა სახეობაში. ოიკონიმთა თავისებურება (ლექსიკო-გრამატიკული შემადგენლობისა, მნიშვნელობისა და სხვ.) საშუალებას იძლევა, რომ ისინი გამოყოფილ იქნენ ცალკე ჯგუფად.

ქალაქების, დაბების, სოფლებისა და დასახლებათა ყველა სხვა სახეობის სახელწოდებები წარმოადგენენ ძირითად ადრესს (მისამართს) და ამიტომაც ყველაზე წინ დგანან სხვა ტოპონიმთა შორის. შესაბამისად, ოიკონიმური ფრაზეოლოგიზმები ჭარბობენ ტოპონიმიკურ ფრაზეოლოგიზმთა სხვა სახეობებს შორის ფრანგულ და ინგლისურ ენებშიც.

არსებობს განსაზღვრული შესაბამისობა ოიკონიმში კონოტაციური მნიშვნელობის არსებობა-არარსებობასა და მთლიანი გამონათქვამის მოტივირებულობის ხარისხს შორის. ოიკონიმისანი ფრაზეოლოგიური ერთეულების უმეტესობა ხასიათდება მოტივირებულობის არარსებობით ან მცირე ხარისხით არსებობით, ანუ შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელოვანი შერწყმულობით.

ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობა შეიძლება არც გადიოდეს მის შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობების გარეთ; მაგალითად, ინგლისურ ენაში, **to be born in Trumplington** «სულელი,

ჩერჩეტი»; **to go to Bungay** «მოშორება, გაცლა»; **Hull cheese** «მაგარი ლუდი». ოიკონიმები **Trumplington, Bungay, Hull**, ენის თანამედროვე მატარებლების მიერ აღიქმებიან კონოტაციათა არარსებობით და ამიტომაც ხელს არ უწყობენ გამონათქვამის საერთო მნიშვნელობის გამოვლენას. ფრანგულ ენაში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა არამოტივირებულ ან სუსტად მოტივირებულ ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი გამონათქვამები: **oeuf de Nuremberg** «ძველებური საათი» (სიტყვასიტყვით: კვერცხი ნიურნბერგიდან); **boîte de Nuremberg** «მოცეკვავე თოჯინებიანი მუსიკალური ზარდახმა» (სიტყვასიტყვით: ზარდახმა ნიურნბერგიდან); **saucisson de Bologne** (სასაუბ.) «მსუქანი. მოკლეფეხებიანი ადამიანი» (სიტყვასიტყვით: სოსისი ბოლონიიდან); **avoir des nerfs á Berlin** («უკიდურესი ნერვული აღზნების მდგომარეობაში ყოფნა»); (სიტყვასიტყვით: ნერვების ქონა ბერლინში).

ამასთანავე, სხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აქვთ მოტივირებულობა მეტაფორული ხატის წყალობით; მაგალითად, ინგლისურ გამონათქვამში **carry coals to Newcastle** (სიტყვასიტყვით: ნახშირის წაღება ნიუკასლში) «უსარგებლო საქმის კეთება», ტოპონიმის – **Newcastle** – იმპლიკაციური შინაარსის განსაზღვრულობასთან კავშირით, რომელიც აღნიშნავს ნახშირის მრეწველობის ცენტრს. გამონათქვამი **to turn (put) the best side to London** «საკუთარი თავის უკეთესი მხრით წარმოჩენა» ასევე ფლობს განსაზღვრულ სემანტიკურ დანაწევრებას იმ შიდა ფორმის აღქმით, რომელიც გააჩნია ოიკონიმ ლონდონს – დედაქალაქს, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს და ა. შ. ან: **Bunbury man** «პურიტანი» (ქალაქი **Bunbury** ცნობილია პურიტანი მაცხოვრებლებით), **Paddington fair** – «საჯარო დასჯა სიკვდილით» (ცნობილია, რომ ძველად, ყველაზე სამიშ დამნაშავეებს სჯიდნენ პადინგტონში); **Camberwell beauty** «პეპლის სახეობა»; **Keswick codlin** «ვაშლის ჯიში». ამ უკანასკნელ ჯგუფს ახასიათებს მოტივირებულობის მაღალი ხარისხი, თუმცა სრული სემანტიკური დანაწევრება ამ შემთხვევებშიც არ შეინიშნება.

მრავალი ფრანგული ოიკონიმური ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაც ასევე შეიძლება გამოვლინდეს ეტიმოლოგიის აღქმის შედეგად, რომლითაც დატვირთულია ოიკონიმი; მაგალითად: **représenter les armes de Bourges** «ვირივით სულელი, ყყეჩი» (სიტყვასიტყვით: «ბურჟის გერბის ჩვენება»; ბურჟი – ქალაქი ცენტრა-

ლურ საფრანგეთში, მდინარეების ერენისა და ორონის შესაყართან. ქალაქ ბურჟის გერბზე გამოსახული იყო დივანზე მჯდომი ვირი. რიგ მკვლევართა მტკიცების მიხედვით, ვირი ასახიერებდა იმპერატორ ცეზარის მიერ დანიშნულ რომაელ მმართველს. გიიტარის ლექსიკონში (1842 წ.) მითითებულია, რომ ეს არის მინიშნება ამ ქალაქის უნივერსიტეტის ერთ-ერთ, იერიით საპატიო, მაგრამ სულელ პედაგოგზე); **berger de Mantoue / cygne de Mantoue** «მწყემსი/გედი მანტუდან (ვირგილიუსის შესახებ)». (ქალაქ მანტუს ახლოს, ჩრდილოეთ იტალიაში, არის ადგილი პიეტოლე, რომელიც ითვლება ვირგილიუსის სამშობლოდ); **il vient de Marseille** «გადამეტება, ცრუობა, ზღაპრების შეთხზვა» (სიტყვასიტყვით: «ის მოდის მარსელიდან»). (საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები ადამიანები ცნობილი არიან გადამეტებითა და ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებული ამბების თხრობით).

ოიკონომიანი ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვა გვარწმუნებს, რომ მათთვის დამახასიათებელია განსაზღვრული მეტასემიოტიკური თვისება, სახელდობრ – სტილისტიკური ნეიტრალურობის არარსებობა. რიგ შემთხვევებში მათი უპირატესი გამოყენება შესაბამისი, სინონიმური თავისუფალი სიტყვაშეერთებების ნაცვლად მოწმობს, რომ მათ უჭკველად გააჩნიათ ექსპრესიული შეფერილობა, ანუ არა მხოლოდ აღნიშნავენ მოვლენას, არამედ რაღაცნაირად გამოხატავენ კიდევ ამ მოვლენასთან მოლაპარაკის ურთიერთობასაც. ზოგიერთ მათგანს ახასიათებს ემოციური «აგზნებულობა» (ინგლ. **London ivy** «ლონდონური ნისლი»; ფრანგ. **homme de Sedan** «სედანის გმირი», ნაპოლეონ III-ის შესახებ; **ventre de Paris** «პარიზის მუცელი», ბურჟუაზიული საზოგადოების ძალთა და ვნებათა დუღილის ადგილი), უმეტესობას კი ახასიათებს «შემცირებული» სტილისტიკური შეფერილობა. ეს უკანასკნელები უპირატესად ზეპირმეტყველებში გამოიყენებიან (ხშირად პროფესიულ ან ვიწრო სფეროში), ფამილარობის, დაცინვისა და ა. შ. ელფერებით (ინგლ. **Yarmouth mittens** (სასაუბ.) «ტკივილიანი ხელები»; **Jack of Dover** «ზღვის ენა, თევზი»; ფრანგ. **il est venu à Paris en sabots** «ის ღარიბი იყო, როცა პარიზში ჩამოვიდა, სადაც გამდიდრდა კიდევ» (სიტყვასიტყვით: ის ჩამოვიდა პარიზში საბოგებით); **envoyer qn. à Pontoise** „ვინმეს გაგზავნა დასაკარგავში, ჯანდაბაში“; **il a été à Saint-Malo (les chiens lui ont mangé les mollets / les os)** (ხუმრ.) 1. «იგი ძალიან გამბდარია»;

2. «მას ძალიან წვრილი ფეხები აქვს» (სიტყვასიტყვით: ის იყო სენ-მალოში, ძაღლებმა კანჭები/ძვლები მოაჭამეს). ამასთანავე, მოვლენის გადმოცემის ხატოვანება მუდამ თანმხლებია.

ოიკონიმები იყოფიან ასტიონიმებად (ქალაქთა სახელწოდებები), ჰორიონიმებად (სოფლების სახელწოდებები). ამა თუ იმ ასტიონიმის ხმარების სიხშირე დამოკიდებულია იმ როლზე, რომელიც ქალაქმა შეასრულა სახელმწიფოს ცხოვრებაში მთელი მისი ისტორიის მანძილზე და ასევე ამ ეტიმოლოგიის შენარჩუნებაზე ფრაზეოლოგიზმის შიდა ფორმაში. ჰორიონიმები უფრო იშვიათად გვხვდება; ეს ჯგუფი ინგლისურ ენაში შეადგენს დაახლოებით 6 %-ს, ფრანგულში კი – 8.5 %-ს. ეს აიხსნება იმით, რომ რაც უფრო მსხვილია დასახლებული პუნქტი, მით უფრო მდიდარია მისი ისტორია და მრავალფეროვანია ოიკონიმის შიდა ფორმა, ანუ ასტიონიმებს (უფრო მსხვილ დასახლებულ პუნქტებს) გაცილებით მეტი ასოციაციები გააჩნიათ, ვიდრე ჰორიონიმებს. ჰორიონიზმის ფრაზეოლოგიზაციისათვის სოფელი უნდა იყოს რაიმეთი ცნობილი, მაგალითად: ინგლ. **to run away to Gretna Green** „გაქცევა საიდუმლო ჯვრისწერისათვის“ (სიტყვასიტყვით: გაქცევა გრეტნა გრინში). (გრეტნა გრინი – სოფელია შოტლანდიის საზღვართან, სადაც გაპარულ შეყვარებულებს შეეძლოთ ჯვრისწერა ინგლისური კანონებით დადგენილი ფორმალურობების დაცვის გარეშე); **a wise man of Gotham** „გულუბრყვილო, მიამიტი ადამიანი“ (სიტყვასიტყვით: ბრძენი გოტამიდან). (თქმულების მიხედვით, სოფელ გოტამის მცხოვრებლები ცნობილნი იყვნენ თავიანთი ალალმართლობით, მიამიტობით); ფრანგ. **c'est le greffier de Vaugirard qui ne peut écrire quand on le regarde** «მის შესახებ, ვისაც არ შეუძლია მუშაობა სხვების თანდასწრებით» (სიტყვასიტყვით: ვოჟირარის მდივანს არ შეუძლია წერა, როდესაც მას უყურებენ) (ძველი ანეკდოტის მიხედვით, სოფელ ვოჟირარის მდივანი ასრულებდა თავის მოვალეობებს ცუდი განათების ქვეშ, დახშული ჰქონდა რა პატარა სარკმელიც კი); **ahuri (abrupti) de Chaillot** (ზეპირ.) „გაუთლელი ხეპრე“ (სიტყვასიტყვით: განცვიფრებული, გამტერებული შაიოდან) (შაიო – ყოფილი სოფლის სახელია, რომელიც მდებარეობდა მდინარე სენის მარჯვენა ნაპირზე. იგი ძალიან ახლოს იყო პარიზთან, მაგრამ მის საზღვრებში არ შედიოდა. 1784 წლიდან, ლუდოვიკო XVI-ის დროს, შაიო შევიდა პარიზის საზღვრებში. თქმულების მიხედვით, ერთ მშვენიერ დღეს შაიოს მცხოვრებლები

„გამტერდნენ“, შეიტყვეს რა, რომ ისინი უკვე პარიზელები გახდნენ. მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს ამ ვერსიას და მიუთითებენ ძველ თქმულებას, რომელიც ადასტურებს ამ ფრაზეოლოგიზმის უფრო ადრეულ წარმოშობას, ასახავს რა ქალაქელთა დამოკიდებულებას პროვინციის მცხოვრებლებისადმი, მიიჩნევდნენ რა მათ ჩამორჩენილ ადამიანებად. ფორმამ – **folle de Chaillot** – რომელიც წარმოქმნილია 1945 წელს ჟან ჟიროდუს მიერ დაწერილი იმავე სახელწოდების პიესის სახელწოდებიდან, ხელახლა გააცოცხლა ეს ფრაზეოლოგიზმი; შდრ. გამონათქვამები **venir de Chaillot; envoyer á Chaillot**).

აღსანიშნ ობიექტთა ლოკალიზაციის მიხედვით, ოიკონიმის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვეჯგუფებად: 1. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ოიკონიმები ასახელებენ ობიექტებს მოცემული ლინგვოკულტურული ერთობის ტერიტორიაზე; მაგალითად: ინგლ. **New York, London;** ფრანგ. **Paris, Grenoble;** 2. ოიკონიმის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ოიკონიმები აღნიშნავენ განსახილველი ენის ფუნქციონირების საზღვრებს გარეთ მყოფ ობიექტებს; მაგალითად: ინგლ. **Bombay, Rome;** ფრანგ. **Athenes, Berlin.**

კულტურებს შორის განსხვავებანი აყალიბებენ ეთნიკურ ცრურწმენებს ადამიანთა ცხოვრების მრავალ სფეროში, მკვეთრად ავლენენ რა ზღვარს „საკუთარ“ და „უცხო“ კულტურებს შორის. კულტუროლოგიურ ნიშანთა – „საკუთარი – უცხო“ – ოპოზიცია ისტორიულად დამკვიდრებულია როგორც მკვიდრ, ასევე ნასესხებ ფრაზეოლოგიურ ტოპონიმთა სემანტიკაში. სახელდობრ, ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის მიერ „უცხო“ სამყაროს ფსიქოლოგიური თავისებურებების აღქმა განაპირობებს კულტურულ-მარკირებული ტოპონიმების ფრაზეოლოგიზმების შემფასებელ კონოტაციათა სპეციფიკას.

ფრაზეოლოგიზებული ასტიონიმები, ენის ფუნქციონირების განსახილველი სფეროს საზღვრებში და საზღვრებს გარეთ, ფრანგულშიც და ინგლისურშიც, რაოდენობის მხრივ, ტოლია და უდრის – 50%-ს. განვიხილოთ ფრაზეოლოგიური ერთეულები საკუთარი ასტიონიმებით; ფრანგული ენისათვის – საფრანგეთის დასახლებულ პუნქტებში, ინგლისური ენისათვის – დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.

ინგლისურ ასტიონიმთა სიაში ერთადერთი ფრაზეოლოგიზმია ავსტრალიური ოიკონიმით: **all behind in Melbourn** (ავსტრალ.

სლენგი) „სქელგავიანი“. ლოკალურ ინგლისურ ფრაზეოლოგიზმთა 10% – ამერიკანიზმებია, დანარჩენი 90% – ბრიტანიზმები. ამერიკანიზმები გაცილებით ნაკლებია, რადგან ამ ქვეყნის არსებობა არ მოითვლის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და, შესაბამისად, ამერიკელებს ცოტა დრო ჰქონდათ თვითრეფლექსიისათვის. ამერიკულ ასტიონიმურ ფრაზეოლოგიზმებში უპირატესად მსხვილ ქალაქთა დასახელებები შედის: ჩიკაგო – **Chicago overcoat** „კუბო“ (სიტყვასიტყვით: ჩიკაგოური პალტო) (ჩიკაგო – ქალაქი აშშ-ში, ილინოისის შტატში, წარმოადგენს მკვეთრ სოციალურ დაპირისპირებათა და კონტრასტთა ქალაქს, ასოცირდება კრიმინალურ, ბანდიტურ ქალაქთან). ცინცინატი – **Cincinnati oysters, Cincinnati quail** „ღორის ხორცის პროდუქტები“ (სიტყვასიტყვით: ხამანწკები, მწერები ცინცინატიდან) (ცინცინატი – ქალაქი აშშ-ს აღმოსავლეთში, ოჰაიოს შტატში. ცინცინატი ოდესღაც უმსხვილესი მსოფლიო ცენტრი იყო ღორის ხორცის დამზადებაში). სან-ფრანცისკო – **Frisco speedball / San Francisco bomb** „ვენაში ჰეროინის, კოკაინის და ა. შ. შეყვანა“; გეინსვილი – **Gainesville green** „მარიხუანის განსაკუთრებით ძლიერი სახეობა გეინსვილიდან, ფლორიდის შტატი“; პეორია – **that won't play in Peoria** „ეს არ დამკვიდრდება არსად ქვეყანაში“ (სიტყვასიტყვით: ეს არ დაიდგმება პეორიაში). (პეორია – ქალაქია ილინოისში, აშშ-ში. ის ამერიკელებისათვის იგივეა, რაც ტანბრიჯ-უელსი ბრიტანელებისათვის: საშუალო ფენის სტაბილურობისა და ტრადიციათა სიმბოლო. ადრე პეორია იყო ახალ პიესათა დადგმის გამოსაცდელი მოედანი; თუ პიესას იქ არ ექნებოდა წარმატება, მაშინ არასოდეს დაიდგებოდა ბროდვეიზე); ფილადელფია – **enough to puzzle a Philadelphia lawyer** „დახლართული საქმე; ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს“ (სიტყვასიტყვით: საკმარისია, რომ საგონებელში ჩააგდო ფილადელფიელი იურისტი) (წარმოებულია ამერიკული გამონათქვამიდან **a Philadelphia lawyer** „მახვილგონიერი იურისტი“); ნიუ-იორკი – **New York's finest** (ირონ.) „ნიუ-იორკის მარიფათიანი ვაჭბატონები“ (ნიუ-იორკელ პოლიციელთა მეტსახელი); უოლტემი – **as wise as Waltham's calf** „ძალიან სულელი“ (სიტყვასიტყვით: ბრძენი როგორც უოლტომური ხზო) (უოლტომი – ქალაქი აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში, სამრეწველო ცენტრი).

ბრიტანულ ლოკალურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფრაზეოლოგიზებულია შემდეგი ასტიონიმები: **Bath, Bridport, Berwick,**

**Dover, Brighton, Bristol, Birmingham, Bunbury, Cambridge, Canterbury, Chester, Colchester, Coventry, Dunmow, Dunstable, Durham, Hull, London, Manchester, Newcastle, Ripon, Scarborough, Stafford, Trumplington, Watford, Yarmouth.** ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობაში ხაზგასმულია ქალაქთა საწარმოო მახასიათებლები, მაგალითად, **Bridport dagger** „ჯალათის თოკი“, **to be stabbed with a Bridport dagger** (ლიტ.) „ჩამოხრჩობილი“ (ეს ქალაქი დღემდე ცნობილია თოკებისა და ბაგირების წარმოებით); ბრისტოლი – **Bristol milk/cream** „ხერესი“ (ხერესი შემოდის ესპანეთიდან ქ. ბრისტოლის გზით. გამონათქვამი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბრისტონში მდებარეობდა არყისსახდელი ქარხნები); **as true as Ripon steel** „მართალი, საიმედო“ (რიპონი – ქალაქი ინგლისში, სადაც არსებობს ფოლადსახმელი ქარხნები).

ფრანგულ ლოკალურ ასტიონიმურ ფრაზეოლოგიზმებში წარმოდგენილია შემდეგ ქალაქთა სახელწოდებები: **Angoulême, Antibes, Beaune, Bercy, Bourges, Cachan, Cambrai, Corbeil, Grenoble Lagny, Landerneau, Lyon, Marseille, Meaux, Melun, Nanterre, Niort, Orléans, Paris, Pontoise, Rueil, Rouen, Sedan, Saint-Malo, Saint-Michel, Toulouse, Versailles, Vatan.** მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: **il vient de Marseille** «გაზვიადება, სიცრუის გამორევა, ზღაპრების თხზვა». (საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები ადამიანები ცნობილნი არიან გაზვიადებით და ყოველივე დაუჯერებელი ამბების მოგონებით); **(Tartarin de Tarascon); fuite de Varennes** (ისტ.) „შეუმჩნევლად წასვლის ცდა“ (ლუდოვიკო XVI-ის მცდელობა გაპარულიყო ოჯახთან ერთად 1791 წლის 20 ივნისს ჩაშალეს რევოლუციონერებმა, დააკავეს რა მეფე ვარენში – ქალაქი ლიტვაში).

ოპოზიცია „საკუთარი – უცხო“ მნიშვნელოვანი შემადგენელია სტერეოტიპები. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, დიდ ინტერესს წარმოადგენენ ფრაზეოლოგიური ავტოსტერეოტიპები (აზრები, განსჯა, შეფასება, რომლებიც ეხება საკუთარ ეთნიკურ ერთობას მისი წარმომადგენლებისაგან) განსახილველ სახელმწიფოთა დედაქალაქების სახელწოდებებით – **London, New York, Paris.**

ინგლისურ ფრაზეოლოგიაში დედაქალაქების სახელწოდებები იშვიათად გვხვდება და სუსტად ახასიათებენ ლინგვოკულტურული ერთობის ქალაქისადმი დამოკიდებულებას. ტოპონიმი „ლონდონი“ წარმოდგენილია ოთხ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: **to turn (put) the best side to London** „თავის წარმოჩენა საუკეთესო



მხრით“ (სიტყვასიტყვით: საუკეთესო მხრით შებრუნება ლონდონი-საკენ); **London ivy** „ბურუსი, ნისლი“ (შდრ. **London particular** „სქელი ნისლი“ (სიტყვასიტყვით: ლონდონური სურო, სახელწოდებით მადერა, შემოზიდული ლონდონში); **is that the way to London?** „წარმოითქმის ცხვირის მოწმენდის დროს“ (სიტყვასიტყვით: ეს გზა ლონდონისკენაა?); **the lungs of London** „ლონდონის ფილტვები“ (ლონდონის სკვერები და პარკები). ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მონაცემებით გამოვლინდა, რომ ინგლისელებისათვის ლონდონი ასოცირდება ცხოვრების დედაქალაქურ წესთან, ნისლიანთან, ცივთან, ნესტიანთან, ავადმყოფურთან, მაგრამ მწვანე ქალაქთან.

ინგლისელების დამოკიდებულება საკუთარ დედაქალაქთან შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ფრაზეოლოგიზმებიდანაც, რომლებიც არ შეიცავენ ტოპონიმ ლონდონს; მაგალითად: **people north of Watford** (ზიზლ.) „პროვინციალები“ (სიტყვასიტყვით: ადამიანები მცხოვრებნი უოტფორდის ჩრდილოეთით). (უოტფორდი – ქალაქი ჰართფორდშირის საგრაფოში, ლონდონიდან ჩრდილო-დასავლეთით. ეს გამონათქვამი მიაჩნებოდა უოტფორდის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხის პროვინციალურ მანერებზე და მათ შეზღუდულ თვალსაწიერზე, განსხვავებით ლონდონისა და მის გარშემო არსებული საგრაფოების მცხოვრებთა დარბაისლური მანერებისაგან. ისინი, ვინც ცხოვრობენ ლონდონში ან სამხრეთ ინგლისში, ტრადიციულად, უკეთესებად მიიჩნევენ საკუთარ თავს ბრიტანეთის სხვა ადგილებში მცხოვრებთაგან განსხვავებით). ეს ფაქტი ვლინდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: **middle England** „საშუალო ინგლისი“ (ეს გამონათქვამი ეხება იმ ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ინგლისის საშუალო კლასს და რომლებიც ითვლებიან ტრადიციული საზოგადოებრივი შეხედულებების, ფასეულობების, პროვინციალური ჩვევებისა ან კონსერვატიული პოლიტიკური რწმენების გამომხატველებად. გამონათქვამი **middle England** ნაწარმოებია **Middle America**-ს მიხედვით).

ოიკონიმი „ნიუ-იორკი“ მხოლოდ ერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში შედის: **New York's finest** (ირონ.) „ნიუ-იორკის მარიფათიანი ვაჟბატონები“ – ნიუ-იორკელ პოლიციელთა მეტსახელი.

ოიკონიმი „პარიზი“ ფართოდაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: **Paris est le paradis des femmes et l'enfer des che-**

**vaux** «პარიზი – სამოთხეა ქალებისათვის და ჯოჯოხეთი – ცხენებისათვის»; **Paris ne s'est pas fait en un jour** (ანდაზ.) «საქმე უცებ არ კეთდება» (სიტყვასიტყვით: პარიზი ერთ დღეს არ აშენებულა); **Jean de Paris** «გადაცემული პრინცი, ფულის მფანტველი» (სიტყვასიტყვით: ჟანი პარიზიდან); **monsieur de Paris** «ჯალათი» (სიტყვასიტყვით: ბატონი, ადამიანი პარიზიდან); **Paris vaut bien une messe!** «პარიზი მესად ღირს!»; იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც პირადი გამორჩენისთვის მზად არიან მოიქცნენ სინდისიერად. ისტორიკოსების უმეტესობა ამ გამოთქმას მიაწერს ჰენრიხ IV ნავარელს (1553-1610), რომელმაც 1593 წელს შეიცვალა რწმენა პროტესტანტულიდან კათოლიკურზე, რითაც ტახტზე ასვლის საშუალება მიეცა; **Paris appartient à ceux qui se lèvent tôt** «ვინც ადრე დგება, ღმერთი წყალობს» (სიტყვასიტყვით: პარიზი მას ეკუთვნის, ვინც ადრე დგება); **avec un «si» on mettrait Paris dans une bouteille** (ანდაზ.) «თუ კი და თუთი პირში სოკოსაც გაზრდი» (სიტყვასიტყვით: «თუ კი»-თი პარიზიც კი შეიძლება მოათავსო ბოთლში); **avoir un oeil á Paris, l'autre á Pontoise** «ელამი თვალების ქონა» (სიტყვასიტყვით: ერთი თვალი პარიზს უყურებს, მეორე პონტუაზს); **il est venu á Paris en sabots** (სასაუბ.) «ღარიბი ჩამოვიდა პარიზში და იქ გამდიდრდა»; **ventre de Paris** – „პარიზის მუცელი“, ბურჟუაზიული საზოგადოების ძალთა და ვნებათა დუღილის ადგილი); **prendre Paris pour Corbeil** «დიდი შეცდომის დაშვება, დაუდევრობა» (სიტყვასიტყვით: პარიზი მიიჩნო კორბეით); **Il y a des lieux où il faut appeler Paris Paris, et d'autres où il la faut appeler capital du royaume** «არის ადგილები, სადაც პარიზს პარიზი უნდა ეწოდოს და არის სხვა ადგილები, სადაც მას სამეფოს დედაქალაქი უნდა ეწოდოს».

დასკვნის სახით შევნიშნავთ, დედაქალაქის სახელწოდებიანი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობათა და რაოდენობათა მიხედვით, პარიზს ფრანგებისათვის მეტი ასოციაცია გააჩნია, ვიდრე ლონდონს ინგლისელებისათვის და ნიუ-იორკს – ამერიკელებისათვის.

ფრანგები განადიდებენ თავიანთ დედაქალაქს ფრაზეოლოგიზმებით, წარმოაჩენენ მას კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად, უძველეს, ცოცხალ და აქტიურ ქალაქად, რომელიც იძლევა მრავალ შესაძლებლობას თვითრეალიზაციისათვის, იგი არის ადგილი ვნებათა ღელვისა, ლოცვისა და თაყვანისცემისა.

## ლიტერატურა

- იაკარდი, 2017** – Jaccard H., Essai de toponymie, Paris, 2017.
- გენდრონი, 2008** – Gendron S., L'origine des noms de lieux en France: Essai de toponymie, Paris, 2008.
- ალეგზანდერი, 1933** – Alexander, J. J., East and North Devon place-names./ J. J. Alexander // TDA. L., Vol. LXV. p. 353-77, 1933.
- ურაზმეტოვა, 2009** – Уразметова, А. В., Английские и французские ойконимические фразеологизмы // Вестник Башкирского университета – Т. 14.–№ 2. – С. 422, 2009.
- Great encyclopaedic dictionary** – Linguistics./ under edition of V.N. Yartseva.
- იარცევა, 1998** – დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი, M.: B. R. E., p. 687, 1998.

TSIURI AKHVLEDIANI, GIORGI KUPARADZE

### French and English Oiconymic Phraseologisms

#### Summary

Oiconyms, possessing extralinguistic determinants, can easily be united in the phraseological units. The phraseological oiconyms are considered from the viewpoint of the Opposition - "**One's own - Someone else's**". Particular attention is paid to autostereotypes (the idea of ethnic unity about oneself) that are embodied in the phraseological units with the names of the capitals of the states under analysis.

თინათინ ბუბუტიანი

ზოგიერთი ინგლისური კომპიუტერული ტერმინის  
ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რამდენიმე ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინის ლექსიკურ-სემანტიკურ ანალიზს. კერძოდ, ნაშრომის მიზანია:

1. განიხილოს აღნიშნულ კომპიუტერულ ტერმინთა ეტიმოლოგია და მათი სემანტიკური ევოლუცია;

2. განსაზღვროს რომელი სემანტიკური ცვლილების შედეგად მიიღება ესა თუ ის კომპიუტერული ტერმინი და დაადგინოს აღნიშნულ ტერმინთა შექმნის მექანიზმები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის მოძღვრებანი ლექსიკურ სემანტიკაში (ულმანი 1962; ტრაუგოტი და დაშერი 2004) და ასევე ნაშრომები კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე (სიჭინავა 2004; გურბაზანიძე 2005).

ნაშრომში ასევე გამოყენებულ იქნა შემდეგი ავტორიტეტული ინგლისურენოვანი ლექსიკონები:

1. Dictionary of Computer and Internet Terms, Tenth Edition, 2009;
2. Dictionary of English Language and Culture, Longman, 2005;
3. The Cassell Concise English Dictionary, Edited by Betty Kirkpatrick, 1992;
4. The Random House Dictionary of the English Language, Second Edition, Unabridged, 1987;

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად კომპიუტერული ტერმინები დაჯგუფდა შემდეგი სფეროების მიხედვით:

1. კომპიუტერის ძირითადი ნაწილები და მათი აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები- **mouse, memory, bus, cell, terminal** (სულ 5 ერთეული);

2. კომპიუტერული ქმედების აღმნიშვნელი სიტყვები - **browse, surf, boot, freeze up, scroll** (5 ლექსიკური ერთეული);

აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ ტერმინთა ლექსიკურ-სემანტიკური განხილვისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილო ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ცვლილების ძირითად მექანიზმებზე.

ელიზაბეტ ტრაუგოტისა და რიჩარდ დამერის (2004:27) მიხედვით, ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ცვლილება ეფუძნება ორ ძირითად მოდელს:

1. მეტაფორას (მნიშვნელობათა მსგავსებას);
2. მეტონიმის (მნიშვნელობათა მომიჯნაობას).

როგორც ცნობილია, მნიშვნელობათა მსგავსება ანუ მეტაფორა (ბერძნულიდან *Metaphora*-გადატანა) ისეთი სემანტიკური პროცესია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ რეფერენტს, რომელთაგან ერთ-ერთი რაიმე ნიშნით მეორეს ჰგავს. მეტაფორა მსგავსებათა აღქმას ემყარება და ბუნებრივ პროცესად ითვლება, როდესაც ანალოგია არის აშკარა. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტერმინების უმეტესობა მეტაფორიზაციის შედეგად არის მიღებული და აღნიშნულის ბევრ მაგალითს შევხვდებით საკუთრივ ტერმინთა ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის დროს.

როგორც ცნობილია, მეტონიმია (*Metonymia*-გადარქმევა, სახელის შეცვლა) ისეთი სემანტიკური პროცესია, რომელიც ეფუძნება რეფერენტთა ასოციაციურ კავშირს. კერძოდ, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებას, სადაც ნაწილი წარმოადგენს მთელს. ნაშრომში წარმოდგენილ ემპირიულ მასალაში მეტონიმის ნიმუშებს არ შევხვდებივარ.

### **კომპიუტერის ძირითადი ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები.**

მეტაფორიზაციის შედეგია კომპიუტერული ტერმინი *memory*, რომლის პირველადი მნიშვნელობაა მეხსიერება (მენტალური); მე-20 საუკუნის 50-იან წლებში კი აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულმა შეიძინა კომპიუტერის დეტალის, კერძოდ, ინფორმაციის დამგროვებელი მოწყობილობის მნიშვნელობა. ინგლისური ენის ლექსიკონში *The Random House Dictionary of the English Language* (1987), აღნიშნული ტერმინის შემდეგ განმარტებას შევხვდებით: „device which stores information” (მოწყობილობა, რომელიც აგროვებს ინფორმაციას), უშუალოდ კომპიუტერული ტერმინების ლექსიკონში კი შემდეგი განმარტებაა მოცემული: „the space within a computer where information is stored“ (სივრცე კომპიუტერში, რომელშიც ინფორმაცია გროვდება).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვის კომპიუტერული მნიშვნელობა უკავშირდება მის პირველად მნიშვნელობას, თუმცა მეტაფორიზაციის შედეგად შეცვლილია მისი სემანტიკა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ / ფიზიკურისკენ. აღნიშნულ შემთხვევაში მსგავსება ორ რეფერენტს შორის მათ ფუნქციურ დატვირთვაში ვლინდება.

განვიხილოთ შემდეგი ტერმინი: ინგლისური ენის ლექსიკონში *The Random House Dictionary of The English Language* (1987) სიტყვა *mouse* განმარტებულია, როგორც პატარა ცხოველი, რომელიც მღრღნელების კლასის წარმომადგენელია და ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში (any of numerous small Old World rodents of the family Muridae, especially genus Mus, introduced widely in other parts of the world), როგორც კომპიუტერული ტერმინი კი აღნიშნავს მოწყობილობას, რომელიც ხელის მოძრაობის შესაბამისად გადაადგილებს კურსორს ეკრანზე. კომპიუტერული ტერმინების ლექსიკონში - *Dictionary of Computer and Internet Terms* (2009), მის შემდეგ განმარტებას შევხვდებით: "a computer input device that is used by moving it around on your desk and pressing one or more button" (კომპიუტერთან შეერთებული მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მისი გადაადგილებით მაგიდაზე და ერთხელ ან მეტჯერ ღილაკის დაჭერით).

როგორც ვხედავთ, სიტყვის *mouse* პირველადი, დენოტაციური მნიშვნელობა მეტაფორიზაციის შედეგად გაფართოვდა, გაჩნდა ახალი რეფერენტი, რომელიც, სახელმძღვანელოს თვალსაზრისით, გარეგნულად ჰგავს მღრღნელ ცხოველ თაგვს. მოცემულ შემთხვევაში რეფერენტთა ვიზუალური მსგავსების მაგალითზე შეიქმნა კომპიუტერული ტერმინი მაუსი.

კომპიუტერის ძირითადი ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინებიდან ინტერესს იწვევს სიტყვა *bus*, რომლის პირველადი მნიშვნელობაა ავტობუსი, ხოლო როგორც კომპიუტერული ტერმინი იგი აღნიშნავს სალტეს, ანუ ინფორმაციის გადამცემ კომპლექტს, რომელიც აკონტროლებს სიგნალებს კომპიუტერის სისტემაში. *კომპიუტერული და ინტერნეტ ტერმინების ლექსიკონში* (2009) სიტყვა *bus* განმარტებულია, როგორც მთავარი საკომუნიკაციო გზა, საშუალება კომპიუტერში (the main communication avenue in the computer). მისი ფუნქციური დანიშნულება შემდეგია: იგი აკავშირებს პროცესორს, მეხსიერებას და კომპიუტერში შემავალ და გამავალ ყველა მონაცემს.

ამ შემთხვევაშიც სიტყვა *bus* გადატანითი მნიშვნელობით არის დამაკავშირებელი საშუალება, რაც მეტაფორულად ჰგავს აღნიშნული სიტყვის პირველად მნიშვნელობას (საგზაო ტრანსპორტი, რომელსაც გადაჰყავს მგზავრები დანიშნულების ადგილას). როგორც კომპიუტერული მოწყობილობა, იგი არის ლითონის ზოლი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს კომპიუტერის სხვადასხვა ნაწილს და უზრუნველყოფს მონაცემების გადაადგილებას ელექტრონული იმპულსების ფორმით. ამრიგად, მეტაფორიზაციის შედეგად გაფართოვდა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა და სპეციალიზებულ ტერმინად იქცა.

ლექსიკური ერთეულის პირველადი მნიშვნელობის გაფართოების შედეგად არის მიღებული ისეთი კომპიუტერული ტერმინი, როგორცაა *cell*. სიტყვა *cell* პოლისემიური არსებითი სახელია. მისი კომპონენტური ანალიზის შედეგად გამოვყავი შემდეგი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები:

1. კამერა, ნაკვეთური, სექცია;
2. უჯრედი;
3. სპეც. ა) ელემენტი; ბ) ფოტოელემენტი;
4. ტექნ. გადამწოდი;
5. კომპ. უჯრედი ისეთი ინფორმაციის ერთეული, რომელიც ქმნის მწკრივებსა და სვეტებს ელექტრონული ცხრილებისთვის.

კერძოდ, კომპიუტერულ ლექსიკონში ის შემდეგნაირად არის განმარტებული: „a unit of information that forms a building for a chart, database or spreadsheet“ (ინფორმაციის ერთეული, რომელიც ქმნის ერთგვარ სტრუქტურას სქემებისთვის, მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული ცხრილისთვის). აღნიშნული პოლისემიური სიტყვის ყოველ მნიშვნელობაში წინა პლანზეა სემა რაიმეს შემადგენელი ნაწილი, ელემენტი.

ლექსიკური ერთეულის *terminal* პირველადი მნიშვნელობაა რადაცის ბოლო ნაწილი. როგორც ზედსართავი სახელი კი იგი აღნიშნავს რადაცის დასრულებულ, ბოლო ნაწილს, იმავე ტერმინალს. როგორც კომპიუტერული ტერმინი, მისი მნიშვნელობა მოიცავს კომპიუტერის ეკრანსა და კლავიატურას; აღნიშნული დეტალის საშუალებით შესაძლოა კომპიუტერში მონაცემების როგორც შენახვა, ისე ამოღება. მას ერთგვარი საკომუნიკაციო მნიშვნელობა აქვს, რადგან მას ასევე შეუძლია სხვადასხვა ბრძანებისა და მოთხოვნის გაგზავნა, შეერთება სხვა სისტემასთან. კომპიუტერულ ტერმინთა ლექსიკონში

– *Dictionary of Computer and Internet Terms* (2009), ის შემდეგნაირად არის განმარტებული: „an input-out device consisting of a screen and keyboard for communication” (ინფორმაციის შეტანა-გამოტანის მოწყობილობა, რომელიც შეიცავს ეკრანსა და კლავიატურას კომუნიკაციისთვის).

აღნიშნულ შემთხვევაშიც ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა გაფართოვდა, ტერმინი აღნიშნავს ერთგვარ დამაბოლოებელ მოწყობილობას, რომლის საბოლოო ფუნქციას წარმოადგენს მონაცემების გაგზავნა.

**კომპიუტერული ქმედების აღნიშვნელი ინგლისურენოვანი ლექსიკური ერთეულებიდან** განვიხილეთ შემდეგი ტერმინები: **browse, surf, boot, freeze up, scroll.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, ზმნა log პოლისემიური სიტყვაა. როგორც კომპიუტერული ტერმინი ის აღნიშნავს სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩანაწერს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კომპიუტერული სისტემის გამოყენებას, ცვლილებას, რომელიც ხორციელდება კომპიუტერის მონაცემებში. როგორც ზმნას აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ა. ზღვ. გემის ჟურნალში შეტანა, ჩაწერა;

ბ. სპეც. ჟურნალში, ფორმულარში და სხვ. შეტანა, რეგისტრაცია.

2. როგორც კომპიუტერული ტერმინი log გვხვდება ფრაზული ზმნების სახით:

to log in, on- ა) სისტემაში შესვლა, ჩართვა;

ბ) სისტემაში ვისიმე ჩართვა, შეყვანა

to log off, out- ა) სისტემიდან გამოსვლა;

ბ) სისტემიდან ვისიმე გამორთვა

როგორც ვხედავთ, მოცემული სიტყვის ძირითად სემას აქვს ჩანაწერის, წერილობით ანგარიშის მნიშვნელობა. რეფერენტის ცვლამ მეტაფორიზაციის შედეგად გამოიწვია ცვლილება თვითონ ცნებაში სემანტიკურ კომპონენტთა შემადგენლობის თვალსაზრისით – როგორც კომპიუტერულმა ტერმინმა, ისეთი ჩანაწერის შენახვის მნიშვნელობა მიიღო, რომელიც კომპიუტერის სისტემასა და მონაცემებს ეხება. კომპიუტერული ტერმინების ლექსიკონში – *Dictionary of Computer and Internet Terms* (2009), იგი განმარტებულია შემდეგნაირად: „the function in many programming languages, that calculates the



natural logarithm of its argument” (ბევრი პროგრამული ენის ფუნქცია, რომელიც ითვლის მისი არგუმენტების ბუნებრივ ლოგარითმს). მოცემულ დეფინიციაზე დაყრდნობით ტერმინის სემანტიკა გაფართოვდა და, როგორც ფრაზულმა ზმნამ, მან შეიძინა სისტემაში შევლისა და გამოსვლის ფუნქციების მნიშვნელობანი.

ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, სიტყვას *browse*, როგორც არსებით სახელს, შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ხის, ბუჩქის ნორჩი ყლორტები, ამონაყარი;
2. ახალმოყრილი ყლორტების, ფოთლების ძოვა, წიწკნა;
3. გადახედვა, დათვალიერება

როგორც ზმნას:

1. გაკორტნა, წიწკნა, ნორჩი ყლორტების შემოცლა;
2. საქონლის ძოვება, საბალახოდ გაშვება;
3. მაღაზიაში და ა.შ. საქონლის აუჩქარებლად თვალიერება;
4. ა) წიგნის, გაზეთის დათვალიერება, გადაფურცვლა, წიგნისთვის, გაზეთისთვის და მისთ. თვალის გადავლება; ბ) წიგნის აუჩქარებელი შერჩევა მაღაზიაში, ბიბლიოთეკაში;

5. კომპ. ფაილის და მისთ. ძებნა, დისპლეიზე გამოტანილი მონაცემების თვალიერება (ფაილის და მისთ. მოსაძებნად), განსაკუთრებით კი მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში/ინტერნეტში საიტის თვალიერება: to browse a site on the Word Wide Web.

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის *browse* პირველადი მნიშვნელობა საქონლის მიერ ბალახის ძოვას, წიწკნას ნიშნავს, ეს პროცესი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც აუჩქარებელი, ნელი, მშვიდი მოძრაობა. მეტაფორიზაციის შედეგად მიღებულ ლექსიკურ ერთეულებში მოძრაობის აღნიშნული ტიპის აღმნიშვნელი სემა შენარჩუნდა და გადატანით მნიშვნელობით აღნიშნავს, როგორც აუჩქარებელ ქმედებას (კერძოდ, თვალიერებას, ძიებას). როგორც კომპიუტერულმა ტერმინმა *browse* შეინარჩუნა სიტყვის ბირთვული მნიშვნელობა, თუმცა სახეშეცვლილად, რადგან ის ნიშნავს ეკრანზე გამოტანილი მონაცემების თვალიერებასა და ძებნას.

ინტერესს იწვევს სიტყვის *surf* კომპიუტერულ ტერმინად გადაქცევის პროცესი:

თავდაპირველად არსებითი სახელი *surf* აღნიშნავდა:

1. ზღვის ტალღას, რომელიც ეჯახება, ეხეთქება ნაპირს, კლდეს.
2. ტალღის ქოჩორს, თეთრ ქაფს ტალღის თხემზე.

კონვერსიის შედეგად მიღებული ზმნა კი აღნიშნავს:

1. სერფინგს, დაფით ცურვას, ტალღებზე სრიალს;
2. ცურვას ტალღებში;
3. ჰაერში პარაშუტით ან დელტაპლანით სერფინგს, ნავიგაციას
4. კომპ. ინტერნეტით სარგებლობას, ინტერნეტ სივრცეში ნავიგაციას, საიტიდან საიტზე გადასვლას.

როგორც კომპიუტერულმა ტერმინმა, აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულმა მეტაფორიზაციის შედეგად შეიძინა სპეციალური მნიშვნელობა: საიტიდან საიტზე გადასვლა და ეკრანზე გამოსახულების სწრაფი ცვლა ფიგურალურად ჰგავს სერფინგისტის ქმედებას, რომელიც ტალღიდან ტალღაზე დასრიალებს.

სიტყვას *boot* შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ფეხის დარტყმა, წიხლის დარტყმა/რტყმა;
2. სპორტ. ბურთისთვის ფეხის ძლიერად დარტყმა;
3. კომპ. ა) კომპიუტერის სამუშაო რეჟიმში მოყვანა, ოპერაციული სისტემის/საწყისი ჩატვირთვის განხორციელება; ბ) სამუშაო რეჟიმშია, ჩატვირთულია, ითქმის კომპიუტერის შესახებ.

აღნიშნული კომპიუტერული ტერმინის თავდაპირველად ვარიანტი იყო *bootsrap* (სიტყვასიტყვით ყელიანი ფეხსაცმლის თასმა). დროთა განმავლობაში შეიკვეცა ტერმინი და დამკვიდრდა, როგორც *boot*. მისი წარმომავლობა უკავშირდება შემდეგ გამოთქმას „to pull oneself up by the bootstraps“. გამოთქმა ნიშნავს საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას, წარმატების მიღწევას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის შედეგად და არა ვინმეს დახმარებით. როგორც კომპიუტერული ტერმინი, ზემოთ აღნიშნული გამოთქმის შემდეგ მნიშვნელობას ემსახურება: კომპიუტერმა უნდა შეძლოს ისეთი პატარა პროგრამის ჩატვირთვა თავის მეხსიერებაში, რომელიც უზრუნველყოფს უფრო დიდი პროგრამების ჩატვირთვას. როგორც ტექნიკური ტერმინი, ერთი მხრივ, იგი უკავშირდება იმ პროგრამებს, რომლებიც მზად არის ოპერაციული სისტემების ჩამოსატვირთად, ხოლო, მეორე მხრივ, კომპიუტერული პროგრამის ამუშავებას მცირე ინსტრუქციების მიხედვით, რომლებიც შემდეგ ამოქმედებს დანარჩენ პროგრამებს. მაგალითად, კომპიუტერის ჩართვისთანავე ის ტვირთავს ისეთ პროგრამებს, რომელიც კომპიუტერის ჩართვისას იტვირთება, ხოლო შემდეგ მას მოჰყვება ოპერაციული, სამუშაო პროგრამების ამუშავება.

აღსანიშნავია ფრაზული ზმნა *freeze up*, რომლის პირველადი მნიშვნელობაა რისამე ზედაპირის ყინულით დაფარვა, გაყინვა, რო-

გორც კომპიუტერული ტერმინი კი გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ისეთ მოქმედებას, როდესაც კომპიუტერი აღარ რეაგირებს მონაცემთა სისტემაში შეყვანაზე. „გაყინული“ კომპიუტერები წყვეტენ ნებისმიერი ქმედების განხორციელებას, ასევე არ რეაგირებენ არც კლავიატურაზე.

ასევე აღსანიშნავია, სიტყვათა შეთანხმება *freeze date* ანუ კომპიუტერის ისეთი მახასიათებელი, როდესაც შეუძლებელია კომპიუტერულ პროგრამაში რაიმე ცვლილების შეტანა, რადგან იგი უცვლელია და მყარია.

კომპიუტერული ფრაზული ტერმინი *freeze up* მეტაფორულად ნიშნავს კომპიუტერის გაყინვას, ანუ მისი ყველა მოქმედების შეჩერებას. გაფართოვდა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის პირველადი მნიშვნელობა და კომპიუტერულ ქმედებას დაუკავშირდა.

ინტერესს იწვევს სიტყვის *to scroll* ეტიმოლოგია, რომელიც მოდის საშუალო ინგლისური სიტყვიდან *scrow*. ეს უკანასკნელი არის სიტყვის *roll* (გაგორება, ბრუნვითი მოძრაობა) ერთ-ერთი ვარიანტი. მეტაფორიზაციის შედეგად მიღებული კომპიუტერული ტერმინი აღნიშნავს კომპიუტერის ეკრანზე მსუბუქ ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ მოძრაობას ვიდეოს, ტექსტისა და სურათების შესაცვლელად.

როგორც კომპიუტერული ტერმინი, აღნიშნული ლექსიკური ერთეული პირდაპირ არის გადმოტანილი და ნიშნავს სკროლინგის წარმოებას ანუ სკროლინგს, ანუ ეკრანის ან ფანჯრის ტექსტის/გამოსახულების გადაადგილებას ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ სიბრტყეში. ინგლისურში გამოიყენება წინდებულებთან *up* და *down* (ზემოთ, ქვემოთ), რომლის გასაკეთებლად საკმარისია სკროლინგის ზოლზე დაწკაპება. სიტყვა *scroll* გვხვდება ისეთ სიტყვასთან, როგორცაა *bar* და ნიშნავს სკროლინგის ზოლს.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ათი ინგლისური კომპიუტერული ტერმინის ეტიმოლოგია და კომპიუტერულ ტერმინად ჩამოყალიბების პროცესი. ათივე შემთხვევაში კომპიუტერული ტერმინი მეტაფორიზაციის შედეგად არის მიღებული; დაკვირვებამ ცხადყო, რომ მსგავსება რეფერენტებს შორის შეიძლება იყოს: (ა) ვიზუალური; (ბ) ვიზუალური და ფუნქციური; (გ) ფუნქციური.

## ლიტერატურა

**გურაბანიძე, 2005** – გურაბანიძე, ისტორია და საინფორმაციო ტექნოლოგიები. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005.

**ლაიონსი, 1995** – Lyons J., Linguistic Semantics: An Introduction. Cambridge: Cambridge University Press, 1995.

**ლიჩი, 1974** – Leech G., Semantics. Penguin Books, 1974.

**ნაიდა, 1975** – Nida E.A., Componential Analysis of Meaning. Belgium: Mouton, 1975.

**სიჭინავა, 2004** – სიჭინავა, მოკარნახე დამწყებთათვის. ნაწილი პირველი. თბ., გამომცემლობა „ცოტნე“, 2004.

**ულმანი, 1962** – Ullmann S., Semantics: An Introduction to the science of meaning. Oxford: Blackwell, 1962.

**ტრაუგოტი და დაშერი, 2004** – Traugott E.C. and Dasher R.B. Regularity of Semantic Change. Cambridge: Cambridge University Press, 2004.

## ლექსიკონები

Cambridge International Dictionary of English, Cambridge University Press, 1996;

Dictionary of Computer and Internet Terms, Tenth Edition, 2009;

The Random House Dictionary of the English Language, Second Edition, Unabridged, 1987;

[www.dictionary.ge](http://www.dictionary.ge)-დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2017);

[www.dictionary.reference.com](http://www.dictionary.reference.com) (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2017);

[www.techterms.com](http://www.techterms.com) (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2017);

## **Lexico -Semantic Analysis of Some English Computer Terms**

### Summary

The paper examines 10 English computer terms etymologically and lexico-semantically. The empirical data embraces samples taken from the authoritative dictionaries of English. Prior to the analysis of the data two major mechanisms of semantic change - metaphor and metonymy are discussed.

The lexical units under discussion are classified into those:

1. Referring to the main computer parts (mouse, memory, bus, cell, terminal);
2. Denoting operations that can be carried out with the help of the computer (browse,surf, boot, freeze up, scroll ).

The semantic analysis of the data in question has shown that most of the terms are the result of metaphorization. The process of metaphorization is based on the visual, functional and situational resemblance between different referents. The study has also revealed that the coinage of computer terms is based on the resources of the English language itself.

ილისაბედ ბაზდელიანი

ზოგი რელიგიური ტერმინი სვანურ  
მიკროტოკონიშნებში

სვანეთი ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური ტომის, სვანების, უძველესი საცხოვრისი ადგილია, რომელიც დღევანდელი სვანეთის (ზემო და ქვემო სვანეთი) საზღვრებში საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე უცხო ტომთა ცხოვრების კვალი არ შეინიშნება. სვანური ტოპონიმების დიდი ნაწილი აზორიგენი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველური ენობრივი მონაცემებით არის ნაშენები.

ისტორიული წყაროებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უძველეს, ჩვენგან მრავალი საუკუნით დაშორებულ ეპოქაში, სვანურენოვანი მოსახლეობა შავ ზღვამდე იყო გავრცელებული. „ტოპონიმიკური სახელები გვამღევენ იმის უტყუარ საბუთს, რომ სვანები ძველად გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ახლა ცხოვრობენ. ლეჩხუმსა, რაჭასა და სამეგრელოში მრავალი გეოგრაფიული სახელია სვანური აფიქსებით ნაწარმოები“ (ზურაბიშვილი, 1961, 136). არამხოლოდ აფიქსებია აღნიშნულ ტერიტორიებზე სვანური, არამედ ტოპონიმთა ფუძეებიც ხშირად სვანური ენის კუთვნილება ჩანს.

ტოპონიმიკის აღნუსხვა, მისი მეცნიერულად შესწავლა საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ვინაობა. გეოგრაფიულ სახელთა გენეზისი და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი დაეხმარება ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს ხალხთა ისტორიის, მათი ყოფაცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში.

ტოპონიმიკა, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად, იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“ (ჯანაშია 1959, 117-123).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „ადგილთა სახელები გადამლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ჩაუწერიათ“.

ტოპონიმებს დედამიწის ენასაც უწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ სვანური მიკროტოპონიმის მცენიერულად დღესაც ნაკლებად შესწავლილად ითვლება.

საერთოდ, ქართული ტოპონიმის და, მათ შორის, სვანეთის მიკროტოპონიმების, ადგილის სახელწოდებათა აღწერას და სამცენიერო მიმოქცევაში შემოტანას იმთავითვე მეტად საშურ საქმედ მიიჩნევენ.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის თანამშრომელს, ფილოლოგიურ მცენიერებათა კანდიდატს, სვანეთის მკვიდრს, სვანური ენისა და სვანების ყოფა-ცხოვრების უზადლო მცოდნე ამბაკო ჭკადუას დაევალა ზემო და ქვემო სვანეთის მიკროტოპონიმების შეძლებისდაგვარად სრულად აღწერა. აღნიშნული სამუშაო მან პირნათლად შეასრულა. ა. ჭკადუამ ფეხდაფეხ თუ ცხენით მთელი სვანეთი შემოიარა, დატოვა ამ მხარის მიკროტოპონიმების უნიკალური მასალა.

უნდა ითქვას, რომ 50 წლის წინ ჩაწერილი მიკროტოპონიმების სახელწოდებების ნაწილი დღეს დაკარგული, დავიწყებული ან შეცვლილია. ცხოვრების მძიმე პირობებმა, მცირემიწიანობამ, დიდი ტრადიციული ოჯახების დაშლამ, უარყოფითმა ბუნებრივმა მოვლენებმა, ეკრომიგრაციამ, რაც ბოლო წლებში მოხდა სვანეთში, ზოგი სოფლის მოსახლეობისაგან ნაწილობრივი ან სრული დაცლა გამოიწვია.

გვინდა ამბაკო ჭკადუას მიერ ჩაწერილი მიკროტოპონიმებიდან გამოვყოთ საკრალური ტერმინების შემცველი ზოგი ადგილის გეოგრაფიული სახელები.

სამცენიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თითქმის ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა ერთი ფენა, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ ხალხის რელიგიური შეხედულებებისა და წეს-ჩვეულებათა ამსახველ გეოგრაფიულ სახელებს – ე. წ. საკულტო ტოპონიმებს“ (მაღრაძე, 2000, 122-127).

მცენიერთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს სვანეთში შემორჩენილი ადრექრისტიანული, წარმართობის ელფერის მატარებელი რელიგიური, საკრალური ტერმინების შემცველი ტოპონიმები და რიტუალები, რომელთა ჩატარების დროს აუცილებელი იყო, რომელიმე ღვთაებისადმი მიძღვნილი **ლი-მზერ-ი** „ლოცვა“, სა-

ნთელ-საკმეველი, საკლავი, ზედაშე, გამომცხვარი ჰურების (**ლე-მე-ზირ**-ების „შესაწირავი კვერების“) შეწირვა. რელიგიური რიტუალების გამართვა და ლოცვა-ვედრება ჩვეულებრივი მოვლენაა მთიელთა ცხოვრებაში, მათ შორის სვანებშიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრების მძიმე პირობები, მკაცრი ბუნება, ზამთრის ხანგრძლივობა, რომელიც ზოგან რვა თვეს გრძელდება, დიდთოვლობა, ყოველდღიური მოსალოდნელი უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები, ზვავებისა და მეწყერების სიხშირე, საყოფაცხოვრებო ხიფათის არსებობა განაპირობებდა ღვთაებათა და წმინდანთა თაყვანისცემას, მათდამი მიძღვნილ რელიგიური რიტუალების ჩატარებას, როცა ღმერთებს ევედრებოდნენ ოჯახის წევრთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, საქონლის ზარალისაგან დაცვას, მშვიდობას შინ და გარეთ, უხვი მოსავლისათვის ხელსაყრელ ამინდს, ბარში საშოვარზე წასული მამაკაცების შინ მშვიდობით დაბრუნებას. ოჯახის უფროსი მამაკაცი ან უფროსი დიასახლისი საკრალურ ადგილზე, ეკლესიაში ან ოჯახში – მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ატარებდა სხვადასხვა რიტუალს და ლოცვა-ვედრებას, იმის მიხედვით, რომელი ღმერთი ან წმინდანი რისი ან ვისი მფარველი იყო.

მიკროტოპონიმები საერთოდ და მათ შორის სვანურიც, ძირითადად შეიცავს: ეკლესია-სალოცავების, სათიბების, საძოვრების, ყანების, სოფლის უბნების, მომცრო მდინარეების, მათი შენაკადების, ღელეების მიმდებარე მიდამოების, ტყეების, მათკენ მიმავალი გზების, ადამიანთა თავშეყრის, ბუნებრივ მოვლენათა, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ამა თუ იმ სახეობის გავრცელების ადგილთა სახელწოდებებს, ტოპონიმებს.

როგორც ზემოთ ითქვა, სვანურ მიკროტოპონიმებს შორის დიდი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ღვთაებათა და წმინდანთა სალოცავ ადგილებს, ასევე მათთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალთა და დღეობათა ჩასატარებელ ადგილთა სახელებს.

მაგ.: **ლწ-მზერ** ზს., **ლა-მზერ** ლშხ. **ლწ-მზერ** || **ლწ-მეზერ** ლნტ. „სალოცავი ადგილი“. ამ მიკროტოპონიმში გამოიყოფა **ლა-**, **ლწ-** დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსი, რომელიც ამავე მნიშვნელობის ქართული **სა-** პრეფიქსის ბადალი ფორმანტია. სვანური **ლწ-** პრეფიქსის ხმოვნის უმლაუტი ბალსზემოურში გამოიწვია ფუძისეული **-ე-** ხმოვნის რედუქციამ, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში წინამავალი **-ა** ხმოვნის უმლაუტს იწვევს, როგორც რედუცირე-



ბული, ისე არარედუცირებული -ე- ხმოვანი. შდრ. ლნტ. **ლწ-მე-ზგრ** „სალოცავი ადგილი“; **ლი-მეზრ-ე** „დალოცვა, ლოცვა“. როგორც ცნობილია, ლენტეხურ დიალექტს სხვა დიალექტებთან შედარებით ხმოვანთა რედუქცია ნაკლებად ახასიათებს, ამოსავალი ფორმები, სრულხმოვნობა ამ დიალექტში ხშირად დაცულია. შდრ. აგრეთვე ამავე ფუძესთან საერთო **მეზირ** – „ოჯახის მფარველი, ბარაქის მონიჭებელი, ოჯახზე მლოცველი ძალა...“ (ბარდაველიძე, 1939, 134). ხშირად მთაში გადაადგილების დროს, სახიფათო კლდეებისა და ბილიკების გავლის შემდეგ მშვიდობიან, უხიფათო ადგილას ლოცულობენ, მადლობას უხდიან ღვთაებებს: „**მწ როქ შუიდობდ ოლკადდ** (ს. ლახამულა) „მადლობა, რომ მშვიდობით მოვედითო“. ამ ადგილს **ლწ-მზგრ**ს „სალოცავს“ უწოდებენ. შეიძლება ასეთ ადგილზე ეკლესია ან რამე სალოცავი ნიში არ იყოს.

**ლწ-მზგრ** „სალოცავი“ – ამ სახელით აღინიშნება მიკროტოპონიმები მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში. სათიბი **მაგარდელი, ღვებალდი**; საძოვარი **ფხეტრერი, ლახამულა**; ლენტეხის რაიონში ს. **ყარიშში**, ს. მუწდიში მიკროტოპონიმია **ლა-მზგრ ღუმურ** „სალოცავი ნაძვი“; **ლა-მზგრ ლე-ცხტმ-ერ** „სალოცავი რცხილნარი“ **ლე – -ერ** კონფიქსია, ფუძეა **ცხუმ, ცხტიმ** „რცხილა“. რცხილნარი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება **ლე-ცხტმ-წრ** ფორმაც. **ლწმზგრ ლაცხტი** „სალოცავი ნაკრძალი“ (მესტია ს. ტობარი). **ლაცხტი || ლაცხატ** „ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შეწირული საყანე ადგილი“ (ბარდაველიძე, 1939, 206). ამ შემთხვევაში **ლწმზგრ ლაცხტი** კლდეა, აქამდე ძნელად გასავლელი ბილიკი ყოფილა და, რადგანაც აქამდე მშვიდობით გამოვალწიეთო, წმინდა გიორგის მიმართავენ. **„ჯგვრწგ, ხოჩა გუყი აწზელალინ ჩიგარ** – „წმინდა გიორგი, კარგ გულზე (გახარებული) გვატარე ყოველთვის“. ნაძვის ტოტს მოტეხდნენ და დებდნენ ერთ ადგილას. ხშირად სალოცავების მიმდებარედ გვხვდება ნაკრძალი ტყეც, სადაც ხის მოჭრა და სხვა რამე სამეურნეო საქმიანობა აკრძალულია. **ლიცხტენი** – ყელში გაჩხირვა, შეჩვენება, დაწყევლა (ლიპარტელიანი, 1994, 195). ამავე ლექსიკონში შეტანილია **ცხატა** ფორმა, გაჩხირება, გაკვეხება, ხატზე გადაცემა ნაჭდევნი ჯოხის დასობით“ (ლიპარტელიანი, 1994, 324). იგულისხმება აკრძალვის გამტეხის დაწყევლა, ხატზე გადაცემა.

**ლწმზგერი ჯიპრა** „სალოცავი მუხა“ (მესტია, ს. ბეჩო) აქ ევედრებიან სალოცავ, წმინდა მუხას რევმატიული დაავადებისაგან დაცვას და იხდიან სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. **ლწმზგრ კაკწრ**

„სალოცავი კაკლები“ (კაკლის ხეები)“ (მესტია, ს. ლარილარ); **ლამზერ ნაკ** „სალოცავი ვაკე“ (მესტია, ს. ვედი); იქვეა **ლამზერ ლაქტმი** „სალოცავი ეკლესია“. **ლაქტამ** ბზ., **ლაქტამ** ლნტ., **ლაქტამ** ლშზ., **ლაქტმი** ბქ. „ეკლესია“. შდრ. **ლიქტამი** ბზ., **ლიქტამი** ბქ., 1. „მადლობის თქმა“; 2. გადალოცვა სასმისის. **მაქტამ** ბზ., **მაქტამ** ბქ. „მადლობა“. **მაქტამზ** ბზ., **მაქტამზ** ბქ. „მადლიერი“ (თოფურია, ქალდან, 2000). **ლაქტამი**, **ლაქტმი** ეტიმოლოგიურად ნიშნავს ადგილს, სადაც ღმერთებს მადლობას უხდებიან, სამადლობელი ადგილი, ეკლესია.

**ლამზერ კოჯ** „სალოცავი კლდე“ (მესტია, ს. უშგული). ა. ჭკადუას ცნობით, ადრე ქალების სალოცავი ყოფილა, შესაძლებელია, **ქპ** ზვავის“ საწინააღმდეგოდ ლოცულობდნენო. **ლამზერ ნენზ** „სალოცავი სოჭი“; **ლამზერ ნენძარ** „სალოცავი სოჭები“ (მესტია, ზემო მარლი). **ლამზერ** საკრალური ტერმინი გვხვდება კნინობითი ფორმით **ლამზერ-გლ** „დ“ – „სალოცავი“ – **გლ** „დ“ კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსია. ამ ფორმით, როგორც ჩანს, აღინიშნება საკულტო ადგილის მოცულობითი სიმცირე (მესტია, ბოგრეში, დაკარი; ლენტეხი ს. შგედი). შგედის მთაში არის სამოვარი სახელწოდებით **ლამზირ-რლ** „სალოცავი“ – **რლ** კნინობითის მაწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსია. **ლამზერგლ-პშ** „სალოცავის“, კნინობით ფორმაზე – **პშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია დართული. ასევე კნინობით ფორმაზეა მრავლობითი რიცხვის – **პრ** ნიშანი მიკროტოპონიმ **ლამზერგლ-პრ** „სალოცავები, სალოცავი ადგილები“ (მესტია, ს. ბაგვდანარი). დასტურდება სამ და ოთხ კომპონენტია ერთი და იგივე ტოპონიმი: **ლამზერ ჩუბე ნაკვლდაშ** **ლევხტმერ** – „სალოცავი ქვემო ნაკვლდაშის რცხილნარი“ || **ლამზერ ჩუბე ნაკვლდა** – „სალოცავი ქვემო ვაკობი“ (მესტია, ს. ქვ. ვედი).

სვანურ მიკროტოპონიმებს შორის გამოიყოფა მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული ეკლესიების, სალოცავებისა და სხვადასხვა ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები.

**მაცხოვარი** – სიცოცხლის მიმნიჭებელი იესო ქრისტეს ეპითეტი (ქეგლ).

სვანურში დიალექტების მიხედვით გვაქვს შემდეგი ფორმები: **მაცხტარ** ბზ., **მაცხტარ** ბქ., ლნტ., **მაცხტარ** ლშზ. 1. მაცხოვარი 2. მაცხოვრის ეკლესია (თოფურია, ქალდან, 2000).

მაცხოვარი სვანურში ქართულიდან შესული ტერმინია **მაცხტარ**, **მაცხტარ**... ფორმით. როგორც ცნობილია, სვანურში სახელობითი – **ი** ბრუნვის ნიშანი იკარგება და ფუძისეული **ა** ხმოვანზე

კვალს ტოვებს უმლაუტის სახით.

ა. ჭკადუას მიერ შედგენილ მიკროტოპონიმთა ჩამონათვალში მაცხოვართან დაკავშირებული 40 საკრალური ადგილია დაფიქსირებული.

**მაცხტპრ** „მაცხოვარი“ პირველადი, არამარკირებული ფორმით, გვხვდება ეკლესია, საყდარი, ნაეკლესიარის სახელწოდებად საზღვრულის გარეშე მითითებულია მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში: **ლაპილი, ჩვაბიანი, ჰადიში, ჟაბეში, ხალდე, ლახუშტი, მაცხვარიში, ჯოხულდი...** გარდა ამისა, ხშირად გვხვდება საზღვრულთან ერთად: **მაცხტპრი ლმზერ** – „მაცხოვრის სალოცავი“ გზა, ტყე (მესტია, ს. იელი). გზიდან ჩანს წვირმის მაცხოვრის ეკლესია. **მაცხტპრი ლაშდუბიარ** – „მაცხოვრის სასაფლაოები“ (მესტია, ს. მაცხტარიში); **მაცხტპრი მურყუამ** – „მაცხოვრის კოშკი“ (მესტია, ს. ჟამუში) მაცხოვრის ეკლესიის გვერდით დგას კოშკი; ამავე სახელწოდებით აღინიშნება ნაკოშკარი (მესტია, ს. ჟამუში); **მაცხტპრი სუიფ** – „მაცხოვრის სასოფლო მოედანი, საფიხტნო“; **მაცხტპრი ნაკ** – „მაცხოვრის ვაკე“ სათიბი (ლენტეხი, ს. ლასკადარი); **მაცხტპრი საყდარ** – „მაცხოვრის საყდარი“ (მესტია, ს. ლაღამი); **მაცხტპრი ნაკელდარ** – „მაცხოვრის სათიბები“ (მესტია, ს. იფხი). ამ მიკროტოპონიმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -**შ** დაკარგულია.

დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრული ფორმით დართვის შემთხვევები. **მაცხტპრიშ** „მაცხოვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლადრერი, ლენტეხი, ს. ხაჩეში), საყდარი (ლენტეხი, ს. ცხუმალდი), სათიბი (ლენტეხი, ს. ზედა ბავარი); **მაცხტპრიშ** „მაცხოვრის“ სოფელი მაცხვარიში, სამოვარი (მესტია, ს. ზარდალაში);

**მაცხტპრ ლანხტრიანშ** – „მაცხოვარი ლანხვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლანხვარი); **მაცხტპრიში ლახტ** – „მაცხოვრის მთა“ სათიბი (მესტია, ს. მაცხვარიში); **მაცხტპრიში სუიკტ** – „მაცხოვრის ბორცვი, გორაკი“ ნაეკლესიარი (ლენტეხი, ს. ხაჩეში); **მაცხტპარიში ღელა** – „მაცხოვრის ღელე“ (ლენტეხი ს. ცხუმალდი); **მაცხტპარიში ზოგ** – „მაცხოვრის ხიდი“ (მესტია, ს. კვანჭიანარი): სამი მიკროტოპონიმი შეგვხვდა კნინობითი ფორმით **მაცხტპრილ** – ტყე, სამოვარი ნაეკლესიარი (მესტია, ს. სოლი).

ა. ჭკადუას ხელნაწერ ნაშრომში – სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონი, წინასწარი მონაცემებით, მრავლად ჩანს რელიგიური ტერმინები. ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით.

## ლიტერატურა

**ბარდაველიძე, 1939** – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღე-ობათა კალენდარი, თბ., 1939.

**ზურაბიშვილი, 1961** – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, II.

**თოფურია, ქალდანი, 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ლიპარტელიანი, 1994** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოღურული კილო), თბ., 1994.

**მადრაძე, 2006** – ვ. მადრაძე, ქართველური ტოპონიმების და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006.

**ნიჭარაძე, 2007** – ბესარიონ ნიჭარაძე, ქართულ-სვანური-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.

**ჯანაშია, 1959** – ს. ჯანაშია, შრომები III, თბ., 1959.

ELIZABETH GAZDELIANI

### Some Religious Terms in Svan Microtoponyms

#### Summary

In the 70s of the 20<sup>th</sup> century Ambako Chkadua accumulated Upper and Lower Svan toponyms. The paper presents structural and semantic analysis of some microtoponyms based on two sacral lexical items *lämzər*, *lamzər* (meaning *a place of worship*) and *macxwär*, *macxwär* (*Saviour*, taken from A.Chkadua's manuscript 'Toponymic Dictionary of Svan')

გიორგი ბოზოლაშვილი

ისტორიულ ერთემიან ზმნათა ფორმაწარმოების  
თავისებურებათა შესახებ\*

ერთემიან ზმნებზე მსჯელობისას ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (შანიძე, 1973, 388) ორმოციოდე ზმნას ასახელებს (ჩვეულებრივ ჩამონათვალში I პირის ფორმებია მოყვანილი, ჩვენც ასე დავიმოწმებთ). ჩამოთვლილ ზმნებს რამდენიმე ჯგუფად დავყოფთ:

ა) ზმნები, რომლებშიც ერთემიანობა მეორეულია: მოვი-**ტან** (<ტან-ებ), მოვი-**ყვან** (<ყვან-ებ), ვი-**ხმარ** (<ხმარ-ებ)...

ბ) ზმნები, რომლებიც ისტორიულადაც და ამჟამადაც ერთემიანები არიან: ვ-**ზან**, ვს-**თხოვ**, ვ-**ფხან**, ვ-**ქსოვ**, ვ-**ჭამ**, ვ-**ძოვ**, ვს-**წოვ**...

გ) რამდენიმე ზმნამ -**ო** ელემენტი განივიტარა აწმყოში: ვი-**კვებ(ნ)**-ი, ვ-**მღერ-ი** (||ვ-მღერ-ი-ვარ)...

დ) ზმნები, რომლებიც -**ავ** თემისნიშნაინები გახდნენ: „ზმნების უმეტესობას დაერთო -**ავ** და ისინი ორთემიანები გახდნენ“ (შანიძე, 1973, 389); ავტორი ასეთ 18 ზმნას ასახელებს: ვ-**ბერტყ-ავ**, ვ-**თელ-ავ**, ვ-**კეც-ავ**, ვ-**კვეც-ავ**, ვ-**ლეს-ავ**, ვ-**ლეწ-ავ**, ვ-**ნაყ-ავ**, ვ-**პენტ-ავ**, ვ-**რეკ-ავ**, ვ-**რეცხ-ავ**, ვ-**ქექ-ავ**, ვ-**ღებ-ავ**, ვ-**ღობ-ავ**, ვ-**ჩებ-ავ**, ვ-**ძრახ-ავ**, ვ-**ხეთქ-ავ**, ვ-**ხეხ-ავ**, ვ-**ხვეტ-ავ**...

ამ უკანასკნელი ჯგუფის ზმნებში არაა ერთგვაროვანი ვითარება: ერთემიანთა გაორთემიანების პროცესი სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს ახალი ქართული ენის სხვადასხვა ნაირსახეობაში. დიალექტთა ერთ ჯგუფში (ესაა უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში) ძველი ვითარებაა დაცული – არ მოხდა გაორთემიანება: **თეს-ს**, **თიხ-ს**, **რეცხ-ს**... დიალექტთა მეორე ნაწილში პარალელური წრმოება გვაქვს: **რეკ-ს**||**რეკ-ავ-ს**, **ჭედ-ს**||**ჭედ-ავ-ს**, **კვეც-ს**||**კვეც-ავ-ს** (გოგოლაშვილი, 2017)... პარალელურ ფორმათაგან

\* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული ენის გრამატიკა ნორმასა და ვარიაციებს შორის“ (N FR-17-158) ფარგლებში.

ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ორთემიანს; თუმცა არის შემთხვევები, როცა პარალელურ ვარიანტთაგან **-ავ** თემისნიშნიანს აშკარა დიალექტური ელფერი აქვს: **ტებ-ს||ტებ-ავ/ამ-ს, წერ-ს||წერ-ავ/ამ-ს...**

ისტორიულ ერთთემიან ზმნათა ფორმაწარმოებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვან ვითარებას გვიჩვენებს ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1998):

ა)სასაუბრო მეტყველებაში დადასტურებულ პარალელურ ფორმათაგან ლექსიკონში ერთთემიანი ვარიანტი არის მიჩნეული მართებულად შემდეგ შემთხვევებში:

**კვეთ-ს,**  
**კვიც-ს,**  
**რაცხ-ს,**  
**ტებ-ს,**  
**ჩებ-ს,**  
**წერ-ს,**  
**ხვეტ-ს.**

სხვათაშორის, ა. შანიძეს მიაჩნია, რომ ახალ ქართულში სწორი ფორმებია **ჩებ-ავ-ს** და **ხვეტ-ავ-ს**; ეს ფაქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პარალელურ ფორმათაგან ა. შანიძე ერთს ანიჭებს უპირატესობას, ლექსიკონის ავტორები – მეორეს...

ბ) ლექსიკონი პარალელურ ფორმათაგან ორთემიან (**-ავ** თემისნიშნიან) ვარიანტს მიიჩნევს მართებულად შემდეგ შემთხვევებში:

**ბერტყ-ავ-ს,**  
**თელ-ავ-ს,**  
**თეს-ავ-ს,**  
**თიბ-ავ-ს,**  
**კიც-ავ-ს,**  
**ლეს-ავ-ს,**  
**ლეწ-ავ-ს,**  
**ნაყ-ავ-ს,**  
**პენტ-ავ-ს,**  
**რეკ-ავ-ს,**  
**რეცხ-ავ-ს,**  
**ქექ-ავ-ს,**  
**ღებ-ავ-ს,**  
**ღობ-ავ-ს,**

**პრახ-ავ-ს,**

**ჰედ-ავ-ს,**

**ხეხ-ავ-ს,**

**ხოც-ავ-ს...**

გ) ლექსიკონი მართებულად წარმოგვიდგენს პარალელურ ვარიანტთაგან ორივე ფორმას ორი ზმნის შემთხვევაში:

**ჩეჩ-ს||ჩეჩ-ავ-ს,**

**ხეთქ-ს||ხეთქ-ავ-ს...**

სხვათაშორის, არის შემთხვევა, როცა უზმნისწინო ვარიანტი ერთთემიანია მართებულად ჩათვლილი, ზმნისწინიანი – ორთემიანი:

**რაცხ-ს და შერაცხ-ავ-ს...**

ნორმათა მიხედვით, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა I თურმეობითის დაბოლოების ვარიანტთაგან თემისნიშნიანი ფორმის ნორმად მიჩნევის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ **-ავ** თემისნიშნიანები გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (ნორმები, 1986, 216). ჩვენი აზრით, ამ ფონზე შეიძლება გაუგებრი იყოს შე-**კვეც-ავ-ს**, **გარეცხ-ავ-ს**, მო-**ტეხ-ავ-ს**, და-**ჩეხ-ავ-ს**, მოი-**ხევეჭ-ავ-ს** ტიპის ორთემიან ფორმათა მიჩნევა არამართებულად, ამ შემთხვევებშიც შესაძლებელია **ჩეჩ-ს||ჩეჩ-ავ-ს**, **ხეთქ-ს||ხეთქ-ავ-ს** ტიპის მსგავს პარალელურ ფორმათა მიჩნევა მართებულად...

უფრო პრობლემურად გვეჩვენება I თურმეობითის ფორმათა დაბოლოების საკითხი განსახილველ ზმნებში: როგორც ვნახეთ, განსახილველი ორთემიანი ზმნები ყველა **-ავ** თემისნიშნიანია. არსებულ ნორმათა მიხედვით, ორპირიანი **-ავ** თემისნიშნიანი ზმნები I თურმეობითში თემის ნიშანს გადაიყოლებს; **-ია** დაბოლოებიანი ფორმები მიჩნეულია არანორმატულად და ნორმათა მოთხოვნის შესაბამისად „ეს ფორმები უკუგდებულ შეიძლება იყოს“ (ნორმები, 1986, 217). ეს ნორმა ორთოგრაფიულ ლექსიკონში განუხრელადაა გატარებული; ყველა შემთხვევაში არის მითითებული I თურმეობითის **-ავ** თემისნიშნიანი ფორმა (უ-**მალ-ავ-ს**, უ-**მარხ-ავ-ს**, უ-**ხატ-ავ-ს**, უ-**ხრჯ-ავ-ს**...)

ისტორიულ ერთთემიან ზმნებში ეს პრინციპი ირღვევა. ცხადია, როცა ნორმად არის მიჩნეული ორთემიანი ვარიანტი, I თურმეობითში მოქმედი ნორმის მიხედვით **-ავ** თემის ნიშანი უნდა გადაჰყვეს. შესაბამისად, უნდა გვქონდეს:

უ-ბერტყ-ავ-ს, უ-თელ-ავ-ს, უ-თეს-ავ-ს, უ-თიბ-ავ-ს, უ-კეც-ავ-ს, უ-ლეს-ავ-ს, უ-ლეწ-ავ-ს და მისთანანი. ასეც არის ზემოჩამოთვლილ ზმნათა ერთ ნაწილში; ლექსიკონში I თურმეობითის ფორმებად არის მითითებული: უ-ბერტყ-ავ-ს, უ-თეს-ავ-ს, უ-პენტ-ავ-ს, უ-რეკ-ავ-ს, უ-რეცხ-ავ-ს, უ-ქექ-ავ-ს, უ-ღებ-ავ-ს, უ-ღობ-ავ-ს, უ-ძრახ-ავ-ს, უ-ჭედ-ავ-ს, უ-ხოც-ავ-ს... ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ზმნათა -ია დაბოლოებიანი ფორმები, „ნორმების“ ენით რომ ვთქვათ, „უკუგდებულ უნდა იქნეს“: უ-ბერტყ-ია, უ-თეს-ია, უ-პენტ-ია, უ-რეკ-ია, უ-რეცხ-ია, უ-ქექ-ია, უ-ღებ-ია, უ-ღობ-ია, უ-ძრახ-ია, უ-ჭედ-ია, უ-ხოც-ია... არის კი ასე? ეს საკითხი რომ ლექსიკონის შემდგენელ-რედაქტორთათვისაც პრობლემაურია, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ტიპის (გაორთემაიანებულ) ზმნათა ერთ ნაწილს ლექსიკონში არ მიეთითება I თურმეობითის ფორმა; ეს ზმნებია:

- თელ-ავ-ს (უ-თელ-ია თუ უ-თელ-ავ-ს?)
- თიბ-ავ-ს (უ-თიბ-ია თუ უ-თიბ-ავ-ს?)
- კეც-ავ-ს (უ-კეც-ია თუ უ-კეც-ავ-ს?)
- ლეს-ავ-ს (უ-ლეს-ია თუ უ-ლეს-ავ-ს?)
- ლეწ-ავ-ს (უ-ლეწ-ია თუ უ-ლეწ-ავ-ს?)
- ნაყ-ავ-ს (უ-ნაყ-ია თუ უ-ნაყ-ავ-ს?)
- პენტ-ავ-ს (უ-პენტ-ია თუ უ-პენტ-ავ-ს?)
- ხეხ-ავ-ს (უ-ხეხ-ია თუ უ-ხეხ-ავ-ს?)...

როგორც ზემოთ ვთქვით, ორ შემთხვევაში ლექსიკონში პარალელური ვარიანტებია დაშვებული აწმყოში; ასეთ ზმნებთან პარალელური ვარიანტები უნდა იყოს I თურმეობითშიც, თუმცა ასე არაა:

- ჩეჩ-ს||ჩეჩ-ავ-ს თურმ. უ-ჩეჩ-ია – -ია დაბოლებიანი ფორმა ნორმად;
- ხეთქ-ს||ხეთქ-ავ-ს თურმ. უ-ხეთქ-ავ-ს... – -ავ სუფიქსიანი ფორმა!..

როგორც ცნობილია, ორპირიან -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა I თურმეობითში ნორმად თემისნიშნიან ვარიანტთა მიჩნევას სამი არგუმენტი აქვს:

- ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (ნორმები, 1986, 216).



თუ ამ არგუმენტებს გავითვალისწინებთ, ჩვენ მიერ სამსჯელოდ აღებულ ისტორიულ ერთეულებთან ზმნებში:

ა) წარმოების თვალსაზრისით მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ორივე ვარიანტი – დაუ-**თეს-ია** და და-**უთეს-ავ**-ს: ვითვალისწინებთ იმას, რომ ენაში მომხდარი კანონზომიერი სისტემური ცვლილების ყველა საფეხური მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული; ამ შემთხვევაში ადრეული საფეხურიც (დაუ-თეს-ია) და გვიანდელი საფეხურიც (დაუ-თეს-ავ-ს) კანონზომიერია...

ბ) ისტორიულად მართებულია **-ია** დაბოლოებიანი ფორმები;

გ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია (ალბათ უმჯობესია ითქვას - უფრო ხშირად ხმარებულია) **-ია** დაბოლოებიანი ფორმები ( დაუ-**თეს-ია**, დაუ-**კეც-ია**, გაუ-**რეცხ-ია**...). ეს მონაცემები უპირატესობას ანიჭებს **-ია** დაბოლოებიან ფორმებს... წესით, ეს დასკვნა უნდა გაკეთებულიყო ამ შემთხვევაში, მაგრამ ამ დასკვნის გაკეთება პრინციპული ხასიათის სირთულეს წარმოქმნიდა არსებულ ნორმებში: ორპირიან გარდამავალ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნთან ზმნათა I თურმეობითის დაბოლოების შესახებ არსებული ნორმა ვედარ იქნება უგამონაკლისო; აღარ გვექნება უნიფიცირებული ნორმა... ისტორიულად ერთეულებთან, მაგრამ ამჟამად **-ავ** თემისნიშნისანებში თუ ნორმად დავუშვებთ ისტორიულად მართებულ **-ია** დაბოლოებიან ფორმებს (დაუ-**თეს-ია**, მოუ-**თიბ-ია**, დაუ-**რეცხ-ია**...), ამ ნორმათა ფართო მომხმარებელს მოვთხოვთ სიტყვა-ფორმათა ისტორიის ცოდნას, რაც ჩვეულებრივ მიუღებელია...

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ორპირიან, გარდამავალ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნთან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ ნორმა გადასახედა; უფრო ზუსტად, **-ია** დაბოლოებიან ფორმებს აკრძალვა უნდა მოეხსნას...

## ლიტერატურა

**გოგოლაშვილი, 2017** – გ. გოგოლაშვილი, ერთეულებთან ზმნათა I სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი დიალექტებში: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 2017.

**თოფურია, გიგინეიშვილი, 1998** – ვ. თოფურია და ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

**ნორმები, 1986** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986.

**შანიძე, 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

GIORGI GOGOLASHVILI

### Towards Some Peculiarities of the Formation of the Verbs Historically Having a Simple Base

#### Summary

The Old Georgian verbs with a simple base have undergone interesting form-building changes. Most of them took the marker *-av* (*tel-av-s*, *ᵏᵉᶜ-av-s*, *les-av-s*, *reᶓ-av-s*, *čex-av-s* etc.) thus becoming the verbs with a complex base, joining quite a large group of the verbs with the thematic marker *-av* (*bar-av-s*, *mal-av-s*, *xat-av-s* etc.).

According to the norms of Standard Georgian the thematic markers *-av* and *-am* are preserved in Resultative I (*daumal-av-s*, *daudg-am-s* and not *daumal-ia*, *daudg-ia*). The given norm should also be observed in the above-mentioned Old Georgian simple-base verbs that took the thematic marker *-av* later. However, *Orthographic Dictionary of the Georgian* avoids mentioning the given norm. The paper explains the given fact by the problems connected with the formation of Resultative I by the verbs with the thematic markers *-av*, and *-am*. The paper also argues that the norms of the formation of Resultative I for the verbs with the thematic markers *-av*, *-am* should be revised, the forms with the marker *-ia* should be regarded as a norm as well

სალომე ბუზბარიძე

ალამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოების  
თავისებურებანი ქართველ ებრაელთა  
მეტყველებაში

ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელმა სპეციფიკურმა ფორმებმა, ენობრივმა თავისებურებებმა დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. როგორც ცნობილია, ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და, ბუნებრივია, მათი მეტყველებაც ლოკალურად იყო შეპირობებული ენობრივი გავლენებით. მიუხედავად სიმცირისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალები და გამოკვლევები მაინც ბევრ საინტერესო ფაქტს შეიცავს ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, რომლის ყველა სპეციფიკური (ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური...) ნიუანსის დადგენა უფრო და უფრო ძნელდება, რადგან, როგორც რ. ენოხი (ენუქაშვილი) მიუთითებს, დღეს საქართველოში აღარ გვაქვს ებრაელთა კომპაქტური დასახლებები, ხოლო აქა-იქ შემორჩენილ ებრაელთა მეტყველებაში ბევრი მათთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა უკვე ნიველირებულია (ენოხი, 2011: 27).

სტატიაში მიმოვიხილავთ ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოებას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. საანალიზოდ აღებული მასალა უმთავრესად მოიცავს პერიოდს XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე. ესაა: 1. რ. თავდიშვილის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაწერილი ქუთაისელ ებრაელთა ყოფითი თუ ფოლკლორული ხასიათის ტექსტები; 2. რ. ენოხის (ენუქაშვილის) მიერ ქართველ ებრაელთა რაბინებისაგან ჩაწერილი წმინდა წიგნთა ზეპირი თარგმანები; 3. გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით XX საუკუნის 80-იან წლებში თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიცია ონში 1982 წელს და გ. ჯაფარიძისა და ექსპედიციის წევრთა მიერ ჩაწერილი ტექსტები; 4. ჩვენ მიერ 2016-2017 წლებში ჩაწერილი მასალა, რომელშიც ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქუთაისი, ონი, ახალციხე...), ასევე ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება...

როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, „საკუთარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ ფენას წარმოადგენს, სპეციფიკურს როგორც მნიშვნელობა-დანიშნულებით, ასევე ფორმაწარმოებითაც. ყურადღებას იქცევს იგი თავისი წარმომავლობისა და ისტორიული თვალსაზრისითაც“ (ჯორბენაძე, 1993: 3).

საკუთარ სახელებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი სახელებისა, რომელთაც ადამიანთა საზოგადოებაში აკისრია განსაკუთრებული ფუნქცია: ესაა მითითება მოქალაქის, პიროვნების ვინაობაზე: „სულიერი არსებისა თუ საგნის მთელი შინაარსი პირდაპირ არის დაკავშირებული მის სახელთან. ეს განსაკუთრებით ადამიანის (პირთა) სახელთა ანუ ანთროპონიმთა შესახებ ითქმის. ადამიანი ცდილობს, რაღაც ნიშნით გამორჩეული, განსაკუთრებული სახელი დაარქვას, პირველ ყოვლისა, საკუთარ შვილს“ (სალინაძე, 2013: 156). ქართულში ამგვარ სახელთა კვლევას მიემდგვნა არაერთი ნაშრომი, მათ შორის: ალ. ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“ (1967 წ.), ი. მაისურაძის „ქართული გვარსახელები“ (1990 წ.), ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ?“ (1992 წ; 2003 წ.), რ. თოფჩიშვილის „ქართული გვარსახელების ისტორიიდან“ (2003 წ.) და სხვ. რაც შეეხება ქართველ ებრაელთა სახელებს, მასალა შედარებით მწირია. ამ მხრივ საინტერესოა ი. გაგულაშვილის „ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი“ (1998 წ.), რომელშიც ასახულია როგორც საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა წრეში გავრცელებული, ისე ისრაელში საცხოვრებლად გადასულთა სახელები. ლექსიკონში ნაჩვენებია მათი გავრცელების სტატისტიკაც. ახსნილია ამა თუ იმ სახელის მნიშვნელობა და მათთან დაკავშირებული ძირითადი ცნობები.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში დასტურდება სხვადასხვა წარმოშობის (ებრაული, ქართული...) ადამიანის (პირის) სახელები. აღსანიშნავია ბიბლიური წარმოშობის ისეთ სახელთა სიმრავლე, როგორიცაა: **ადონაი, აზშალომი, მოსე, იოსები, იონათანი, სულამითი, შიმშონი...** შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა შორის წარმოშობით ებრაულ სახელთა სიმრავლე მათი ეროვნული და კულტურული იდენტობის მაჩვენებელია, პატივისცემის გამოხატულებაა საკუთარი ფესვებისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე სახელი გვხვდება ვარიანტებად, რომლებიც გაჩენილია ფონეტიკურ ნიადაგზე. ასეთია: **მოსე/მოშე, იოსები/იოსეფი, იაკობი/იაკაკობი, ახელი/ებელი, იაფეთი/იეფეტი...** განსაკუთრებით თვალშისაცემია ფონეტიკურად შეპი-

რობებულ ფორმათა არსებობა ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს თარგმანის ებრაული დედნის გავლენით.

ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოების მხრივ, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ვითარება ისეთივეა, როგორც საზოგადო არსებით სახელებში: საკუთარი სახელები გვხვდება ყველა ბრუნვაში, თუ არ ჩავთვლით ვითარებითს. შეიმჩნევა ზოგიერთი სხვა თავისებურებაც.

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში იშვიათია გაუფორმებელი ადამიანის (პირის) სახელები: *შესხდენ ზედ დავით და მისი ამაღა და გასწიეს* (თათარაიძე, არაბული, 2014: 125)... სამაგიეროდ, ადამიანის (პირის) სახელები მეტწილად ფუძის სახით, **-ი** ნიშნის გარეშეა ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში: „*და დაუძახა წინაშე მისა აბრებ*“ (ბერეშითი, თ. 41); „*ისახარ სახედარისებრივ მაგარი იქნება, დაწვება შუა იმა ვიწრო გზის თავებშიდა*“ (ბერეშითი, თ. 49); „*და დაფეხმძიმდა და დეებადა შვილი და დაარქვა იგი სახელი მისი ყერ*“ (ბერეშითი, თ. 38); „*ზედა ენგრეთ დაარქვა სახელი მისი გალყედ*“ (ბერეშითი, თ. 31)...

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რ. ენუქაშვილის ნაშრომი „ძველი ქართულის ელემენტები თავსილში“, რომელშიც მეცნიერი საუბრობს წრფელობითი ბრუნვის ერთი ფუნქციის შესახებ: „ამ ფორმითაა წარმოდგენილი **შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი**, განსაკუთრებით, როგორც ამას მიუთითებს ი. იმნაიშვილი, იმ ზმნებთან, რომლებიც სახელთა დარქმევას უკავშირდება. მაგალითად: „*სახელი იმის ერთისა ფიშონ*“. აქვე მეცნიერი აკეთებს საყურადღებო კომენტარს, რომლის მიხედვითაც, საანალიზო წინადადებაში შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის არარსებობა ახსნილია ივრითის გავლენით (რ. ენუქაშვილი, 2007: 55). როგორც აქედან ჩანს, რ. ენუქაშვილი „თავსილში“ მოცემულ გაუფორმებელ ადამიანის (პირის) სახელს მიიჩნევს წრფელობით ბრუნვად განსაკუთრებით იმ ზმნებთან, რომლებიც სახელთა დარქმევას უკავშირდება.

ცნობილია ისიც, რომ IX საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება წრფელობითისა და სახელობითის მონაცვლეობის შემთხვევები. ასევეა ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც (XI-XII სს.): ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში შეიძლება გაუფორმებული სახელიც იყოს და გაუფორმებელიც. მაგალითად: „*ესენი შვილები ეცერისა: ბილანი, ზაყავანი და ყაკან*“ (ბერეშითი, თ. 36);

„და გადიცვალა **ბალაყ** და დახემწიფდა ქვეშეთ მისა **იობაბი**, შვილი ზერახისა იმის ბოცრასაგან“ (იქვე)...

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფორმით. ასეთია, მაგალითად, **ისრაელი/ისრაელ**: „და უბძანა მას ღმერთმან: სახელი შენი იაკაკობი, არ გერქმევა შენ სახელი შენი კიდევ იაკაკობი, არამედ მხოლოდ **ისრაელი** იქნება სახელი შენი; და **დაარქვა** სახელი მისი **ისრაელ**“ (ბერეშითი, თ. 35)... გვხვდება ამ სახელის სხვადასხვა ფორმა განსხვავებული კონოტაციებით. ის შეიძლება იყოს: ა) ეთნიკური სახელი, ებრაელის აღმნიშვნელი: „იყო ერთი ძველების გამყიდველი **ისრაელი**“ (ქდვ 2017: „ძველების გამყიდველი“, № 3952, მ. ბერიძე, ნ. სურმავა); „ქალაქის თავმა მაინც დაუძახა **ისრაელ**“ (იქვე); „ახლაო **ისრაელების** ფესახი არიო“ (იქვე); ბ) ქვეყნის აღმნიშვნელი: „იწამეთ ღმერთი ერთი უკვდავი და უცვალებელი **ისრაელის**“ (ქდვ 2017: „ბატის მწყემსი“, №3939, მ. ბერიძე, ნ. სურმავა)... **ისრაელი** არის კრებითი სახელის ფუნქციითაც: „მეზარებოდა **ისრაელობაო** და მინდოდა შემეშინებინეთო“ (ქდვ 2017: „ძველების გამყიდველი“, №3952, ბერიძე, სურმავა). აღსანიშნავია, რომ გ. ჯაფარიძის ონელ ებრაელთა მასალაში დასტურდება **ისრაელა**, რაც შესაძლოა იყოს ადამიანის სახელი.

რ. ენუქაშვილს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა (გაუფორმებელი და გაფორმებული სახელები) „მეტად მნიშვნელოვანი მოწმობაა როგორც ქართველ ებრაელთა მეტყველების განვითარების, ისე სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც“ (ენუქაშვილი, 2007: 57). მეცნიერის აზრით, „თავსილში“ სახელთა ფუძის სახით არსებობა, ერთი მხრივ, არის ძველი ქართულის ნაშთი და, მეორე მხრივ, ივრითის გავლენა (იქვე). ჩვენი აზრით, აქაც იგივე ვითარებაა, რაც შეიმჩნევა IX საუკუნიდან ქართულ წერილობით ძეგლებში (ფორმათა მონაცვლეობა). თუ ივრითის გავლენაზე ვისაუბრებთ, მაშინ უნდა გავიხსენოთ სხვა მოვლენებიც, კერძოდ, მიცემითში სახელის გაუფორმებლობა, რაც დამახასიათებელია, საერთოდ, ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის, მაგრამ ძალზედ იშვიათია ზეპირ თარგმანთა ენისთვის.

ქართული ენის ქვესისტემებიდან ადამიანის (პირის) სახელთა გაუფორმებლობა დამახასიათებელია მთარაჭულისთვის. ამის შესახებ წერს შ. ძიმიგური: „როგორც პროზაულ მეტყველებაში, ისე ნამეტურ პოეტურ მეტყველებაში სახელები (უმთავრესად საკუთარი სახელი) სახელობითსა და მოთხრობითში ხშირად სუფთა ფუძით

გვხვდება: „დაარქვა **ზურაბ**; დაათვრეს **ბეჟან**“ (მ. ძიძიგური, 1954: 188).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **თანხმოვანფუძიანი** ადამიანის (პირის) სახელები სახელობითში საზოგადო სახელთა მსგავსად იბრუნვის, გაფორმებულია **-ი** ნიშნით: „*შეუდგა **იოსეფი** ღმერთის სახელზე ცხოვრებას...*“ (ქდკ 2017: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945, მ. ბერიძე, ნ. სურმავა); „*დელილამ დააძინა **შიმშონი***“ (ოსუფა 1982: №25144). სახელი **შიმშონი** დადასტურდა ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში (გ. ჯაფარიძე); „*და მოუმტა თანა-საშობრად იგი ძმა მისი **აბელი**...*“ (ბერეშითი: თავი 4). გვხვდება **აბელის ებელი** ვარიანტიც: „*და იყო **ებელი** მწყემსი ცხვარისა...*“ (იქვე); „*კაინი იყო მუშა მიწისა...*“ (იქვე); „*და გადიცვალა სამლა და დახემწიფდა ქვეშეთ მისა **შაული** იმის იმის ნაპირისა რეხოვოთისაგან*“ (ბერეშითი: თავი 36); „*და ესენი გვარიშვილობაები შვილები ნოახისა: **შემი**, **ხამი** და **იაფეთი**, და ებადებოდათ მათ შვილები უკანით იმა ღრმობასა*“ (ბერეშითი, თ. 35). გვხვდება ამ სახელის ფონეტიკური ვარიანტი **იეფეტი**: „*და შემს დეებადა, კვლავ-დე მას, მამა ყოველი შვილები ყებერისა, ძმა **იეფეტი** იგი დიდი*“ (ბერეშითი, თ. 36)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კერძოდ, ონის ფოლკლორულ მასალაში დადასტურდა ადამიანის (პირის) სახელთა ფორმარმოების ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა მოთხრობითის **-მა** ნიშნიანი ფორმის ნაცვლად გამოყენებულია **-ი** ნიშნიანი ფორმა: „*ბოლოს ეს **ისხაკი** შეატყო თავითავ, რო კვდებოდა*“ (ოსუფა 1982: №25155)...

ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია როგორც უნიშნოდ, ისე **-ი** ნიშნით. ამ მხრივ საინტერესოა დავით ბოთერაშვილის (ბოთერა) მოგონებანი ახალციხელ ებრაელებზე. მასალა დაბეჭდილია ჟურნალ „არავში“ (2016 წ.): „ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, აქ იყო: ქოსათ მორდებას ცოლი **ნათელაი**, ლალოთ **სონიკოი**, შაოთ **ხაისარაი**, კონცოლაათ **სიკაი**, ფიტიმათ **სიმაი**, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ **სიმხაი**, ქორბინოთ აშერას ცოლი **თამარაი**... ბიცოლაჩემი **მაროი**... ჰაჯიათ **მაზალტობაი**, ბულბულაანთ **ჟუჟუნაი**, პუტეთ **სონაი**... მათ შორის იყვნენ **კოშტოი**, **კოწიკოი**, **პაჭოი**, ტყუპის ცალები **გულსუნდაი** და **სულსუნდაი**... თორის მასწავლებელი, მელამედი ხახამ **იონათანაი**, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ დე-

კასთან მიწები გამოუყო“ (ბოთერა, 2016: 23-25)... ეს მოვლენა ჩვენს მასალაში დადასტურდა, აგრეთვე, ქუთაისელ და კულაშელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. მსგავსი წარმოება არ არის ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნის – ბერეშითის ზეპირ თარგმანშიც.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უფრო მეტად ჭარბობს გაუფორმებელი ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები: „**დაინა-ხა ლია თავი გვერდში**“ (თსუფა 1982: №125155); „**და დაარქვა ადამიანმა სახელი ცოლის მისისა ხავა, რომ ის იყო დედა ყოველი ცოცხლიერისა**“ (ფარაშათ ბერეშითი, თავი 3); „**ნამეტურ დაინაზა, რომ გაიზარდა შელა, და იმან არ მიცა ის მისთვის თანა ქმარად**“ (ბერეშითი, თავი 38); „**ალა მქვია, ხოტოველი ვარ გვარად**“ (ქუთაისის მასალები, 2016); „**მაგენიც იყენენ ჩემთან იზრაელში: გაა, ლია, ნათია**“ (იქვე); „**მოსე ჩვენ წინამძღოლად აგვირჩია გამჩენმა**“ (ახალციხის მასალები, 2017)...

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებშიც, ქართული ენის დიალექტთა მსგავსად, ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასთან ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები სახელობით ბრუნვაში მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება. მაგალითები: „**მოსემ წამოვიდა, ღმერთს შეხედა...**“ (ებრაული ტექსტები, 2014: 237); „**უდაბნოში წავიდა მოშემა და იშოვა ფქვილი**“ (თსუფა 1982: №25153); „**მოშემ შეეხვეწა გამჩენ ნუ დაგვლუპავო, ღმერთმა ისმინა და გადალახენ ზღვა**“ (ონის მასალები, 2016)...

ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებელია ქართველური და კავკასიური სისტემებისათვის, ასახულია ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც. მოთხრობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები გაფორმებულია **-მა, -მ, -მან** ნიშნებით. **-მა, -მ** გვხვდება ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში, ხოლო ზეპირ თარგმანებში დასტურდება როგორც ახალი, ისე **-მან** ნიშნიანი წარმოება. ამ მხრივ სხვაობს ტექსტები. ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან ძირითადად გვხვდება **-მა**: „**ილოცა იაყაკობმა და ეყოლა იოსები**“ (თსუფა 1982: №125155); „**იოსევმა ჩამოუყვა როგორც იყო საქმე**“ (ქდვ 2017: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945, ბერიძე, სურმაჯა); „**რეუბენმა ძმებს უთხრა...**“ (თსუფა 1982: №25155); „**უთხრა რახელმა იაყაკობ...**“ (იქვე); „**შიმშონმა უთხრათ: თქვენ ნუ მახლებთ ხელ იმათ მე**



გავუსწორდებიო“ (ოსუფა 1982: №25141); „გასწია **მაღახმავეთმა**, ჩაკვიდა ზღვის ძირში“ (ქდკ 2017: „უდარდელი კაცი“, №3949, ბერიძე, სურმავე)... ამ მხრივ, ზეპირ თარგმანებში, კერძოდ, „თავსილში“, თანხმოვანფუმიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში ვხვდებით არაერთგვაროვან ვითარებას: დასტურდება როგორც ახალი (**-მა** ნიშნიანი), ისე ძველი (**-მან** ნიშნიანი) წარმოება. მაგალითად: **-მა**: „და იცოცხლა **შეთმა** ას ხუთი წელიწადი და დეებადა იგი ენოში“ (ბერეშითი, თავი 5)... / **-მან**: „და შეიტყო **ონანმან**, რამეთუ არა მისთვის იქნება იგი თესლო“ (ბერეშითი, თავი 38); „და დაავედრა **ოსებმან**“ (ბერეშითი, თავი 42)...

ზეპირ თარგმანში დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა გარდაუვალ ზმნასთან შეწყობილი სახელი დგას მოთხრობით ბრუნვაში: „და იყო, როცა რომ ივიდა **ოსებმა** ძმებსა მისა, და გახადეს იმათ ოსეფსა იგი პერანგი მისი“ (ბერეშითი, თავი 37)...

ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში ხმოვანფუმიან ადამიანის (პირის) სახელებთან ძირითადად გვხვდება **-მ**: „**იუდამ** უთხრა ძმას...“ (ოსუფა 1982: №25155); „ხახამ **ბაბომ** უბშირა სალოცავეში სიარულს...“ (თათარაძე, არაბული, 2014: 143); „**მოშემ** ხალხი არ წაიყვანა...“ (იქვე); „**დელილამ** დაადინა შამშონი“ (ოსუფა 1982: №25141); „ამ **რიბკამ** ჩააცვა ბალნიანი შუბა იაყკობ“ (ოსუფა 1982: №25155); „და გაიცინა **სარამ** შუა იმის ამნაირად“ (იქვე); „**მოსემ** გადაცა თავის ხალხს გამჩენიდან დადგენილი წესები“ (ახალციხის მასალები, 2017). „თავსილში“ დასტურდება **სარას** ვარიანტი **სარაი**, რომელიც უფრო ძველ წარმოებადაა მიჩნეული (იხ. ი. გაგულაშვილი). მაგალითად: „და მოახსენა **სარაიმ** იმათ აბრამსა...“ (ბერეშითი, თავი 16); „ქალბატონმა **გულომ** მირჩია სასაფლაოზე წავსულიყავით“ (ქუთაისის მასალები, 2016); „**ციცინომ** ისეთი პატივი გვცა, ჩვენ მიმართ, ნუ, არ ვიცი“ (იქვე)...

ამ მხრივ, ქართული ენის დიალექტებშიც ნაირგვარი ვითარებაა. მაგალითად, რაჭულში (გლოლურში), გურულში თანხმოვანფუმიან ადამიანის (პირის) სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის **-მა** ნიშანი იკარგება და სახელი ფუძის სახით არის: „**ბეყან** ესროლა ისარი და ტახი იქავ წაქცია“; „**ამირან** წიხლი ჩაჰკრა“ (რაჭ.) (შ. ძიძიგური, 1954: 198); „**იორა** თქუა, კურმუზო თქუა“ (გურ.) (ს. ჟღენტი, 1936: 59).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუმიანი ადამიანის (პირის) სახელები მიცემით ბრუნვაში გვხვდება როგორც **-ს**

ნიშნით, ისე მის გარეშეც, გაუფორმებელი მიცემითი უხვადაა დასავლეთ საქართველოს ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ადამიანის (პირის) სახელებში ისევე იკარგება ბრუნვის ნიშანი, როგორც იმავე ფუძის საზოგადო სახელებში: „**სულამით ვერცხლის სურით რაც წყალი ქონდა წამოღებული სახლიდგან გამოსვა**“ (ქდვ 2017: „სულამითი“, №3948, ბერიძე, სურმავა); „**რახელ არ ეყოლა შვილი**“ (თსუფა 1982: 25155); „**ისხაკ ეყოლა იაკობი და ყესავი**“ (იქვე); „**ოსსებ არ უშვებს მამ არსად, არც ბენიამინ**“ (თსუფა 1982: №25155); „**უთხრა რახელმა იაყაკობ...**“ (იქვე).

**იაყაკობთან** დაკავშირებით წერს რ. ენუქაშვილი ნაშრომში „ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“ (სოფელ ბანძის მკვიდრთა მეტყველების მაგალითზე). მეცნიერი ამ სახელში **კ-ყ** მონაცვლეობის შესახებ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს შესაძლოა ებრაული **იაყაკობ** ფორმის არსებობით იყოს განპირობებული და **იაკობ/იაყობ** ფორმათა კონტამინაციით იყოს მიღებული **იაყაკობ** ფორმა. იგი მიუთითებს ამ ფორმათა არსებობაზე ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაშიც. ჩვენ **იაყაკობ** ფორმა დავადასტურეთ არა მხოლოდ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში), არამედ ონელ ებრაელთა მეტყველებაშიც (გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში). მსგავსი შემთხვევები დამახასიათებელია „თავსილისთვისაც“: „**უბძან ისრაელმა იმათ ოსსებ**“ (ბერეშითი, თ. 37); „**და დეებადა ნოახ სამი შვილები: იგი შემი, იგი ხამი და იგი იაფეტი**“ (ბერეშითი, თ. 6)...

თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები მიცემით ბრუნვაში შეიძლება გავრცობილი იყოს **ა** ხმოვნით. გავრცობილი ვარიანტი უმეტესად გვხვდება ზეპირ თარგმანებში, სადაც, შეიძლება ითქვას, ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს: „...და უყაბულა უფალმან იმათ **ებელსა** და იმათ **ძღვენსა მისა**“ (ბერეშითი, თ. 4); „**რახელსა: გაავ ზავნა იაყაკობმა და დაუძახა რახელსა და ლეასა იმა მინდორშიდა იმათ ცხვრებსა მისა**“ (ბერეშითი, თ. 31)...

იშვიათია გვხვდება გაუვრცობელი მიცემითი: „**და უპასუხა ლაბანმა და მოახსენა იმათ იაყაკობს**“ (ბერეშითი, თ. 31); „**და გეცხადა თამარს ამნაირად: ესერა მამამთილი შენი ამოსულა თიმნათას გასაპარცავად ცხვრების მისისათვის**“ (ბერეშითი, თ. 37); „**და უბძანა ფარყომ იმათ ოსსეფს**“ (ბერეშითი, თ. 41); „**ლიას მისი ქონდა რომ ჩამოვიდოდი მასთან არ მივიდოდი**“ (ქუთაისის მასალები, 2016); „**ნარგიზასთან და ჩემ მანანასთან ვიმოგ ზაურე**“ (იქვე).

„თავსილში“ გვხვდება საინტერესო შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ფრაზაში არის მიცემითის გაუფორმებელი და გაფორმებული ადამიანის (პირის) სახელები: „და უკანით მიახლოვდა **იოსეფ რახელსა** და ეთაყვანენ“ (ბერეშითი, თ. 33)...

ყოველთვის გაფორმებელია მიცემითში ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები: „და **სარას** ესმოდა კარებსა იმის კარვისასა და ის უკანით მისა“ (ბერეშითი, თ. 18); „და იყო იმის ბოლოსა ორი წლისასა დღეებსა, და **ფარყოს** დეესიზმრა: და ესერა იდგა ზედა იმა ნილოსზედა“ (ბერეშითი, თ. 41)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ადამიანის (პირის) სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა. საკუთარი სახელები, ჩვეულებრივ, ნათესაობითი ბრუნვის **-ის/-ს/-ის-ა** ალომორფითაა გაფორმებული. ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელებში ძირითადად გვხვდება **-ის** ბრუნვის ნიშანი: „ეს მარხვა არის დედოფალ **ესთერის**“ (ებრაული ტექსტები 2014: 236); „ამოჩნდა დანაშაული **შიშმონის** სიმამრი, რომ გაუთხოვა შიშმონ პირველი დანიშნული“ (თსუფა 1982: 25144); „**გერგელის** რძალი ვაარ, მთავარი პროფესორის“ (ონის მასალები, 2016); „მე წიგნი მავ **გერგელის**“ (იქვე)...

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებისაგან განსხვავებით, ზეპირ თარგმანებში ნათესაობით ბრუნვაში **-ის-ა** დაბოლოებიანი ვარიანტია გავრცელებული: „და დაინახა შვილებმან ანგელოზებისამან იგი ქალიშვილები **ადამისა**“ (ბერეშითი, თ. 6); „ესენი შთამომავლობა **ნოახისა**: ნოახი კაცი მართალი, სრული იყო შინა დარაებას მისსა“ (ბერეშითი, თ. 6); „**აბრაამისა, იგხაკისა**: ...ღმერთი **აბრაამისა** და შიში **იგხაკისა** იყო ჩემთვისა“ (ბერეშითი, თ. 31)...

თუ „თავსილის“ შექმნის პერიოდს (რ. ენუქაშვილის აზრით, XI-XII სს.) გავითვალისწინებთ, ტექსტში გავრცობილი ფორმები არც იყო მოსალოდნელი.

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად გვხვდება **-ს** ნიშნიანი ნათესაობითი: „ემეთ [ჭემმარიტად] როგორც არ უღალატებ ღმერთსა და **მოშეს** თორას, ისე სიმართლეს გუენები ყველიფერ“ (ქდკ 2017: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951, ბერიძე, სურმავა)... ასეთ შემთხვევებში ადამიანის (პირის) სახელი პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელია და არ არის გავრცობილი. პოსტპოზიციური წყობის დროს, ჩვეულებრივ,

გავრცობილია **-ა** ხმოვნით: „**ადონასისა**: კურთხეულ და კურთხეულ ბმანდება სახელი **ადონასისა** – ღმერთისა-ბატონისა“ (ქდკ 2017: „ღარიბი ვაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951, ბერიძე, სურმავა)... ზეპირ თარგმანებში კი პოსტოზიციური წყობის დროს დასტურდება **-ს-(ი)** ვარიანტი: „და გამოვიდა დინა, ქალიშვილი **ლესის**“ (ბერეშითი, თ. 34); „და გადიცვალა დებორა, ძუძუმწუხებელი **რიბკასი**“ (ბერეშითი, თ. 35); „შვილები **ბილასი**, მოახლე რახელისა“ (ბერეშითი, თ. 35); „**ფარყოსი**: და იყო შინა დღესა მესამესა დღე დაბადებისა იმის **ფარყოსი** და გააკეთა სმულოობა ყოველ ყმებსა მისა“ (ბერეშითი, თ. 40)...

როგორც ცნობილია, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში ადამიანის (პირის) სახელი ძალზედ იშვიათია. ზეპირ თარგმანებში დადასტურდა მოქმედებითის **-ით-ა** გავრცობილი ვარიანტი: „ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ნახორისამან გაასამართლოს შუა ჩვენსა, ღმერთმან მამის მათისამან. და შეფიცა იაყაკობმა შიშითა მამის მისითა **იგხაკითა**“ (ბერეშითი, თ. 31)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები წოდებით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, მეტწილად გაუფორმებელია: „**დავით**, ღმერთმა მიიღო შენი ლოცვა“ (თათარაიძე, არაბული, 2014: 126); „**გომენ**, ეგ ცილისწამებაა...“ (თათარაიძე, არაბული, 2014: 87); „**მამაჩემო**, **ბეხაბათ**, შენია სანდაკობა...“ (იქვე); „**იეკუთიელ**, დღესე პარასკევი არი, შაბათის ულუფისთვიან ერთი მანათი მაკლია“ (ქდკ 2017: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944, ბერიძე, სურმავა)... ასეა ზეპირ თარგმანებშიც: „და მიბძანა იმათ ჩემსა ანგელოზმან ღმერთისამან სიზმარში: **იაყაკობ!** და მოვახსენე: აგერ მე“ (ბერეშითი, თ. 31); „და უბძანა: **აგარ**, მოახლე სარაისაო, იმის საიდან მოსულხარ შენ და სად შენ მიდიხარ?“ (ბერეშითი, თ. 16)...

საანალიზო ტექსტების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეინიშნება თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელების **-ო** ალომორფით გაფორმების ტენდენციაც: „რა ეკუთვნის წმინდა **დავითო**, ასი ცხვრის პატრონს...“ (თათარაიძე, არაბული, 2014: 126); „რისთვის ბატონო **გომენო**“ (თათარაიძე, არაბული, 2014: 86); „ხახამ **დანიელო** – ჭკუა ცარიელო...“ (თათარაიძე, არაბული 2014: 158)...

ქართველ (ქუთაისელ) ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი თავისებურებაა წოდებით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელებთან **-ო** ნიშნის დართვა. საკვლევ მასალაში, კერძოდ რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, წოდებით ბრუნვაში

ადამიანის (პირის) სახელებთან დადასტურდა **-ვ**: „**ნანახავ**, სულო და გულო, მითხარ გვარი რისა გაქვს?“ (თათარაიძე, არაბული, 2014: 17).

მსგავსი ვითარება დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის: (საზოგადო სახელების მსგავსად) წოდებითში გაფორმებულია როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები: „**ნუ წახვალ, მზევინარ-ო**“ (ფშ.); „**დავით-ო, ქვევრა მოვხადოთ**“; „**ილარიონ-ო, შენე ბევრის მოსწრე ხარ**“; „**ნუ სწუხარ, ქეთევან-ო**“ (იმერ.); „**ფანდურა-ვ, ვიძახით მე და შენაო**“; „**გიორგა-ო, დედა შაგენაცვლოაო**“; „**ლელა-ვ, მიშველე! – ვიძახდიდიო**“ (ხევს.)... „**აიშე-ვ/აიშა-ვ, ფიქრიე-ვ/ფიქრია-ვ**“ (აჭარ.); „**გულიზარა-ვ**“ (იმერხ.). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რ. საღინაძის თვალსაზრისი: „ქართული ენის დიალექტებში არსებული ვითარება გამოხატავს ენის ტენდენციას, წოდებითში გაფორმდეს ადამიანის (პირის) სახელი და ამგვარად დასრულდეს საუკუნეების წინათ დაწყებული საზოგადო სახელებთან გათანაბრების პროცესი, თუმცა ამას აფერხებს ტრადიცია და თანამედროვე სალიტერატურო ნორმათა ძლიერი გავლენა. ამას გვიჩვენებს ისევ და ისევ დიალექტებში არსებული წრიული მოვლენები: ვგულისხმობთ **-ო** ფორმანტით გაფორმებულ სახელთა ფუძედ აღქმასა და მისგან მიღებულ პარადიგმას: **დავითო, დავითომ, დავითოს...** აგრეთვე **-ა** ხმოვანმოკვეცილ მიმართვის ფორმებს: „**მაყვალ! მანან!**“ (საღინაძე, 2013: 159).

წოდებითის **-ო** სუფიქსი დიალექტებში მეტ-ნაკლებად უხორცდება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვაშიც გადადის: ეთერო-**ბ**, ეთერო-**მ**, ეთერო-**ს**...

ადამიანის (პირის) სახელები უხვადაა ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში და ეს ბუნებრივიცაა. ფორმანარმოების მხრივ, განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს „თავსილი“ და „ფესახის აგადა“. ამ თარგმანებში გვხვდება სახელთა ფორმანარმოების არაერთგვაროვანი ვითარება. როგორც ცნობილია, ადამიანის (პირის) სახელების ბრუნება ძველ ქართულში განსხვავდებოდა საზოგადოსაგან, რაც, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ბრუნების უძველეს ტიპზე უნდა მიუთითებდეს. IX საუკუნიდან გამოიკვეთა საზოგადო და საკუთარ სახელთა გათანაბრების ტენდენცია. აქა-იქ გაჩნდა ბრუნვის ნიშნები სახელობითსა და მოთხრობითში (საღინაძე, 2013: 157). ეს პროცესი აისახა ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც.

ამრიგად, სხვადასხვა ხასიათის (ყოფითი, ფოლკლორული, ზეპირი თარგმანები...) ტექსტების მიხედვით, ადამიანის (პირის) სახელთა ფორმაწარმოებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, როგორ აისახა ქართველ ხალხთან საუკუნეობრივი თანაცხოვრება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში და როგორ ჩამოყალიბდა სისტემა მისი ლოკალურად განსხვავებული ნაირსახეობებით.

## ლიტერატურა

**ბერემითი (რედ. რ. ენოხი), 2008** – ბერემითი (რედ. რ. ენოხი, 2008): ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/text-list?session-id=244853804142801>

**ბოთერა, 2016** – ბოთერა დ., ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა: ჟურნალი „არავი“, სამცხეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, № 9, 2016.

**გაგულაშვილი, 1998** – გაგულაშვილი ი., ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, თბ., 1998.

**ენოხი, 2001** – ენოხი რ., ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (სოფ. ბანძის მეტყველების მაგალითზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ენის კათედრის შრომები, № 29, 2001.

**ენოხი, 2007** – ენოხი რ., ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები: ჟურნალი „ქართველოლოგი“, №14, თბ., 2007.

**ენოხი, 20011** – ენოხი რ., „ქართული დიალექტოლოგიის საკითხები – შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ“: ჟურნ. „ბილინგვური განათლება“, №5, 2011; <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin> 12.21.2014, მოძიებული 7 მაისი, 2016.

**ჟღენტო, 1936** – ჟღენტო ს., გურული კილო, თბ., 1936.

**თავდიდიშვილი, 1940** – თავდიდიშვილი რ., ეთნოგრაფიული ნარკვევი „ქართველ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“ (რედ. ს. მაკალათია), გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბ., 1940.

**სალინაძე, 2013** – სალინაძე რ., ადამიანის (პირის) სახელთა მიმართვის ფორმები ქართულში: ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2013.

„ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“ (რედ. ა. არაბული, ე. თათარაიძე), გამოც. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბ., 2014.

ქართული დიალექტური კორპუსი: [www.corpora.co/](http://www.corpora.co/)

**მიძიგური, 1954** – მიძიგური შ., ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: „მიეზანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ თბ., 1954.

**ჯორბენაძე, 1993** – ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1993.

SALOME GUMBERIDZE

### **Some Peculiarities of Personal Name Formation in the Speech Of Jews Living in Georgia**

#### Summary

The paper discusses specificity of personal name formation typical of the Georgian speech of Jews living in Georgia. The empirical data covers the period from the 1930s up to the present day. The analysis of the data has shown that personal name formation typical of the Jewish

speech follows the patterns characteristic of common noun formation in Georgian, the only exception being the Adverbial case.

Unlike colloquial speech and folklore texts personal names are formed differently in oral translations: in the given case they follow the patterns evidenced in Old Georgian.

The observation of personal name formation in different texts has revealed the ways the Georgian speech of Jews has developed into a specific variety as a result of an age-long co-existence with the Georgian people.

ენო დარასმისა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
აღმნიშვნელი ერთი ტერმინის სემანტიკისა  
და პრაგმატიკისათვის თანამედროვე  
ინგლისურსა და ქართულში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პატივისცემის გამოხატვა გლობალიზებული სამყაროს მოქალაქეთა ერთ-ერთი ვალდებულებაა. თუმცა მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ განვახორციელოთ ეს: როგორ გამოვხატოთ, ვერბალური თუ არა-ვერბალური საშუალებების მეშვეობით, პატივისცემა აღნიშნული უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ? როგორ მოვახდინოთ მათი სახელდება? ცნობილია, რომ მართებული ტერმინოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან ურთიერთობისას, მათთან სოციალური ჰარმონიის დასამყარებლად, თუმცა საკითხავია, რამდენად მისაღებია ლინგვისტთა და ადამიანის უფლებების დამცველთა მიერ შექმნილი ტერმინები აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელთათვის.

უნარშეზღუდულთა უფლებების ეროვნული ქსელის აღმასრულებელი დირექტორის კერტ დეკერის თვალსაზრისით: „ტერმინები და იარლიყები იცვლებიან საზოგადოების ძალაუფლების განვითარებასთან ერთად, და ადამიანები თანდათან აცნობიერებენ საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებს. მოდერნიზმთან ერთად ჩნდება ახალი ტერმინები და ერთ დროს მისაღები ტერმინები აღარ არიან დღესდღეობით მისაღები”.

თუმცა სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ და უშუალოდ ინგლისურ და ქართულ ენობრივ მასალაზე ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში არ არსებობს კონსენსუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აღმნიშვნელ ცალკეულ ტერმინთან მიმართებით; ცალკეული ტერმინის სემანტიკური და პრაგმატიკული ღირებულება განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ენობრივი კოლექტივისა და მასთან ასოცირებული კულტურის მიერ, თავად გარკვეული ენობრივი კოლექტივის შიგნით არსებული



სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიერ და, რაც მთავარია, სხვადასხვა უნარშეზღუდული პირის მიერ; ასევე, ცალკეული ტერმინი შეიძლება განსხვავებულ დატვირთვას იძენდეს დისკურსის სხვადასხვა ჟანრში.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე უნარშეზღუდულთა მიმართ დამოკიდებულების ორი მოდელი: სამედიცინო და სოციალური; სამედიცინო მოდელი განიხილავს უნარშეზღუდულობას, როგორც ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ასოცირებულ პრობლემას, ხაზს უსვამს მედიცინის როლს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრასა თუ კორექტირებაში. სოციალური მოდელი თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიციას გამოხატავს: მათი თვალსაზრისით, საზოგადოება ხდის გარკვეული ავადმყოფობის მქონე პირს უნარშეზღუდულად, უქმნის რა მას სხვადასხვა ტიპის ბარიერს – არქიტექტურულს, სოციალურს, ემოციურს და სხვ. აქედან გამომდინარე, ტერმინში *a disabled person/უნარშეზღუდული პიროვნება* მოიაზრება საზოგადოების მიერ შექმნილი შეზღუდვებით გარიყული, მარგინალიზებული პიროვნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინტერესს იწვევს ლექსიკური ერთეული *invalid/ინვალიდი*, რომელიც ემპირიულ მასალაზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ხშირად მიიჩნევა ან მოძველებულად ან შეურაცხმყოფელად, თუმცა არა ყოველთვის. წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ აღნიშნული ტერმინის განხილვა წარმოადგენს: კერძოდ, სტატიაში გაანალიზებულია მოცემული ტერმინის როგორც ლოკუციური (ანუ, მისი სემანტიკური და პრაგმატიკული ღირებულება ენის, როგორც სისტემის დონეზე), ასევე ილოკუციური (ტერმინის საკომუნიკაციო გამიზნულობა დისკურსში) და პერლოკუციური (ტერმინის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადრესატზე) ძალა (ოსტინი 1965).

**ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის** კვლევები სემანტიკასა (ლიჩი 1983) და პრაგმატიკაში (კერძოდ, სახისა და თავაზიანობის თეორიები – გოფმანი 1972; ბრაუნი და ლევისონი 1987; კალპეპერი 1996; ლიჩი 1983; ლიჩი 2005).

**ემპირიული მასალა მოიცავს** როგორც წერილობითი, ასევე ზეპირმეტყველებითი დისკურსის ჟანრების ნიმუშებს: სტატიებს ინგლისურენოვანი და ქართული ინტერნეტგაზეთებიდან, ინტერნეტბლოგებიდან, სალექსიკონო მასალას, უშუალოდ ავტორის და-

კვირვების შედეგად გაკეთებულ ჩანაწერებსა და ინფორმანტთა მონაცემებს.

**ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:** სიტყვის კომპონენტური ანალიზის, თავაზიანობისა და სახის თეორიებთან ასოცირებული კვლევის მეთოდები, რომლებიც გულისხმობენ ლექსიკურ ერთეულთა და გამონათქვამთა კონტექსტუალურ, დისკურსის დონეზე ანალიზს.

**სახისა და თავაზიანობის თეორიები.** როგორც უკვე აღინიშნა, მოცემული ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ ანალიზთან ერთად, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნული ტერმინის სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით განხილვას; ანალიზისთვის შერჩეულ იქნა ტრადიციული ბრაუნისა და ლევინსონისეული თავაზიანობის მოდელი (1987), ასევე, გამოყენებულ იქნა ჯეფრი ლიჩის ცნებები: აბსოლუტური და ფარდობითი თავაზიანობის სკალა (ლიჩი 2005).

ნებისმიერი თავაზიანობის მოდელი (და ასეთები, როგორც ცნობილია, მრავლად არის თანამედროვე ლინგვისტიკაში) ეფუძნება ერვინ გოფმანისეულ *სახის* ცნებას; როგორც ცნობილია, გოფმანის თვალსაზრისით, სახე სოციალური ფასეულობაა, პიროვნების თვითობის ის სოციალური და ემოციური ნაწილი, რომელიც თანხმობაშია ცალკეული ენობრივი კოლექტივის/კულტურის ვერბალური თუ არავერბალური ქცევის ნორმებთან და მისაღებია როგორც თავად ინდივიდისთვის, ასევე ენობრივი კოლექტივის წევრებისათვის. როგორც გოფმანი აღნიშნავს, *სახე* არის არა სტატიკური, მდგრადი, არამედ დინამიკური მოვლენა, რომელიც კომუნიკაციის მსვლელობისას კომუნიკანტთა მეშვეობით განიცდის მოდიფიკაციას (გოფმანი 1972). თავაზიანობის თეორიების ყურადღების ცენტრში სწორედ ის საკომუნიკაციო სტრატეგიებია, რომელთა გამოყენება კომუნიკაციისას ხელს უწყობს კომუნიკანტებს შორის სოციალური ჰარმონიის დამყარებასა და კომუნიკაციის მონაწილე პირთა *სახის* შენარჩუნებას (კალპეპერი 1996: 349; ლიჩი 1983:82). გოფმანისეულ სახის თეორიაზე დაყრდნობით ბრაუნი და ლევინსონი განასხვავებენ ორი ტიპის სახესა და შესაბამისად ორი ტიპის თავაზიანობას: *დადებითს* (რომელიც გულისხმობს კომუნიკანტთა სოციალურ თანასწორუფლებიანობასა და მათ შორის მეგობრულ, ფამილიარულ დამოკიდებულებას) და *უარყოფითს* (კომუნიკანტებს შეიძლება გააჩნდეთ ან არ გააჩნდეთ თანასწორი სოციალური სტატუსი, ყველა შემთხვევაში

ისინი ამჟღახინებენ სოციალური დისტანციის, საკუთარი და სხვისი სოციალური სივრცის დაცვას). აღნიშნულთან მიმართებით ინტერესს იწვევს ავტორების მიერ გამოყოფილი სამი სოციოლოგიური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკანტებს შორის თავაზიანობის ხარისხს: ძალაუფლება (P), სოციალური დისტანცია (Social Distance) და თავსმოხვევის ხარისხი (R- the Ranking of the Imposition): ბრაუნისა და ლევინსონის თეორიაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სახის რღვევის/შელახვის/დაკარგვის გამომწვევ ქმედებებზე ან/და მათი თავიდან აცილების მექანიზმებზე (FTA-Face Threatening Acts), რის გამოც ხშირად თავაზიანობის აღნიშნული მოდელი კრიტიკის საგანია (ტერკურაფი 2005).

როგორც ცნობილია, ბრაუნი და ლევინსონი განასხვავებენ 5 ზესტრატეგიას:

1. პირდაპირობის (*bald on record*);
2. დადებით თავაზიანობას;
3. უარყოფით თავაზიანობას;
4. არაპირდაპირობის სტრატეგიას (*off record*);
5. სიჩუმეს.

ზემოჩამოთვლილ ზესტრატეგიებთან მიმართებით ინტერესს იწვევს ჯ.ლიჩის ცნებები: ფარდობითი და აბსოლუტური თავაზიანობა (Relative and Absolute Politeness); პირველი ცალკეული ვერბალური თუ არავერბალური ქმედების თავაზიანობის ხარისხს განიხილავს კონტექსტთან მიმართებით, მეორე კი გულისხმობს ზოგადად თავაზიანი ქცევის ნორმებს (როგორც უნივერსალურს, ასევე კულტურის სპეციფიკით განპირობებულს). ასე მაგალითად, ფარდობითი თავაზიანობის თვალსაზრისით გარკვეულ კონტექსტში პირდაპირობის სტრატეგია შეიძლება სრულიადაც არ იყოს კომუნიკანტის სახის შემლახავი ქმედება, ისევე როგორც, კონტექსტიდან გამომდინარე, არაპირდაპირობა და სიჩუმე შეიძლება იყოს როგორც სახის შემლახავი, ასევე, პირიქით, თავაზიანობის გამომხატველი ქმედებები.

**სიტყვების *invalid/ინვალიდი* სემანტიკური ანალიზი.** ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც ინგლისურში (ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში), ასევე ქართულში ლექსიკური ერთეული *invalid/ინვალიდი* განსხვავებულ დატვირთვას

იქნეს სხვადასხვა სახის დისკურსში; ანალიზის შედეგად გამოიყო აღნიშნული ტერმინის ინტერპრეტაციის სამი ვარიანტი:

1. ტერმინის თანამედორვე ინგლისური და ქართული ენების ბირთვული ლექსიკონისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობანი როგორც სალექსიკონო, ასევე ყოფით მეტყველებაში დაფიქსირებული;
2. ტერმინის ინტერპრეტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტიკეტის თანახმად;
3. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის სემანტიკა სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში;
4. განსახილველი ტერმინის სემანტიკა სამხედრო სფეროში.

განვიხილოთ თითოეული სფერო ცალ-ცალკე; დავიწყით სალექსიკონო განმარტებებით; უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ლექსიკური ერთეული ლათინური წარმოშობისაა: *invalidus* – სუსტი; ლათ. *in* (არა) + *validus* (ვალიდური, ძლიერი);

ინგლისურში ის პოლისემიური სიტყვაა; მისი პირველადი მნიშვნელობა ასოცირდება სამართლებრივ სფეროსთან, ლოგიკურ მსჯელობასთან და გულისხმობს სამართლებრივი ძალის არმქონეს, არავალიდურს; არამართებულად ჩამოყალიბებულ არგუმენტს. ეს მნიშვნელობა პირველად ფიქსირდება ინგლისურ ენაში 1542 წელს. ქართულში *ინვალიდ-ის* აღნიშნული მნიშვნელობა არ გვხვდება.

ფრანგულში აღნიშნულმა სიტყვამ იცვალა ფორმა და შეიძინა სპეციალური მნიშვნელობა. *invalides* – უძლიერი, უნარშეზღუდული, ავადმყოფი. სწორედ ფრანგულიდან შემოვიდა ინგლისურ ენაში (და სავარაუდოდ, მოგვიანებით, რუსულ ენაში) მოცემული ლექსიკური ერთეულის ეს მნიშვნელობა (აღნიშნული მნიშვნელობა ინგლისურში პირველად დაფიქსირდა 1642 წელს). სალექსიკონო მასალიდან არ ჩანს, თუ როდის შემოვიდა ქართულში *ინვალიდი*, როგორც უნარშეზღუდული პირის აღმნიშვნელი ტერმინი; სიტყვის აღნიშნული მნიშვნელობა არ არის მოცემული დავით ჩუბინაშვილის *ქართულ-რუსულ ლექსიკონში* (1887). სავარაუდოდ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ქართულში შემოვიდა რუსულიდან XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როგორც სამედიცინო ტერმინი.

ავტორიტეტული ინგლისურენოვანი ლექსიკონების თანახმად, ინდივიდის სახელდებისას ლექსიკური ერთეული *invalid* აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც არის ავად, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირად საჭიროებს სხვა პიროვნების მზრუნველობას. ლექსიკონში *Cambridge International Dictionary of English (1996)* ასევე აღნიშნულია, რომ მოცემული ტერმინი მოძველებულია და ხშირად აღიქმება შეურაცხმყოფელად, თუმცა ლექსიკონი იქვე გვთავაზობს მაგალითებს, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო მტყვევლებაში შეგვხვდეს:

**Invalid-dated** someone who is ill, usually for a long time and often needing to be cared for by another person. Some find this term offensive. *He became an invalid as a result of a car accident. She looked after her invalid mother for many years.* (ის დაინვალიდა -სიტყვასიტყვით - გახდა ინვალიდი- სამანქანო ავარიის შედეგად. ის მრავალი წლის განმავლობაში უვლიდა თავის ინვალიდ დედას).

უარყოფითი კონოტაციის მატარებელია აღნიშნული ლექსიკური ერთეული ლექსიკონის *Collins Cobuild Dictionary of English* თანახმად; ლექსიკონი ურჩევს ენის მომხმარებელს არ გამოიყენოს აღნიშნული ტერმინი ქრონიკული დაავადებების მქონე და უნარშეზღუდულ პირთა მიმართ.

**Invalid - n.** a person suffering from disablement or chronic ill health.

*I hate being treated as an invalid.* (მბუღს როდესაც მეპყრობიან, როგორც ინვალიდს)

(as modifier) *an invalid chair* (როგორც მსაზღვრელი - ინვალიდის სავარძელი)

Adj. suffering from or disabled by injury, sickness, etc.

*Usage*

It is better to avoid using the term invalid when referring to people with chronic illnesses or disabilities

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინგლისურენოვანი ლექსიკონი არ იძლევა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის უარყოფით კონოტაციურ მნიშვნელობას; მაგალითად, ავტორიტეტული ლექსიკონი *Longman Dictionary of English Language and Culture (2005)* შემდეგნაირად განმარტავს მოცემულ ტერმინს:

Invalid – n. a person who is disabled or suffers from habitual ill-health: *He never fully recovered, and spent the rest of his life as an invalid.* – invalid- adj.: *my invalid mother.* (ის სრულად ვეღარ გამოჯანმრთელდა და დარჩენილი ცხოვრება გაატარა, როგორც ინვალიდმა). ზედ. ჩემი ინვალიდი დედა.

ინტერესს იწვევს ქართულ განმარტებით ლექსიკონში (1990) მოცემული დეფინიცია, რომელიც აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს სამედიცინო ტერმინთან უფრო აახლოებს: აღნიშნულ დეფინიციაში ხაზგასმულია სემა შრომისუნარდაკარგული ადამიანი, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ასეთ პიროვნებას აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და შესაბამისად მას ეკუთვნის ინვალიდობის პენსია:

ინვალიდ-ი [ლათ] შრომისუნარდაკარგული ადამიანი. ომის ინვალიდი, შრომის ინვალიდი.

საყურადღებოა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უცხო სიტყვათა ლექსიკონში მოცემული განმარტება:

ინვალიდი *L invalidus*, 'სუსტი', 'უძლური' – ადამიანი, რომელსაც მეტ-ნაკლებად დაკარგული აქვს შრომის უნარი (დასახიჩრების, ავადმყოფობის ან მოხუცებულობის გამო). ეს დეფინიციაც უნარშეზღუდულობის სამედიცინო მოდელთან არის თანხვედრაში.

ასევე საყურადღებოა, სიტყვა ინვალიდის ინგლისური შესატყვისები, რომლებიც დონალდ რეიფილდის რედაქტორობით მოცემულ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონშია (*A Comprehensive Georgian-English Dictionary, 2006*) მოცემული:

ინვალიდი – *invalid, veteran, disabled person* (ინვალიდი, ვეტერანი, უნარშეზღუდული პირი), რაც გულისხმობს, რომ ლექსიკურ ერთეულს ინვალიდი აქვს საზიარო სემები მის სინონიმურ ლექსიკურ ერთეულებთან; სემანტიკური კავშირი ინვალიდსა და უნარშეზღუდულს შორის უფრო მკაფიოა- აქ გამოიკვეთება სემა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პიროვნება.

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულებს ინვალიდი და ვეტერანი, აქ, ერთი შეხედვით, სემანტიკური კავშირი, თითქოს, ისე მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. ქართული განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სიტყვა ვეტერანი შემდეგი მნიშვნელობების მატარებელია:

ვეტერან-ი(ლათ.) 1. დიდხანს ნამსახური, ომგადახდილი მეომარი. 2. გადატ. დიდი გამოცდილების მქონე ძველი მუშაკი, ვ.სპორტსმენი. ლათ. – *vetus, veteris -მოხუცი, ასაკოვანი, ხანდაზმული*.

ასაკი, ხანდაზმულობა, თავის მხრივ, გარკვეულწოდ, გულისხმობს სუსტ ჯანმრთელობას, უძლურებას, (თუმცა ყოველთვის არ გულისხმობს ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემას), რაც პიროვნებას საშუალებას არ აძლევს განაგრძოს შრომითი საქმიანობა, სამხედრო სამსახური და ა.შ. სწორედ აღნიშნული სემებით შეიძლება დავაკავშიროთ *ინვალიდი ვეტერანთან*, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *ინვალიდი* სემანტიკურად უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელია – მისი ერთ-ერთი ძირითადი სემაა – *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი*, რაც მხოლოდ ხანდაზმულ ასაკს და ფიზიკურ სისუსტეს არ გულისხმობს. შესაბამისად, გარკვეული თვალსაზრისით, გარკვეულ კონტექსტში, ვეტერანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც *ინვალიდის* ევფემისტური ვარიანტი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ინგლისური ფრაზული ზმნა *invalid out*, რომელიც შრომისუნარდაკარგული ადამიანის სამსახურიდან (განსაკუთრებით, სამხედრო სამსახურიდან) გათავისუფლებას გულისხმობს:

*Invalid obj. out* [often passive] To invalid out is to cause (someone) to leave a job, esp. a military one, because of illness. *She was invalided out of the service because of injuries she received when fighting a fire.* ის გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან იმ დაზიანებების გამო, რომლებიც ხანძრის ჩაქრობისას მიიღო.

*Cambridge International Dictionary of English, 1996*

უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ეტიკეტის თანახმად, როგორც თანამედროვე ინგლისურენოვან (ბრიტანულ, ამერიკულ), ასევე ქართულ კულტურაში *ინვალიდი* შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული ტერმინია:

Another term is *invalid* because it equates disability with illness and can be construed as ‘not valid’ or ‘worthless.’ (*Disability Language and Etiquette, 2001: 5*)

„ტერმინი *ინვალიდი* გამოუსადეგარს, უვარგისს ნიშნავს და თუ ამ ფორმით აყენებ ადამიანს შეურაცხყოფას, რა საჭიროა პანდუსი?“ (გაბომე 2011).

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ ქართულ, ასევე ინგლისურ ციტატაში ტერმინი *invalid/ ინვალიდი* სიტყვასიტყვით არის „გაშიფრული“. აღნიშნული პოზიცია სოციალური მოდელის ნიმუშია, თქმულის დასტურია ქართული სტატიის ავტორის გოჩა გაბოძის სიტყვები: „ინვალიდობა არსებობს გარემოში და არა დიაგნოზში“. (გაბოძე 2011).

ინტერესს იწვევს განსახილველი ტერმინის სემანტიკური დატვირთვა, ერთი მხრივ, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო სფეროში.

**ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფერო.** ინგლისურენოვანი და ქართული ემპირიული მასალის ანალიზმა განსხვავებული შედეგები გამოავლინა: ინგლისური ენის ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში ტერმინს *invalid* და მისგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ არსებით სახელს *invalidity* ჩაენაცვლა ტერმინი *disability – disability benefit/allowance* (ინვალიდობის პენსია, შემწეობა):

The changes to disability allowance may well be hurting people who are genuinely disabled. The Sun (2013)

Amber also gets disability allowance because she is obese and has recurring problems with her leg. The Sun (2015)

And if you know that your neighbour is claiming disability allowance while working as an electrician you will have a different attitude towards them. Times, Sunday Times (2009)

She has no money, can't work and is battling to get a disability allowance. Times, Sunday Times (2012)

But after moving to Spain in 2005 he continued claiming disability allowance for brittle bone disease. The Sun (2012)

*Collins Cobuild Dictionary*

თუმცა ამერიკელი და ბრიტანელი ინფორმანტები განსხვავებულად ხსნიან აღნიშნულ ტერმინთა ჩანაცვლებას: ორი ბრიტანელი ინფორმანტის თანახმად, ტერმინი *invalidity* მოძველდა და სწორედ ეს გახდა ჩანაცვლების მიზეზი; თუმცა ემპირიული მასალის შესწავლა (ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო აქტების გაცნობა) და ასევე კიდევ ერთი ბრიტანელი ინფორმანტის მონაცემები განსხვავებულ თვალსაზრისს გვიჩვენებს; აღნიშნული ინფორმანტის თვალსაზრი-



სით, აღნიშნული საკითხი საკმაოდ რთულია: ერთი მხრივ, ტერმინი *invalid, invalidity* იყო შეურაცხმყოფელი, ხოლო, მეორე მხრივ, ის მოკლებული იყო სიზუსტეს – ის ვერ ფარავდა ადამიანთა ყველა იმ კატეგორიას, რომლებიც საჭიროებდა პენსიას/შემწეობას; თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ჩაენაცვლა ტერმინი *incapacity*, რომელიც უფრო ახლოს დგას მნიშვნელობით ქართულ ტერმინთან *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (invalidity/ინვალიდობა* უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა ორივე ენაში), მოგვიანებით კი მას ჩაენაცვლა ტერმინი *Employment and Support Allowance (ESA)* და *Disabled Living Allowance (DLA)*. ამერიკელი ინფორმანტების თანახმად კი, ტერმინის ჩანაცვლების მიზეზი ცალსახად იყო მისი შეურაცხმყოფელი ხასიათი.

ქართულ საკანონმდებლო აქტებში შეიმჩნევა მცდელობა ტერმინ *ინვალიდის* ჩანაცვლება ტერმინით *შეზღუდული შესაძლებლობის (უნარების) მქონე პირი*; გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აღნიშნულ ტერმინს თან ახლავს ფრჩხილებში ტერმინი *ინვალიდი*. ამის ნიმუშია ქვემოთმოყვანილი ამონარიდი *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდიდან*:

- პენსია შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) გამო ენიშნება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი:
  - მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს (I ჯგუფი);
  - მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს (II ჯგუფი);
  - ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ომის ვეტერანებს (III ჯგუფი)

საყურადღებოა, რომ *საქართველოს კანონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ, თავი IX, მუხლი 33* ნათქვამია: „ეთხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს ყველა კანონქვემდებარე აქტში სიტყვა „ინვალიდი“ შეცვალოს სიტყვებით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

2001 წლის 20 ივნისის კანონი № 972

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში ვხვდებით ტერმინს *ინვალიდი* ( იხ. *სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ვებგვერდი* [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare) )

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფით მეტყველებაში უფრო დიდი სიხშირით ვხვდებით *ინვალიდს* – *ინვალიდობა*, *ინვალიდობის პენსია*, *დაინვალიდა* და ა. შ. , მაგალითად:

*პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. ინვალიდობის პენსიაზე შევიტანე განაცხადი და სხვ.*

მიმაჩნია, რომ ქართულში ტერმინთა ჩანაცვლებას ერთგვარად ართულებს ტერმინების *შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე*, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი* ფრაზული აგებულება, ენობრივად „არაეკონომიური ხასიათი“ და ასევე, დაკვირვების თანახმად, ისეთი სოციოლინგვისტური განზომილება, როგორცაა ასაკი: უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის (50-ის ზემოთ) ტერმინი *ინვალიდი*, *ინვალიდობა* არ არის შეურაცმყოფელი.

ინტერესს იწვევს აღნიშნული ტერმინის **სამხედრო სფეროში** გამოყენების თავისებურებანი. უპირველეს ყოვლისა, როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისურ ენაში არსებობს ფრაზული ზმნა *to invalid out* (გამოიყენება ვნებით გვარში, სალექსიკონო მონაცემებით ძირითადად დამახასიათებელია ბრიტანული ინგლისურისთვის), რომლის ძირითადი სემაა ჯანმრთელობის გამო სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი პიროვნების სამსახურიდან დათხოვნა (თუმცა შეიძლება ნებისმიერი შრომისუნარდაკარგული ადამიანის სამსახურიდან დათხოვნასაც აღნიშნავდეს):

*I was not quite sick enough to be invalided out, even though I was of no more use.*

*He was badly wounded and invalided out of the infantry*

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ მასალაში *invalid/ინვალიდი* სამხედრო სფეროში სპეციალური ტერმინია და იგი ფართოდ გამოიყენება. ინგლისურში, განსაკუთრებით ე. წ. გლობალურ ინგლისურში (Global English), ანუ ინგლისურში, როგორც Lingua Franca-ში ხშირად შევხვდებით ტერმინს *war invalid* (ომის ინვალიდი), თუმცა ინგლისური ენის ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში შეიმჩნევა ფრაზის *war invalid* ჩანაცვლება ფრაზით *war disabled*:

*Work for War Disabled.*

შდრ. ერთი მხრივ, *American Association of Invalids and Veterans of WWI*. ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ინგლისურის ფრაზა - *Disabled American Veterans*.

ქართულში აღნიშნულ შემთხვევაში ჩანაცვლება ენობრივად „მოუხერხებლად“ მიმაჩნია: ალბათ, სწორედ ამიტომ ემპირიულ მასალაში შემხვდა *ინვალიდ მეომართა კავშირი* და არა *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეომართა კავშირი*.

**ტერმინი *invalid/ინვალიდი* თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტიკეტის თანახმად, საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას, მათთან კომუნიკაციისას; უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა კომუნიკანტმა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა) არ უნდა იგრძნოს, რომ ის ჩვენგან განსხვავებულია; შესაბამისად, აღნიშნული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი არ უნდა იყოს განსხვავებული, თავაზიანობის ზესტრატეგიის (პირადპირობა, დადებითი თავაზიანობა, უარყოფითი თავაზიანობა, არაპირდაპირობა, სიჩუმე) არჩევა კი კომუნიკანტთა ურთიერთშეთანხმებაზე და მათ შორის ურთიერთობის ხანგრძლივობაზე დამოკიდებული.

როგორც უკვე აღინიშნა, დღესდღეობით ორივე ენაში, განსაკუთრებით ინგლისურში, ტერმინები: *invalid/ინვალიდი* (როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი ტერმინი), *invalidity/ინვალიდობა* ძირითადად უარყოფითი კონოტაციის მატარებელი არიან, გამონაკლისს წარმოადგენს ზმნა *to invalid out*, რომელიც სპეციალურ ტერმინს წარმოადგენს და მას არ აქვს უარყოფითი კონოტაცია. ბრიტანული ეროვნული კორპუსის თანახმად, *invalid* და მისი დერივატები საკმაოდ დიდი სიხშირით გამოიყენებოდა XX საუკუნის ბოლომდე და ასევე ლექსიკონის *Longman Dictionary of English Language and Culture* (2005, მესამე გამოცემა) XXI საუკუნის დასაწყისში (პირველ ათწლეულში). განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- (1) *Chaos as Invalid Drives at 8 mph on A1(British National Corpus 1980s-1990s,*

- (2) *Stephen Hawking suspected to be abused by his second wife Elaine: 'She calls him a cripple and an invalid' Yahoo News, 2015*

პირველი მაგალითში (საგაზეთო სათაური ბრიტანული პოპულარული გაზეთიდან) ნახსენებია ინვალიდი მძღოლი, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში პიროვნების ასე მოხსენიება არ ეწინააღმდეგება იმ პერიოდის ეთიკის ნორმებს, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინის გამოყენება არ იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას; ბრიტანული ეროვნული კორპუსის შექმნის პერიოდში (გასული საუკუნის 80-იანი, 90-იანი წლები) განსახილველი ტერმინი წარმოადგენდა სპეციალურ ტერმინს და ის არ მიიჩნეოდა შეურაცხმყოფელად. მისგან განსხვავებით 2015 წლის ინტერნეტგაზეთიდან ამოღებულ მაგალითში იგივე ტერმინი შეურაცხმყოფელი ლექსიკის ნიმუშია: ცნობილ მეცნიერს სტივენ ჰოკინგს მეორე ცოლი ილიენ მისონი აბუჩად იგდებდა უწოდებდა რა მას ხეიბარსა (*cripple*) და ინვალიდს (*invalid*). თუ პირველ შემთხვევაში პირდაპირობის სტრატეგია ჯდება თავაზიანობის ქცევის ნორმებში, მეორე შემთხვევაში იგივე პირდაპირობის სტრატეგია სახის შემლახავი ქმედებაა და არათავაზიანობის ნიმუში.

რაც შეეხება ქართულ მასალას, როგორც უკვე აღინიშნა, აქ ყოფით მეტყველებაში დიდი სიხშირით ვხვდებით ლექსიკურ ერთეულებს: *ინვალიდი*, *ინვალიდობა*, *დაინვალიდება* და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო აქტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტიკეტის თანახმად, ზემოჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები არათავაზიანი და შეურაცხმყოფელი ქცევის ნიმუშებია, ბევრი ენის მატარებლის მიერ (თავად შშმ პირთა მიერ) ისინი არ არიან ასეთად აღქმული; შესაბამისად, უმცირესობის აღნიშნული ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციისას საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა: ტერმინის შერჩევა თავად შშმ პირის მიერ უნდა მოხდეს, რათა არ მოხდეს კომუნიკანტთა სახის დაკარგვა.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აღმნიშვნელი ერთი ტერმინის (*invalid/ინვალიდი*) და მისი დერივატების ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური ძალა თანამედროვე ინგლისურსა (ბრიტანული და ამერიკული ვარიანტი) და ქართულში. ორივე ენაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტიკეტის ნორმების თანახ-

მად, ტერმინები: *invalid/invalidity/ინვალიდი /ინვალიდობა* მიჩნეულია შეურაცხმყოფელად; თუმცა ინგლისური ენის ბრიტანული და ამერიკული ვარიანტებისაგან განსხვავებით, სადაც ხსენებული ტერმინები თითქმის აღარ გამოიყენება, ქართულში მათი გამოყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით 50 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფში. გამოყენების თვალსაზრისით ინგლისურში გამონაკლისს წარმოადგენს ფრაზული ზმნა *to invalid out*, რომელსაც აქვს სპეციალური მნიშვნელობა და ასოცირდება ძირითადად სამხედრო სფეროსთან. ასევე, ე.წ. გლობალურ ინგლისურშიც, სამხედრო სფეროში ხშირად შევხვდებით ტერმინს *invalid*. მიმაჩნია, რომ ქართულში ტერმინების *ინვალიდი/ინვალიდობა* ჩანაცვლებას უფრო თავაზიანი ტერმინებით ართულებს ამ უკანასკნელთა ფრაზული აგებულება, ლინგვისტურად „არაეკონომიური“ ხასიათი.

### ლიტერატურა

**ოსტინი, 1965** – Austin, J.L. How to Do Things with Words. Oxford: Oxford University Press.

**ბრიტანეთის ეროვნული კორპუსი** – British National Corpus. corpus.byu.edu/bnc (მოპოვებულ იქნა 2018 წლის 3-10 მარტს)

**ბრაუნი და ლევისონი 1987** – Brown, P. & S. Levinson. Politeness: Some Universals in Language Usage. Cambridge: Cambridge University Press

**გაბოძე, 2018** – გაბოძე გ., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა საქართველოში. [www.tabula.ge/ge/tablog](http://www.tabula.ge/ge/tablog) (მოპოვებულ იქნა 15.02 2018)

**გოფმანი, 1972** – Goffman, E. Interaction Ritual, Essays in Face-to-Face Behaviour. Allen Lane: Penguin.

**კალპეპერი 1996** – Culpeper, J. Towards an Anatomy of Impoliteness. *Journal of Pragmatics № 25*, Elsevier Science, pp. 249-367, (მოპოვებულ იქნა 08.08.2014)

**ლიჩი, 1983** – Leech, G. Semantics. Penguin Books.

**ლიჩი, 1983** – Leech, G. Principles of Pragmatics. London: Longman

**ლიჩი, 2005** – Leech, G. Politeness: Is there an East-West Divide? *Journal of Foreign Languages General Series 160, №6 November 2005* (მოპოვებულ იქნა 2014 წლის 10-15 მაისს)

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი** – [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare) (მოპოვებულ იქნა 2018 წლის 20-25 თებერვალს)

**საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ** – [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge) (მოპოვებულ იქნა 2018 წლის 10-20 თებერვალს)

**ტერკურაფი 2005** – Terkourafi, M. Beyond the Micro-level in Politeness Research. *Journal of Politeness Research №1, Walter de Gruyter. pp 237-265*

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტიკეტი** – Disability Etiquette. A Publication of United Spinal Association. [www.unitedspinal.com](http://www.unitedspinal.com) (მოპოვებულ იქნა 2016 წლის 10-15 ივნისს)

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ენა და ეტიკეტი** – 2001. Disability Language and Etiquette. მოპოვებულ იქნა 2018 წლის 10-20 თებერვალს.

### **ლექსიკონები**

A Comprehensive Georgian-English Dictionary. 2006. D. Rayfield (ed.) PC version presented by [www.dach.com.ge](http://www.dach.com.ge)

Cambridge International Dictionary of English. 1996. Cambridge: Cambridge University Press

Collins Cobuild Dictionary of English. [www.collinsdictionary.com/dictionary/english](http://www.collinsdictionary.com/dictionary/english)

Longman Dictionary of English Language and Culture. 2005. Longman

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უცხო სიტყვათა ლექსიკონი. [www.nplg.gov.ge/geo/e-resources](http://www.nplg.gov.ge/geo/e-resources)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. 1990. თბილისი

## Towards the Semantics and Pragmatics of One Disability Term in Current English and Georgian

### Summary

The paper examines locutionary, illocutionary and perlocutionary forces of the disability term *invalid* and its derivatives in current English and Georgian. The works in semantics (Leech 1983), face (Goffman 1972) and politeness theories (Brown & Levinson 1983; Culpeper 1996; Leech 1983; Leech 2005; Terkourafi 2005) form the theoretical basis of the study. Special emphasis has also been placed on the norms of disability etiquette. The empirical data cover samples of spoken and written discourse genres (accumulated from English and Georgian internet news sites, social networking sites), dictionary data as well as the information obtained from the informants; the methods of observation and note-taking have also been employed. For the analysis of the data the methods of componential and contextual analysis were used.

The study of the empirical data has shown that according to the norms of disability etiquette in both languages the term and its derivatives (the only exception being the English phrasal verb *to invalid obj. out* which is mostly associated with military service) under discussion are considered to be discriminative and offensive, hence they have been replaced in English (BrE & AmE) and Georgian governmental literature (viz.: in Social Welfare Legislation) by the terms *disabled*, *disability/ shezghuduli shesadzleblobis (unarebis) mqone*. Moreover, in British and American variants of English the substitution took place in almost every field of language usage. According to *British National Corpus* and the dictionary data *invalid/ invalidity* were widely used up to the second decade of the 21st century. The British informants explain the substitution of the given term(s) by the fact that apart from being offensive they were not very accurate and became dated. By contrast, the American informants name the discriminative and offensive nature of the terms in question as the main reason. The analysis of the English empirical data has also shown that *invalid* is frequently used in the so-called Global English - in the field of military service (e.g.: *war invalids*).

As for the Georgian data, despite the fact that in governmental documents the term *invalidi* and its derivatives have been officially replaced, the term is still widely used in Georgian spoken and even written discourse genres. The paper names two factors that hinder the term replacement: (a) the sociolinguistic dimension of age (the term is mainly used by the native speakers over 50) and the phrasal nature of the substitute. Consequently, unlike English, where the use of the term(s) in question is a face-threatening act causing the loss of the communicants' face, in Georgian the best way to solve the problem is to find out how a particular person with a disability prefers to be referred to, this may help us to choose the right politeness strategy to handle an interaction.



რუსულან კაზთიაზშილი

## დილოგი და სამეცნიერო პროზა

სამეცნიერო პროზას ჩვეულებრივ გადმოცემის მონოლოგური სტილი ახასიათებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან დიალოგი, ენობრივი კვლევის თვალსაზრისით, სალაპარაკო ენობრივი ფორმის თუ მხატვრული ლიტერატურის საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს. ამკარაა, რომ დიალოგური ფორმები პატარა დოზით, მაგრამ მაინც იჭრება სამეცნიერო პროზაში, თუმცა არ პრევალირებს ნაშრომის ინფორმაციული ნაწილის მიმდევრობაში. ცნობილია, რომ დიალოგი გულისხმობს მინიმუმ ორ მხარეს (ავტორი და მსმენელი/მკითხველი). ჩვენთვის საინტერესო საკვლევი საკითხი გასცდა მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დადასტურების თუ საწინააღმდეგო მოსაზრების გადმოცემის ფორმებს სამეცნიერო ტექსტებში, რაც ინტერპრეტირების მრავალფეროვან საფუძველს ქმნის.

ცნობილია, რომ დიალოგი მონოლოგისაგან განსხვავებით თავისებურად გვაწვდის ინფორმაციას და ეს არის კავშირის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა აზრის გამომთქმელსა და რეციპიენტს შორის. თუ მონოლოგური ფორმით არსებულ მასალაზე გვეძლევა ინფორმაცია ავტორისაგან, დიალოგში ახალი მასალა არის პასუხი ან რეაქცია უკვე გამოთქმულზე, მოწოდებულ საკითხზე. ჩემი აზრით, სწორედ დიალოგში ჩანს კარგად სამეცნიერო აზროვნების დიალექტიკა. უძველეს დროში სწორედ რომ, დიალოგურ სამეცნიერო კომუნიკაციას ენიჭებოდა უპირატესობა და ეს ფორმა პრევალირებდა კიდევ დიდი ხნის მანძილზე (არისტოტელე, პლატონი, ბერკლი და სხვა). დროთა ვითარებაში აქტიურმა დიალოგურმა საკომუნიკაციო ფორმამ დატოვა სამეცნიერო პროზა, თუმცა ის ისევ იჩინს თავს, ოღონდ შეცვლილი ფორმით. მოძიებული მაგალითების საფუძველზე შევცვადე ამეწერა და დამეხასიათებინა დიალოგური ფორმები, რომლებიც ჩნდებიან იქ, სადაც ავტორი მკითხველსა თუ მსმენელში ხედავს არა პასიურ რეციპიენტს, არამედ პოტენციურ პარ-

ტნიორს, რომელიც აქტიურად არის ჩართული და მონაწილე ინფორმაციის მიღებაში, მის აღქმასა თუ გააზრებაში.

დიალოგი გვეხმარება აზრის ჩამოყალიბებაში, დადასტურებაში, რაც საფუძვლად დაედო ფაქტს, რომ ის უდავოდ არსებობს სამეცნიერო პროზის წერილობით ფორმაში. ის გვაძლევს კავშირს უკვე ნაცნობ ინფორმაციასთან, ძველისა ახალთან, უცნობი მასალის მიმართებას ფაქტობრივთან, უკვე აღიარებულთან, რაც ასახავს სამეცნიერო აზროვნების პროცესს ანუ სამეცნიერო შემეცნების დიალექტიკას საკვლევ საკითხთან მიმართებით. დიალოგთან ერთად ყველაზე თვალსაჩინო ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ პოლემიკა, სადაც ჩნდება რეალური და პოტენციურად დაპირისპირებითი ფორმები ავტორის კონცეფციაზე, ასევე პასუხები – აზრის გაბათილებასა თუ აღიარებაზე და ა.შ.

პოლემიკაში დიალოგში ჩართვის გამომწვევი შეიძლება აღმოჩნდეს შემდეგი სახის წინადადებები:

– A grammar that is descriptively adequate gives a „correct account“ of the linguistic intuition of the native speaker... (Eastman C. 1972).

– The borehole was more than 400 m deep. Recent exploration has revealed other sources amounting to more than 25 thousand tons of uranium oxide.

პირველ წინადადებაში აშკარად იკვეთება პოლემიკური ფონი, რადგან აზრის კონსტანტაცია მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე პირის ინტუიციასზე გათვლილი. ინტუიციასზე დაყრდნობამ კი შესაძლებელია ბევრი სადავო საკითხის პროვოცირება მოახდინოს და გამოიწვიოს მსჯელობა, რაც თავისთავად კამათის მიზეზი ხდება.

მეორე წინადადებაში კი დაუზუსტებელმა მონაცემებმა შესაძლოა ბევრი სადავო საკითხი წამოჭრას; კერძოდ, საჭირო გახდეს ზუსტი ციფრის ან მონაცემის მოყვანა, რათა სამეცნიერო შედეგი არ გახდეს საორჭოფო.

დიალოგურ და პოლემიკურ გამოკვეთილ ფონს ქმნიან მოდალური ზმნები, რომლებიც ვარაუდს, ალბათობას, ორჭოფულ სიტუაციებს გვაძლევენ და სწორედ ისინი გვევლინებიან დიალოგისა და კამათის გამომწვევ ენობრივ ერთეულებად;

მაგ.: – Comparison tests may show deviations as large as those claimed for the real test.

– Alternative theories probably soon sprung up.

– Other solutions may of course exit.

ანდა შესაძლებლობის მაჩვენებელი დენოტატის შემცვლელი სიტყვებით გადმოცემული აზრი:

– A further possibility arises from the fact that amplitude of the oscillations is large and soon.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი სამეცნიერო პროზიდან სავარაუდოდ ვარიანტების დაშვების საშუალებას იძლევა, რაც უდავოდ გამოიწვევს პოლემიკას. ბუნებრივია, რომ დიალოგის, მსჯელობის ელემენტები ჩნდება იქ, სადაც ავტორი ხედავს მსმენელში/მკითხველში აქტიურ, საკითხში ჩართულ რეციპიენტს და ელის მისგან მსჯელობას, რეაქციას, აქტიურობას. ექსპერიმენტული მასალა ითხოვს თეორიული მასალით გამყარებას, რასაც დიალოგიზაცია უწყობს ხელს. გვერდს ვერ ავუვლით ასევე კითხვითი, თუობითი, გამყოფი, ზოგადი, სპეციალური თუ რიტორიკული ხასიათის კითხვითი წინადადებების როლს სამეცნიერო ტექსტებში. დიალოგის გამომწვევ ერთ-ერთ ტიპურ მიზეზად სწორედ კითხვით წინადადებებს მივიჩნევ. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორი თვითონ სვამს კითხვას წამოჭრილ საკითხზე:

მაგ.: – May new hypothesis emerge in?

– Couldn't the final flowering of... have emerged independently?

– Would the folk have called themselves Pritani or Pretani?

პოლემიკის, დიალოგის ფონის შემქმნელი თვალსაჩინო მასალას გვაძლევს თუობითი -or კავშირის შემცველი კითხვები, რომლებიც ითხოვენ კონკრეტულ პასუხს. ამის მიზეზი მარტივია და როგორც ეს ზევითაც იყო აღნიშნული, მკვლევარი თუ მეცნიერი მკითხველში/მსმენელში ხედავს პოტენციურ პარტნიორს და მოწოდებული ინფორმაციით, იწვევს მას ჩაერთოს დიალოგში, მსჯელობაში, რაც აცოცხლებს სამეცნიერო მოხსენებების მსვლელობის დინამიკას.

დიალოგში დასმული კითხვები (დავარქმევ მათ დიალოგურ კითხვებს) დაპირისპირების, აზრთა ოპონირების თუ შეთანხმების საფუძველს ქმნიან სამეცნიერო პროზის მასალაზე. კითხვების შინაარსობრივი დატვირთვა მსმენელს/მკითხველს ახლებურ ხედვას სთავაზობს, გვამცნობს აზრების დინამიკას, ახასიათებს ინტერესის სფეროს, აკონკრეტებს საკუთარი პოზიციის ამოსავალ წერტილს საკითხის გაცნობიერებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო დიალოგს, რომელიც ვითარდება ოფიციალური სამეცნიერო დისკუსიის ფონზე, წინ უს-

წრებს სამეცნიერო ურთიერთობის მონოლოგური ფორმა, რაც არის დიალოგიზაციის წამოჭრის საფუძველი. ეს ხდება მაშინაც, როცა არაა მოსაზრება გამოხატული კონკრეტული ტექსტით და მსჯელობა მიდის ამ სამეცნიერო წრისათვის ნაცნობ, მათთვის გასაგებ თეორიულ ნაწილზე. მაშ, დიალოგიზაცია გულისხმობს ინფორმატულობას და მოდალურობასაც.

ინფორმატულობას იმდენად, რამდენადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და გადაცემა, მოდალური კი იმიტომ, რომ ხდება ამ ინფორმაციის დადასტურება, უარყოფა ან გაბათილება და ა. შ. მოცემულ კონტექსტში (იხ. არუტუნოვა) დიალოგიზაციის პროცესში გამოყენებული კითხვების შინაარსობრივი დატვირთვა მსმენელსა თუ მკითხველს ახლებურ ხედვას სთავაზობს, აკონკრეტებს მათი ინტერესის სფეროს, გვამცნობს აზრების მსვლელობას, აკონკრეტებს ამოსავალ თეზას საკუთარი პოზიციის და საკითხის სრულყოფისათვის. ამგვარად, გვაქვს შერწყმა და ხშირად თანხვედრა უკვე ნაცნობისა ახალ ინფორმაციასთან. კითხვის დასმით ავტორი უპირისპირდება ძველს და შესაძლოა საორჭოფო ან ორაზროვანი გახადოს ახალი ინფორმაცია. როგორც წესი, მეცნიერი კვლევაში ცდილობს თავიდან აიცილოს გაურკვეველობა, ბუნდოვანება, ორაზროვნება, რადგან სამეცნიერო დიალოგში ხშირია ენობრივი ფუნქციისა და ენობრივი ექსპრესიული ფორმის აცდენა. დიალოგში გამოყენებული კითხვები ხშირად სიტუაციისაგან ამოგლეჯილია და ეს იწვევს კამათს, დაპირისპირებას სამეცნიერო ფაქტებთან მიმართებით.

მოსაზრებების ჩამოყალიბებისას მეცნიერი ქმნის მისთვის მისაღებ და შინაარსობრივად დატვირთულ გამონათქვამებს კომპაქტურად. ენათმეცნიერები კი ყოველთვის ცდილობენ ახსნან თუ როგორ იგებს ნაგულისხმებ მნიშვნელობას მსმენელი ან მკითხველი. ოსტინის მიხედვით (Austin, 1962), ყოველი კონკრეტული გამონათქვამი თავისებური სიფრთხილით მოპყრობას საჭიროებს, რადგან ხშირად ჩნდება, რომ ფაქტობრივი მასალა კონკრეტულად არაა გადმოცემული, ზოგიერთი ინფორმაცია ავტორთან ნაგულისხმევია, ნავარაუდევია და სხვა. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევებს თან უნდა სდევდეს ე.წ. „ლინგვისტური კონტროლის“ ცნების გააქტიურება.

ამ უკანასკნელში კი უნდა აისახოს სწორი ლექსიკური ერთეულების შერჩევა, ნათქვამის სემანტიკური დატვირთვა, დამაჯერებლობა, ფაქტობრივი მასალით ინფორმაციის დადასტურება და სხვა. სხვადასხვა შედეგს და მთავარ აზრთან აცდენას გამოიწვევს ე.წ. „გა-

ქონვა“, რაც ლინგვისტიკაში (ინგლისურად) „leaking“-ის სახელითაა ცნობილი (Brown, 1983). ზემოთ ნახსენები „ლინგვისტური კონტროლი“, ვფიქრობ, დაგვეხმარება ორაზროვანი გამონათქვამების თავიდან აცილებაში, რაც უადრესად მნიშვნელოვანია სამეცნიერო პროზისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სფერო მაინც თავს ვერ აღწევს ორაზროვნების ფენომენს, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში.

– Increased responsiveness may be reflected in feeding behaviour. მოცემული წინადადება შეიძლება ორგვარად იყოს გაგებული: მოვლენა შესაძლებელია იყოს თვალსაჩინო ანდა მიზეზის გამომწვევი.

– Is one thing being said to be effect of another or is it merely the outward sign of it? დასმულ შეკითხვაზე პასუხი კონკრეტიზაციას ითხოვს, რადგან თვითონ კითხვაა ორაზროვანი.

– ...the announcement of the doctor's acceptance... მოცემული ფრაზა გულისხმობს შემდეგ ორ მოსაზრებას:

a) The doctor made the announcement or someone else did;

b) whether the doctor accepted or being accepted...

მოყვანილი მაგალითები სავარაუდო მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს იძლევიან, აზრის ინტერპრეტაცია შესაძლებელია იყოს განსხვავებული, რაც სავარაუდოდ ტექსტში დიალოგიზაციის გამომწვევი აღმოჩნდება.

მამასადამე, დასაშვებად მოგვაჩნია ზეპირმეტყველებით და წერილობით სამეცნიერო პროზაში დიალოგიზაციის პროცესის ეფუძისტენცია. სტატიაში განვიხილეთ მისი გამომწვევი რამდენიმე მიზეზი, კერძოდ; ორაზროვნება, კითხვითი წინადადებების დასმა ავტორის მხრიდან, ვარაუდის გამომხატველი მოდალური ზმნების უხვად გამოყენება სამეცნიერო ნაშრომში.

## ლიტერატურა

**არუტუნოვა, 1970** – Арутюнова Н. Д., Некоторые Типы Диалогических Реакции и «почему» – реплики в Русском Языке. НДБИ. филол. науки, №3 1970.

**გრაისი, 1957** – Grice H.P., Philosophical Review, Meaning, 1957.

**ისტმანი, 1972** – Eastman C.M., Aspects of Language and Culture, 1972.

**ოსტინი, 1962** – Austin J. How to Do Things With Words. Oxford 1962.

**სერლე, 1997** – Searle J. R., Expression and Meaning; Cambridge Univ. Press. 1997.

**RUSUDAN KAVTIASHVILI**

### **Dialogue and Scientific Prose**

#### Summary

The paper deals with some elements of dialogue evidenced in scientific prose. The latter sometimes reveals ambiguous forms that are meant to be difficult to comprehend. The problem of ambiguity practically always creates distance between the author of a scientific text and the recipient; hence the use of interrogative sentences with modal verbs, expressing probability create an atmosphere of dialogue when discussing certain scientific issues.

რუსულან კავთიაზილი, თეიშრაჟ სატანანი

ეკონომიკის, ბიზნესის სფეროს ზოგიერთი  
ცნება და ინგლისური ენა

ინგლისური ენა ანუ მსოფლიო ენა, როგორც მას დღეს უწოდებენ, გამორჩეულია მდიდარი ლექსიკური მარაგით და თავისი განვითარების მანძილზე მნიშვნელოვნად მოქნილი გახდა და გააფართოვა გამოყენების არეალი. ინგლისურ ენაში ისევე, როგორც სხვა ენებში, უწყვეტად ჩნდებოდა და ჩნდება ნასესხები სიტყვები არა მარტო ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების ენებიდან, არამედ ნაკლებად გავრცელებული ენებიდანაც, რასაც მიყვავართ გლობალიზაციისაკენ და რაც ხსნის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკის მრავალფეროვნებას.

ენაში სიტყვების შესვლა ხდება სამეცნიერო თუ საყოფაცხოვრებო, რელიგიური თუ პოლიტიკური, ეკონომიკური, ბიზნესის და სხვა სფეროებიდან, რაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ერის კონტაქტებზე, ურთიერთობის სიხშირეზე სხვა ერებთან, ქვეყნის განვითარებაზე ამა თუ იმ სფეროში და მრავალ სხვა ფაქტორზე.

ცნობილია, რომ ინგლისური ენის ლექსიკური მარაგის დიდი წილი ძველი პერიოდის ინგლისურიდან შემორჩენილი სიტყვებია, რასაც ემატება ნასესხები ლექსიკური ერთეულები და ხშირად მათ საფუძველზე ან თვით ენის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმები, მაგ., ნასესხები audi ფორმიდან ინგლისურმა ტრანსფორმაციით შექმნა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: audit, audio, audible, audience, audition and so on.

ჩვენი აზრით, ნასესხები სიტყვები ხელს უწყობს ერების დაახლოებასა და ურთიერთგაგებას კულტურის, პოლიტიკის, ბიზნესის, ეკონომიკის და ა.შ. სფეროებში. ახალი ცნებები შემოდის ენაში ახალი საგნების, მოვლენების, პროცესების აღნიშვნისათვის, რომლებიც უდავოდ ამდიდრებენ ლექსიკის მარაგს. მათი ეტიმოლოგია კი გვამლევს მრავალმხრივ ისტორიულ, დიაქრონული კვლევის საფუძველზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ექსტრალინგვისტური ფაქტორების

გავლენის გათვალისწინებით. მაშასადამე, ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური კვლევა გულისხმობს მულტიდისციპლინარულ კვლევას. მაგალითად, სიტყვები: pound, cheap რომაელებმა შეიტანეს ყველა გერმანულ დიალექტში უფრო ადრე, ვიდრე ანგლო-საქსები დასახლებოდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე.

ცნობილია, რომ სიტყვების ეტიმოლოგიური კვლევა გვიჩვენებს მათ პირველწყარო ენას და იმ გზებს, თუ როგორ მოხვდნენ ისინი სხვა ენებში; ეს პროცესი ასევე გვიჩვენებს ერების დაახლოების გზებს და იმ ფაქტებს, თუ როგორ და რატომ გაითავისა ესა თუ ის ლექსიკური ერთეული ენამ. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გავაკეთოთ დიფერენციაცია სესხების წყაროსა და სიტყვების წარმომავლობას შორის, რაც სრულიად სხვადასხვა მოვლენაა.

ვაჭრობა, ეს უძველესი სპეციალობა/დარგი ცივილიზაციის თანატოლ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. როდესაც ადამიანის საქმიანობა გასცდა ოჯახურ წრეს და ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტების, საგნების გამო ბარტერულ საქმიანობას მიჰყო ხელი, შესაბამისად განავითარა საკომუნიკაციო ლექსიკური მარაგი, რაც ბუნებრივად აისახა ენაშიც. კომერციულმა საქმიანობამ მოიტანა წონის, საზომი ერთეულების, რიცხვის, თარიღის, მონეტარული სისტემის და სხვა მოვლენების შემოღებისა და აღნიშვნის აუცილებლობა, რაც ინგლისურმა სხვადასხვა ენიდან შეივსო. ბევრი პროდუქტისა თუ მეტალის დასახელება დღემდე არაა შეცვლილი და განზოგადოებული სახით გამოიყენება ენაში: iron, bronze, tomato, copper. სიტყვათა ეტიმოლოგია გვეუბნება, რომ „სპილენძის“ – აღმნიშვნელი ცნება კვიპროსიდან ევროპის ენების გავლით დამკვიდრდა ინგლისურში.

მსგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე უკვე მოგვიანებით პერიოდში, ერთ დროს ტერმინებად შემოტანილი სიტყვებთან: currency, dealer, inflation, etc., რომლებიც ზოგადი გამოყენების ლექსიკურ ერთეულებად იქცნენ. საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე სიტყვა bread-თან, რომელიც ერთ დროს ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და „საკვებს“ ნიშნავდა. დღეს ის მხოლოდ „პურის“ მნიშვნელობით გამოიყენება, ანუ ზოგადი მნიშვნელობა დაიკარგა და სიტყვამ კონკრეტული პროდუქტის ნომინაცია მოგვცა.

უფრო ადრე „loaf“ ნიშნავდა „პურს“, დღეს ის გამოხატავს მთლიან პურს, ბატონ პურს. ეს პროდუქტი ასევე მნიშვნელოვანი იყო ბარტერულ საქმიანობაში.



ვფიქრობთ, ცალკე კვლევის საგნად უნდა იქცეს ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში არსებული შემოკლებები, ჟარგონები და შესიტყვებები, რომლებიც სპეციფიკურია ამ სფეროებისათვის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: bookies-from bookmaker,

Keno – არის ტერმინი, რაც ნიშნავს, რომ მარცვლეულის ფასმა მიაღწია ზღვარს, შესიტყვება – boiler room – ნიშნავს ოფისს, რომელიც იცავს და აკონტროლებს გაყიდვებს; დეპრესიის შემდგომ ზრდას აღნიშნავს შესიტყვება – fish-hooking out and so on.

ფაქტია, რომ ინგლისურ ენაში დიდი წილი ბერძნული და განსაკუთრებით ლათინური სიტყვების სესხებაზე მოდის და ეს ფრანგული ენის გავლით განხორციელდა, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი იყო „ხიდი“ ენა, ანუ ლინგუა ფრანკა ბევრი ენისათვის და მათ შორის ინგლისურისათვის, რომელმაც თავის ენობრივ ნორმებში მოაქცია შემოტანილი დენოტატები, მაგ., ბერძნული სიტყვა crisis, ჰიპოკრატე უწოდებდა „ავადმყოფობის გარდამტეხ ეტაპს“ და გამოიყენებოდა სამედიცინო სფეროში; ინგლისურ ენაში ის დამკვიდრდა 1620 წელს. მოგვიანებით აღნიშნული ტერმინი გავრცელდა ყველა სფეროში და ნიშნავს გარდამტეხ ფაზას. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით მას ეკონომიკის თუ ფინანსურ სფეროში. საინტერესოა ლექსიკური ერთეული invest (Latin)- investive-დან წარმოქმნილი, რომლის საწყისი მნიშვნელობა იყო – ჩაცმა, შემოსვა. დღეს ის იღებს მნიშვნელობას – ფულის დაბანდება. ფაქტია, რომ ნასესხები სიტყვები ენებში, და კერძოდ, ინგლისურში, განიცდიან სემანტიკურ ცვლილებებს და ნაწილობრივ ინარჩუნებენ თავდაპირველ მნიშვნელობას და აფართოებენ გამოყენების არეალს.

სხვადასხვა პრეფიქსისა და სუფიქსის სესხებით ინგლისურმა, მისი კომბინატორულობის წყალობით ბევრი ნეოლოგიზმი შექმნა. მაგ. macroeconomics, microeconomist, diagram.

მოცემულ ნაშრომში ჩვენს ყურადღებას ვამახვილებთ ფულის ცნებასთან დაკავშირებულ ცნებებზე, რომლებიც მიმართებაშია სხვადასხვა მეტალთან თუ იმ დროისათვის დეფიციტურ პროდუქტთან, სხვადასხვა ენაში ისინი განსხვავებულ მოვლენებთან ასოცირდება, კერძოდ:

გერმანულში ფული ოქროსთან ასოცირდება (geld)

შოტლანდიურში – ვერცხლთან (siller)

ლათინურიდან შემორჩენილი სიტყვა moneta – დღესაც აქტუალურია ბევრ ენაში.

დენოტატები „coin“ and „currency“ უკავშირდებიან მონეტარული სისტემის განვითარების ეტაპებს და ორივე სიტყვა გამოყენებულია ბევრ ენაში.

ხელფასის აღმნიშვნელი დენოტატი – „salary“ – ნიშნავს – „salt money“, სიტყვის ეტიმოლოგიურ–ისტორიული ფონი გვამცნობს, რომ უძველეს რომში ჯარისკაცებს ხელფასის ნაწილს „მარილით უხდიდნენ“, რაც ადასტურებს ამ პროდუქტის დეფიციტურობას. „fee“ არსებითი სახელი გერმანული წარმოშობისაა და თავდაპირველად ნიშნავდა „sheep“, „cattle“, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს ბარტერული ოპერაციების მრავალფეროვნებას.

იტალიური soldo და ესპანური sueldo, მიმართებაშია ჯარისკაცთან, რადგან ის ნიშნავდა კაცს, რომელიც იბრძოდა გარკვეულ საფასურად. იარაღს უკავშირდება ფრანგულ–ესპანური „pistol“ ანუ იგივე ოქროს მონეტა.

სიტყვა დოლარის ეტიმოლოგია უკავშირდება გერმანულ სიტყვა „Thaler“ იგივე (Joachimsthaler)-ს, ხოლო დოლარის ნიშანი უკავშირდება ესპანურ სიტყვა „pesos“-ს (იხ. M. Pei).

ევროპაში გავრცელებული ფულის ერთეულის დასახელება „Euro“, შემოტანილია 1999 წლის 1 იანვარს ევროკავშირის ეგიდით ([www.history the euro](http://www.history.theeuro)), რაც უკავშირდება ევროპის კონტინენტის სახელს. შესაბამისად, შეიქმნა მთელი რიგი დაწესებულებების სახელები და შესატყვევები ენაში, მაგ., (Euro convergence criteria).

ფულთან დაკავშირებული ტერმინები ისევე, როგორც სხვა მოტანილი მაგალითები განიცდიდნენ ცვლილებას, ვრცელდებოდნენ და მკვიდრდებოდნენ ენაში გარკვეული დროის შემდეგ. მათ თან სდევთ ისტორიული ფონი, რაც გვამცნობს მათ დანიშნულებას და ცნებების თავდაპირველ ღირებულებას. მოძიებულმა მასალამ გვაჩვენა, თუ რა მნიშვნელობის მატარებელი იყვნენ ისინი, საიდან და რისთვის იყვნენ შემოღებული ბიზნესის თუ ეკონომიკის სფეროში და რამდენად გაამდიდრეს მათ ინგლისური ენის ლექსიკური მარაგი. შეიძლება ასევე ითქვას, რომ ერთ დროს ენაში არსებული ნეოლოგიზმები, ტერმინები გახდნენ ზოგადი გამოყენების სიტყვები, რაც ვფიქრობთ, მათი ხშირი გამოყენების შედეგია.

## ლიტერატურა

**აიტო ჯ., 1993** – Ayto John- Dictionary of Word Origins Arcade Publishing, 1993

**დერკინ ფ., 2014** – Durkin Philip- Borrowed Words, A History of Loanwords in English, Oxford 2014

**ფეი მ., 1966** – Pei Mario- The Story of Language , N4, 1966

www. Oxford reference com/arcref. 9780

Concise Oxford Dictionary of English Etymology 2001

www. Euro-dollar-currency.com/history of euro

RUSUDAN KAVTIASHVILI, TEIMURAZ SARTANIA

### **Some Economic, Business Notions and the English Language**

#### Summary

Throughout the history of the English language borrowings have always been a relevant as well as a fruitful means determining language development and enrichment of its word stock. The etymological background of the words and terms of our interest mostly explain preserved or changed meanings in loanwords.

ლია რუხიაშვილი

სოციალური ცვლილებების დინამიკის ასახვა  
საოჯახო სამართლის მნაში

ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. საქორწინო კავშირი მყარდება ქალსა და მამაკაცს შორის. ის ნე-ბაყოფილობითია. ის არის მთელი სიცოცხლის მანძილზე და არ შეიძლება მისი შეწყვეტა თვითნებურად რომელიმე მხარის მიერ. საოჯახო სამართალი ყველგან არეგულირებს მოქალაქეობრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს ქორწინების თუ განქორწინების თვალსაზრისით. ადგენს როგორც პირად, ისე ცოლ-ქმრის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. განსაზღვრავს მშობლების უფლებებსა და ვალდებულებებს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი შვილების მიმართ. ჩვენი კვლევა სამი ქვეყნის, საქართველოს, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ანალიზს ეყრდნობა.

ოჯახურ-სამართლებრივი ლიტერატურის ანალიზის შედეგად, გამოვეყავით ის ლექსემები, რომლებიც ასახავენ ცნებებს „ოჯახი და ქორწინება“. ეს ტერმინებია: **civil marriage-mariage civil** – სამოქალაქო ქორწინება; **marital cohabitation-cohabitation conjugale** – ცოლ-ქმრული თანაცხოვრება; **registered partnership-partenariat civil enregistré** – რეგისტრირებული ქორწინება; **cérémonie de mariage civil-civil wedding ceremony** – სამოქალაქო ქორწინების ცერემონია.

არსებობს ტერმინები, რომლებიც პარტნიორების არარეგისტრირებულ თანაცხოვრებას აღნიშნავს: **de facto marriage-mariage de facto** – ფაქტობრივი ქორწინება; **cohabitation-cohabitation**-თანაცხოვრება; **live-in partnership-common-law marriage-living toge-ther-concubinage** – არარეგისტრირებული თანაცხოვრება; **consensual union-partenariat hors mariage** – თანაცხოვრება ქორწინების გარეშე. ტერმინები, რომლებიც ასახავს ერთსქესიან პარტნიორთა თანაცხოვრებას: **same-sex community-communauté de même sexe** – ერთსქესიანთა თანაცხოვრება; **homosexual partnership-partenariat homo-**

**sexuel** – ჰომოსექსუალთა პარტნიორობა; **gay marriage-mariage homosexual** – ჰომოსექსუალთა ქორწინება.

ამგვარად, სოციალური მოვლენები, რომლებიც გამოხატულია ზემოხსენებული ტერმინებით, ნათლად გვიჩვენებს თანამედროვე ოჯახის მშენებლობის მოდელების სრულ პალიტრას. სოციალური ცვლილებების შედეგად ჩნდება ახალი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოწოდებულია დაარეგულიროს ჩამოყალიბებული ფაქტობრივი ოჯახური ურთიერთობები, ოფიციალური ქორწინების გარეშე, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი ქვეყნის საოჯახო სამართლის შედარებისას თავს იჩენს მკვეთრი განსხვავებები. ერთსქესიანთა ქორწინება საქართველოში აკრძალულია, საფრანგეთში დაშვებულია, ოღონდ მხოლოდ მერიაში, თუმცა შვილის აყვანის უფლება მათ არა აქვთ. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ერთსქესიანთა ქორწინება შესაძლებელია ეკლესიაშიც კი.

ერთსქესიანთა ქორწინებამ ახალი ტერმინები წარმოქმნა ფრანგულ საოჯახო სამართალში. ამჯერად, თავად ოჯახსა და ქორწინებას სხვანაირად ახასიათებენ. ახალი ლექსიკური ერთეულები ჩნდება სამართლის ენაში, რომლებიც გადადის კანონის ენაში, ზოგი განაგრძობს საერთო ენასა და სამართლის ენაში ფუნქციონირებას. პირველ რიგში, ეს სიტუაცია შეიძლება ავხსნათ იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც ოჯახურ-სამართლებრივ მიმართებებს ასახავს, ზოგჯერ ჩამორჩება დროში ამ სფეროში არსებულ საზოგადოებრივ ცვლილებებს.

საოჯახო სამართლის ტერმინები შეიძლება პირობითად დავყოთ 4 ჯგუფად:

1. ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ პირებს საოჯახო სამართალში. მაგალითად: **adulteress-femme adultère** – ცოლ-ქმრული ერთგულების დამრღვევი ქალი; **wife-épouse** – მეუღლე ქალი; **husband-mari** – ქმარი, **child-enfant** – ბავშვი და სხვა;

2. ტერმინები, რომლითაც გამოხატავენ ცოლ-ქმრული ურთიერთობის ქონებრივ ურთიერთობებს. მაგალითად: **original assets(property)-la fortune initiale** – ქორწინებამდე არსებული ქონება; **capital final-assets, property rights of spouses-droit de propriété des époux** – ცოლ-ქმრის ქონებრივი უფლება; **acquests-acquêts** – ცოლ-ქმრის საერთო ქონება და ა.შ.;

3. ტერმინები, რომლებიც უცილობლად მხოლოდ საოჯახო სამართლის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად: **spouses-époux** – მეუღლეები; **civil marriage-mariage civil** – სამოქალაქო ქორწინება; **bigamy-bigamie** – ორცილიანობა; **religious marriage-mariage religieux** – საეკლესიო ქორწინება და სხვა;

4. სამართლის სხვა სფეროდან აღებული ტერმინები, რომლებსაც უშუალო მნიშვნელობა აქვს საოჯახო სამართლისთვის, ჩვენს შემთხვევაში ესაა შრომისა და მემკვიდრეობითი სამართლის სფეროები. ასე მაგალითად: **obligation to cooperate spouse-obligation de coopération du conjoint** – მეუღლის თანამშრომლობის ვალდებულება; **right of women to lead the family-droit de la femme de diriger la famille** – ქალის უფლება წარუძღვეს ოჯახს; **degree of relation-ship-degré de parenté** – ნათესაობის ხარისხი და სხვა.

საინტერესოა საოჯახო სამართლის ტერმინთა სტრუქტურა. ადრინდელ ტერმინებში გამოიყენება მარტივი სიტყვები, თუმცა სამივე ენაში გვაქვს ასევე ორსიტყვიანი ან მრავალსიტყვიანი ტერმინები, წინდებულით დაკავშირებული არსებითი სახელები ან კიდევ ზედსართავით და არსებითი სახელით წარმოდგენილი ფორმები. ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვყავით სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც ტერმინების შექმნაში მონაწილეობენ. ესენია:

1. წინდებულიანი არსებითი სახელებისაგან შემდგარი ტერმინები. მაგალითად: დედობის აღიარება – **recognition of motherhood-reconnaissance de maternité**; განქორწინების შედეგები – **consequences of divorce-conséquences du divorce**; სასამართლოში გამოძახება განქორწინებისათვის – **divorce assignment-assignation en divorce** და სხვა.

2. არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან შემდგარი ტერმინები. მაგალითად: ბავშვის აღიარება მამის მიერ მშობიარობამდე – **prenatal paternal recognition-la reconnaissance paternelle prénatale**; ბავშვზე უარის თქმა-**parental neglect-le délaissement parental**; გენეტიკური კოდი – **genetic code-code génétique**; კანონიერი ბავშვი – **legitimate child-enfant légitime**; ინგლისურ და ფრანგულ ენებში ტერმინები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულთან შეპირისპირებისას. მხოლოდ ერთ ტერმინს „გენეტიკური კოდი“ აქვს მსგავსი ჟღერადობა, ვინაიდან მოცემული ტერმინი უცხოური სიტყვებისაგან შედგება.

3. იდენტური ტერმინები გვაქვს ინგლისურსა და ფრანგულ ენებში. მაგალითად: ანდერძი-**testament-testament**; აპატრიდი – **apatride-apatride**; განქორწინება – **divorce-divorce**; შვილება (ჩვეულებრივი) – **simple adoption-adoption simple**; ჩასახვა – **conception-conception**. ტერმინი „აპატრიდი“ ქართულში უცხო ენიდანაა ნასესხები, ამიტომ, ამ ტერმინის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამივე ენაში სრული დამთხვევაა.

4. იდენტური ტერმინები განსხვავებული ორთოგრაფიით. ზოგიერთი ტერმინი ინგლისურ და ფრანგულ ენებში იდენტურია, თუმცა განსხვავებაა ორთოგრაფიაში, რომ არაფერი ვთქვათ წარმოთქმაზე. მაგალითად: ბიგამია – **bigamy-bigamie**; გაყრა – **separation-séparation**; ემანსიპაცია – **emancipation-émancipation**; ფიქტიური ქორწინება – **putative marriage-mariage putatif**; შერიგება – **reconciliation-réconciliation**; შუამავლობა – **mediation-médiation**. ქართული ტერმინები „ბიგამია“, „პოლიგამია“ ნასესხები ტერმინებია, თუმცა გვაქვს მათი შესატყვისი ქართული ტერმინები „ორცოლიანობა“, „მრავალცოლიანობა“. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინგლისური და ფრანგული ტერმინების შედარებისას ზუსტი მსგავსებაა, განსხვავება მხოლოდ ზედსართავისა და არსებითი სახელის ადგილით ვლინდება. ინგლისურში გვაქვს პრეპოზიცია, ფრანგულში კი პოსტპოზიცია, რაც ენების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

5. ზმნისა და არსებითი სახელებისგან შედგენილი ტერმინები. მაგალითად: განქორწინების შედეგების მორიგებით მოგვარება – **resolve the consequences of divorce amicably-régler les conséquences du divorce à l'amicable**; კანონიერი შვილის ყოლის აღიარება – **have possession of status of legitimate child-avoir la possession d'état d'enfant légitime**; მეუღლის გვარის გამოყენების უფლების დაკარგვა – **se the use of the name of spouse-perdre l'usage du nom du conjoint**.

6. აბრევიატურა. ესაა: ლგბტ-**LGBT-LGBT** და ისიც ფრანგულსა და ინგლისურში ემთხვევა ასოების შემოკლებებს. ქართულში კი ინგლისურიდან იქნა ნასესხები. ფრანგულში უნდა აღვნიშნოთ აბრევიატურა **PACS**. ეს აბრევიატურა ნაცნობია ყველა ფრანგისათვის, რაც შემდეგნაირად იმიფრება **Pacte civil de solidarité** – სოლიდარობის სამოქალაქო ხელშეკრულება. ქართულში მას შესატყვისი არა აქვს. ინგლისურში არსებობს **Civil**

**partnership agreements.** აღსანიშნავია ის, რომ მოცემულმა აბრევიატურამ ფრანგულ ენაში ზედსართავები წარმოქმნა – **pacsé, pacsable, pacsage** და ზმნები-**pacser, se pacser**. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა ოჯახი შეიქმნა სუფიქსაციის მეშვეობით.

7. მთარგმნელის „ცრუ მეგობრები“. „თარგმანის განხორციელების სფერო ენა კი არა, არამედ მეტყველებაა. თარგმანის მინიმალური ერთეული წინადადებაა. უნდა ვერიდოთ სიტყვასიტყვით თარგმანს. ეს გახლავთ დამწყები მთარგმნელების „საყმაწვილო სენი“, რომელსაც გვერდს ვერ უვლიან, თუკი არის უცხო და მშობლიურ ენებში სიტყვების ფონეტიკური მსგავსება. მათ მთარგმნელის ცრუ მეგობრებს უწოდებენ“ (მ. ჯაში, ქ. ჯაში 2003: 7). მთარგმნელებისათვის ეს კარგად ნაცნობი ტერმინია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ ენაში ტერმინები ფონეტიკურად ჰგავს, თუმცა მნიშვნელობები განსხვავებულია. მაგალითად: ფრანგულად ტერმინი **mariage blanc**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს თეთრ ქორწინებას, ითარგმნება, როგორც ფიქტიური ქორწინება, ხოლო ინგლისურში არსებობს აღნიშნული ტერმინის მსგავსი გამოთქმა **white wedding**. ის ითარგმნება, როგორც საეკლესიო ქორწინება, როდესაც პატარძალი თეთრ კაბაშია გამოწყობილი.

8. სპეციფიკური ტერმინები. ინგლისურ და ფრანგულ ენებში გვაქვს ისეთი ტერმინები, რომლებიც მხოლოდ ამ ენებისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად: შოტლანდიური ქორწინება-**Gretna-Green marriage**, რაც ნიშნავს ისეთ ქორწილს, როდესაც ქორწინებისათვის მხოლოდ წყვილის თანხმობაა საკმარისი, ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ ინგლისელები, როდესაც გარბოდნენ შოტლანდიაში, რომ ადვილად დაქორწინებულიყვნენ. ეს ფრანგებისათვის უცხო მოვლენაა. ფრანგულად შეიძლება ასე ვთარგმნოთ: **mariage à Gretna Green**, თუმცა ის ფრანგებისათვის გაუგებარი იქნება დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე. ფრანგული ტერმინი **mariage à l'anglaise**, სიტყვასიტყვით „ქორწინება ინგლისურად“, რომლის დროსაც მეუღლეები შენობის საკუთარ ნახევარში ცხოვრობენ. ამ ტერმინს ინგლისური ეკვივალენტი არა აქვს და საჭირო იქნება მისი ახსნა-განმარტება. დაბოლოს, თავისუფალი ქორწინება-**open marriage-mariage libre**. ინგლისურ ენაში გამოყენებული ზედსართავი **open** ნიშნავს ღიას, ხოლო ფრანგულში მას შეესატყვისება ზედსართავი „თავისუფალი“, რაც ყუ-



რადსაღებია, რომ თარგმნის დროს თავიდან ავიცილოთ ინტერფერენცია.

9. განსხვავებული სინტაგმის მქონე სტრუქტურები. ტერმინები, რომლებიც ინგლისურად ერთი სიტყვით გამოიხატება, ფრანგულში კი ორი ან მეტი სიტყვა გამოიყენება. მაგალითად: კავშირი (ნათესაური) – **the filiation-le lien de filiation**, თუმცა ფრანგულშიც შეიძლება მართო **filiation** გამოვიყენოთ; მეჯვარე – **best man-témoin**; აფიდევიტი – **affidavit-déclaration sur l'honneur**.

10. ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები: საქმრო, საცოლე-**fiancé, fiancée-fiancé, fiancée** მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტური დამთხვევაა ინგლისურსა და ფრანგულში, არა მართო ორთოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ წარმოთქმის თვალსაზრისითაც.

ამგვარად, საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი მახასიათებლების სტრუქტურაში მოქმედებს, ერთი მხრივ, შიდასისტემური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვარვენ როგორც ზოგად, ისე საოჯახო სამართლის ტერმინების სპეციფიკურ თვისებებს. მეორე მხრივ, ამ მახასიათებლების ურთიერთქმედების დინამიკა განპირობებულია ექსტრალინგვისტური დონის მიზეზთა ზემოქმედებით, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის ინსტიტუტისა და ოჯახური ურთიერთობების სოციოკულტურული სიტუაციის განვითარების თავისებურებებით სამივე ქვეყნის საზოგადოებაში. ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინები განისაზღვრება, როგორც მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობების მქონე სიტყვები, რითაც ისინი საერთო ენის სიტყვებისაგან იმით განსხვავდება, რომ პოლისემანტიკურია. სამივე ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში მათი შექმნის დღიდან უამრავი ცვლილება შევიდა, მათ შორის საოჯახო სამართლის თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამის გათვალისწინებით ყველაზე ახალია. ამ ცვლილებებმა თავისი ასახვა პოვა იურიდიული დოკუმენტების ენაში. საზოგადოებრივი აზრის ცვლილება, საოჯახო სამართლის ამა თუ იმ პრობლემისადმი დამოკიდებულებას უცილობლად მოჰყვება ენობრივი ცვლილებები. სამართლის ენის განვითარების კულტურულ-ისტორიული ცვლილებები და იურიდიული ტექსტების დიაქრონული შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის ოჯახური სამართლის ენობრივი ფაქტები, რომლებიც იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას ლინგვისტური და

სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირს გვიჩვენებს. არსებული მდგომარეობა, ჩვენი აზრით, ორი მაგალითის მეშვეობით გავშალეთ. ესენია:

1. ენაში სამართლებრივი ნორმების ასახვის აქსიოლოგიური ასპექტი. სოციალური ნორმები, რომელთა ნაწილიც საოჯახო-სამართლებრივი ნორმებია, პრაგმატისტული განწყობის მსგავსად ფუნქციონირებს. მათ გარეშე ძნელია საზოგადოებრივი ღირებულებების ახსნა და კულტურულ-ისტორიული კონოტაციების სამართლებრივი ნორმების საშუალებებზე ზემოქმედების გააზრება. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ინგლისური ტერმინი უკანონო შვილი – **illegitimate child** და ფრანგული ტერმინი **enfant illégitime**. ქართული სამართალი არ განასხვავებს შვილებს, რაც მკვეთრად გამოარჩევს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლისაგან.

2. სამართლის ენაში საოჯახო ურთიერთობის განვითარების ახსნა. ტერმინი „მამის მზრუნველობა“ მშობლების მზრუნველობით შეიცვალა. ადრე მამას ჰქონდა ბატონობის უფლება, შემდეგ ქმარს. დღეს ორივე მშობელი ვალდებულია ერთნაირად იზრუნოს საკუთარ შვილზე. საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს ოჯახებს, რომლებშიც შვილები ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ და ე.წ. არასრულ ოჯახებს, სადაც ბავშვი მხოლოდ ერთ მათგანთან ცხოვრობს (ჩიკვაშვილი, 2004, 53).

ამ მოვლენების მიმოხილვის შემდეგ საინტერესოა ის ტერმინები, რომლებიც ზემოხსენებულ ცნებებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებს აღნიშნავენ: მამობა – **paternity-paternité**; მშობლის ზრუნვა – **parent care-soin du parent**; მოკრძალებული შიში მშობლის მიმართ – **reverential fear ascending-crainte révérencielle envers un ascendant**; მამობის პრეზუმფცია – **the presumption of paternity-la présomption de paternité**; მშობლის ავტორიტეტის მფლობელი – **the holder of the parental authority-le détenteur de l'autorité parentale**; მეურვე – **trustee, guardian-tuteur (trice), curateur (trice)**; მეურვეობა – **guardianship-curatelle, tutelle**.

სამივე ენაში არსებული ტერმინები ცნებებს ასახელებენ. ამ თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია ნომინაციური ფუნქცია. თუმცა ეს ფუნქცია ახასიათებს საერთო ენის უმეტესს სიტყვას. ამ თვალსაზრისით, ვ. დანილენკო და რ. კობრინი წერენ, რომ უფრო სწორია ვისაუბროთ ტერმინების ერთიან ნომინაცი-

ურ-დეფინიციურ ფუნქციაზე (დანილენკო 1977, 7-8; კობრინი 1969,63). ტერმინის დეფინიციური ფუნქცია გვეხმარება განვასხვავოთ ერთი ობიექტი მეორისაგან, ვინაიდან დეფინიციის დახმარებით განისაზღვრება სამეცნიერო ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ტერმინს, მათ შორის საოჯახო სამართლის ტერმინებსაც, არ გააჩნია საერთო დეფინიცია. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ტერმინ ოჯახის განმარტება.

ტერმინს აქვს სიგნიფიკატიური ფუნქცია. ტერმინის სიგნიფიკატიური ფუნქცია ისაა, რომ მას ცნების გამოხატვის უნარი აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ტერმინს როდი შეუძლია თანაბრად გამოხატოს ცნება. უფრო სწორი იქნება ვისაუბროთ ტერმინის ფუნქციაზე, ვინაიდან ყოველი ტერმინის მიღმა სპეციალური ცნება დგას. თუკი გამოვხატავთ ტერმინის მეცნიერულ ცნებას, მაშინ მან ზუსტად უნდა დაადგინოს მისი საზღვრები. ამით კვლავ ვუბრუნდებით ტერმინის დეფინიციურ ფუნქციას.

ს. გრინევი გვთავაზობს ტერმინის გნოსეოლოგიური ფუნქციის გამოყოფას, რომელიც კომპლექსურ ხასიათს ატარებს. გნოსეოლოგიური ფუნქცია გულისხმობს პირველ რიგში ევრისტიკულ ფუნქციას, ახალი ცოდნის აღმოჩენის ფუნქციას, მეთოდოლოგიურ, დიაგნოსტიკურ ფუნქციას (გრინევი 1993, 18). მოცემული კონკრეტული მაგალითი მიუთითებს, რომ კანონიერი ოჯახური ურთიერთობის გარდა, არსებობს ოჯახური ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის ყალიბდება შიდა ურთიერთობების საფუძველზე, რომელიც სტაბილურობით ხასიათდება და შინაარსით ქორწინების კოპირებას წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი ლექსიკონში მოხვდა, იგულისხმება ინგლისური და ფრანგული ენები, იმაზე მეტყველებს, რომ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში დაშვებულია „ქორწინების“ ასეთი ფორმა. ასეთი სახით საოჯახო სამართალმა ერთგვარი განვითარება პოვა. ამ ტერმინის სისტემატიზებული ფუნქცია ისაა, რომ ის განეკუთვნება საოჯახო სამართლის სფეროს. საუბარია არარეგისტრირებულ ქორწინებაზე. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლები დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ითვალისწინებენ არსებულ მდგომარეობას და არარეგისტრირებულ თანაცხოვრებას სხვადასხვა ტერმინით გადმოსცემენ. მაგალითად: **cohabitation, marital cohabitation, conjugal cohabitation, common-law marriage, non-marital relationship, extra-marital**

**cohabitation, cohabiting union, consensual union-cohabitation, union matrimoniale, régime conjugal, communauté conjugale, concubinage, mariage en détrempe, mariage du côté gauche, union de fait, partenariat non matrimonial, situation familiale extra-conjugale, communauté de vie non maritale, vie commune hors du lien du mariage, un pacte de vie non maritale** – ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. როგორც ვხედავთ, ეს ცნება სინონიმური რიგებითაა გადმოცემული როგორც ინგლისური, ისე ფრანგული სამართალის ენაში. გვაქვს ასევე ინფორმაციული ფუნქცია, რაც ნიშნავს დეფინიციის შინაარსის გადაცემას შედარებით მოკლე ტერმინის მეშვეობით. როდესაც თანაცხოვრებაზე ვსაუბრობთ, ვცდილობთ ინფორმაციის ეს ერთობლიობა სხვადასხვა ზემოხსენებული ტერმინით გადმოვცეთ. ქართულ რეალობაში გვაქვს ტერმინი დაუქორწინებელი წყვილის თანაცხოვრება. ქართული რეალობისათვის ის არც ისე ჩვეული ფორმაა, თუმცა ბოლო დროს უფრო ხშირია ახალგაზრდებს შორის ასეთი კავშირები. ქართულ ენაში ერთი ტერმინის ნაცვლად სიტყვათა მთელი ჯგუფი გამოიყენება.

ქართულ რეალობაშიც არსებობდა ტერმინი „კოჰაბიტაცია“, **cohabitation-cohabitation**, რომელიც თავის დროზე ფრანგებმა ინგლისელებისაგან ისესხეს. ამასთან დაკავშირებით გვინდა მარიან ლედერერის განმარტება მოვიყვანოთ. **Webster**-ის ლექსიკონის მიხედვით, **cohabitation ‘live together as husband and wife’** – ცოლისა და ქმრის ერთად ცხოვრებას ნიშნავს. 1993 წლის მარტს, **BBC**-მ ეს მნიშვნელობა სიტყვასიტყვით თარგმნა და საფრანგეთის პრეზიდენტ მიტერანისა და მისი პრემიერ-მინისტრ ბალადურის მისამართით გამოიყენა: **‘The problem is that power-sharing wich the French call cohabitation since with them everything partakes of the pleasures of the flesh, even in politics’**[...]. ცნობილია, რომ ბრიტანელები ფრანგებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი სასიყვარულო თავგადასავლების მოყვარულები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრანგული ტერმინის **cohabitation** ინგლისური მნიშვნელობით გამოიყენება მეტისმეტი იყო (ლედერერი, 2006, 214-215).

ქართულ ენაში ტერმინი „კოჰაბიტაცია“ მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობით გვხვდება და არანაირი კავშირი არა აქვს ცოლ-ქმრის თუ დაუქორწინებელი წყვილის თანაცხოვრებასთან. ტერმინის აღწერის შესაძლებლობის პრობლემა, რომლითაც ხდება კულტურულოგიური ინფორმაციის აღწერა, ყველასთვის ცნო-

ბილია. პირველად თეზისი ტერმინოლოგიური ლექსიკის ფონური თავისებურებების შესახებ თეორიულად იქნა დასაბუთებული ე. ვერეშჩაგინისა და ვკოსტომაროვის მიერ (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი, 2005, 94-97). მათ შემოგვთავაზეს დებულება იმის შესახებ, რომ კატეგორია „ლექსიკური ცნება“ და „ლექსიკური ფონი“ ეხება არა მარტო საერთო ლექსიკას, არამედ ტერმინებსაც. ტერმინების ანალიზის შედეგად მათ დაადგინეს, რომ ტერმინების დიდი ნაწილი საერთო ენის შემადგენლობაში შედის და ამიტომ საერთო ენის ფარგლებში ისინი ჩვეულებრივი სიტყვებივით იქცევიან (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი 2005,95). მოცემული თეზისის განვითარების მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ იურიდიული ტერმინების ფონური თავისებურებების ანალიზის პრინციპები.

განვიხილოთ ტერმინი „ქორწინება“. ქორწინება შესაბამისად ინგლისურში **marriage**, ხოლო ფრანგულში **mariage**, რომელიც საოჯახო სამართალს ეხება, აღიარებულია კანონისა და ეკლესიის მიერ, გულისხმობს მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობით თანაცხოვრებას, ასევე მასთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფებს ქორწინება (ფაქტობრივი) – **valid marriage-mariage valable**; ქორწინება(უკანონო) – **void marriage-mariage nul**; ქორწინება (იძულებითი) – **forcible marriage-mariage forcé**; ქორწინება (გარიგებით) – **arranged marriage-mariage arrangé**; ქორწინება (ვინმეს ჯიბრით) – **spite marriage-mariage de dépit**; ქორწინება (ანგარებით) – **marriage of convenience-mariage de convenance, mariage de raison**; ქორწინება(თავისუფალი) – **open marriage-mariage libre**; ქორწინების გარეშე თანაცხოვრება – **common-law marriage-concubinage, mariage en détrempe, mariage du côté gauche**.

ამგვარად, სიტყვა „ქორწინება“ სამივე ენის საერთო ლექსიკურ მარაგში მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. აქ არ არის მოცემული მისი ისეთი ნიშნები, რომლებიც იურისტის აზრით მნიშვნელოვანია ქორწინებისათვის (დროებითი დახასიათება, ქორწინების საფუძველი-საქორწინო ხელშეკრულება და ქორწინების ფორმა და პროცედურა). წარმოშობის მიხედვით ტერმინები ლექსიკის ორ ჯგუფში შედიან – ტერმინირებული (საერთო ენიდან ტერმინების შემადგენლობაში გადასულები) და ტერმინოლოგიური წარმოშობის (ტერმინებიდან საერთო ენაში გადასული). ტერმინირებული ლექსიკა, როგორც წესი, არ კარგავს თავის

ცოცხალ შინაგან ფორმას, არც ხატოვნებას, არ წყვეტს ურთიერთობას იმ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებთან, რომლებიც გააჩნია საწყის სიტყვას (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 2005, 96).

ასე მაგალითად, იურიდიული ტერმინი: ნათესაური კავშირი – **filiation- filiation**, ინგლისურსა და ფრანგულში იდენტური სიტყვებია. ფრანგულში არსებობს ასევე **parenté**, ინარჩუნებს საერთო ენის ასოციაციებს მის „ნეიტრალურ გამოყენებასთან“. მაგალითად: **la filiation des sens des mots** – სიტყვათა მნიშვნელობების განვითარება; **la filiation des idées** – იდეების განვითარება; **la filiation des événements** – მოვლენების თანმიმდევრობა; **filiations from a common stock** – ერთი ენის განშტოება; **filiation** – ფილიალი, განყოფილება.

საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამივე ენის იურიდიული ტერმინების სისტემატური შედარება-შეპირისპირებისას თავს იჩენს ლაკუნები, რომლებიც ეკვივალენტების არქონის გამო გვხვდება. ლაკუნები ის სიტყვები და შესიტყვებებია, რომელთა თარგმნაც შეუძლებელია სხვა ენაზე ერთი სიტყვით ან მყარი შესიტყვებით. თარგმანი ხორციელდება თავისუფალი შესიტყვებების მეშვეობით ან ახსნა-განმარტებით. ეთნოფსიქოლინგვისტიკაში გამოყოფენ ლაკუნების შემდეგ ტიპებს (ეთნოფსიქოლინგვისტიკა, 1988, 125):

– ენობრივი (ლექსიკური, სტილისტური და გრამატიკული). ასეთი ლაკუნები შეიძლება იყოს აბსოლუტური და ნაწილობრივი;

– კულტურული (ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ქცევასთან დაკავშირებული ანუ ბეჰავიორული და კინესტეტიური);

– ტექსტური ლაკუნები. ენობრივი ლაკუნებიდან ყველაზე მეტი და მრავალფეროვანი ლექსიკური ლაკუნებია. პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი სიტყვა, რომელსაც შეიძლება სხვა ენაში ისეთივე მოცულობის მნიშვნელობები ჰქონდეს, რაც საწყის ენაში და ასევე სხვა სიტყვებთან ისეთივე კავშირების დამყარების უნარი გააჩნდეს, რაც ერთ ენაში აქვს. ქართული ენისათვის აბსოლუტური ლაკუნებია ისეთი ტერმინები, რომლებიც დამახასიათებელია ინგლისისა და საფრანგეთის ყოფა-ცხოვრებისათვის. მათი გადმოცემა შესაძლებელია თავისუფალი შესიტყვებებით ან

ახსნა-განმარტებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაუგებარი იქნება:

ლეგატარი – **legatary – légataire** – ლეგატის (საანდერძო დანაკისრის) მიმღები;

საანდერძო დანაკისრი (ლეგატი) – **legate-legs**;

ნათესავები დაღმავალი ხაზით – **descending-descendant**;

ნათესავები აღმავალი ხაზით – **enscending-ascendant**;

პატარძლის მეგობრები – **bridesmaid-demoiselle d'honneur**;

სამკვიდრო წილი – **heirdom-héritage, succession**;

შვილება (სრული) – (როდესაც ბავშვი წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას თავის ოჯახთან) – **full adoption-l'adoption plénière**;

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი მახასიათებლების სტრუქტურაში მოქმედებს, ერთი მხრივ, შიდასისტემური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვარვენ, როგორც ზოგად, ისე საოჯახო სამართლის ტერმინების სპეციფიკურ თვისებებს. მეორე მხრივ, ამ მახასიათებლების ურთიერთქმედების დინამიკა, რომელიც განპირობებულია ექსტრალინგვისტური მიზეზების ზემოქმედებით, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ოჯახის ინსტიტუტისა და ოჯახური ურთიერთობების სოციოკულტურული სიტუაციის განვითარების თავისებურებებით სამივე ქვეყნის საზოგადოებაში. თუ გადავხედავთ სამივე ენის საოჯახო სამართლის ტერმინებს, განსაკუთრებულ როლს მათ კვლევაში ინტერკულტურული პერსპექტივის თვალსაზრისით სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების სოციოკულტურული კონტექსტი ასრულებს. სამივე ქვეყნის ფუნქციურმა ანალიზმა გამოავლინა იურიდიულ ტერმინებში ნომინაციურ-დეფინიციური, სიგნიფიკატიური და გნოსეოლოგიური ფუნქციების არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ენაში ტერმინების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით სიტყვების 90%, ეროვნული ენის სიტყვებისაგან შედგება, ხოლო ტერმინების 10% ნაწარმოებია ლათინური ფუძიდან, თუმცა პრაქტიკულად ნებისმიერი ლათინური ფუძის მქონე ტერმინისათვის არსებობს ნაციონალური ეკვივალენტი. იურიდიული ტექსტის ლინგვისტური პრინციპების შემუშავება სამართლის ენაში სოციალური ცვლილებების დინამიკის, სამართლის ენის განვითარების კულტურულ-ისტორიული პერსპექტივების კვლევის და იურიდიული ტექსტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალი-

ზის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ენობრივი ფაქტები, რომლებიც იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას ლინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირზე მიუთითებენ.

### ლიტერატურა

**გრინევი, 1993** – Гринев, С. В., Введение в терминоведение, Москва, Московский лицей, 1993.

**დანილენკო, 1977** – Даниленко, В. П., Русская терминология, Москва, Наука, 1977.

**ეთნოფსიქოლინგვისტიკა, 1988** – Этнопсихоллингвистика, под ред. Ю. А. Сорокина, Москва, Высшая школа, 1988.

**ვერეშაგინი, კოსტომაროვი, 2005** – Верещагин, Е. М., Костомаров, В. Г., Язык и культура. Три лингвострановедческие концепции: лексического фона, рече-поведенческих тактик и сапиентемы, под редакцией и с послесловием академика Ю. С. Степанова, Москва, Индрик, 2005.

**კობრინი, 1969** – Кобрин, Р. Ю., Опыт лингвистического анализа терминологии: Автореф. дис. канд. филолог, наук, Горький, Горьковский гос. ун-т., 1969.

**ლედერერი, 2006** – Lederer, M. La traduction aujourd'hui, le modèle interprétatif, nouvelle édition, Caen, lettres modernes minard, 2006.

**საოჯახო სამართალი, 2008** – Family Law, Terms and Definitions. (2008). second edition, <http://publiclegalinfo.com/wp-content/uploads/2012/03/Family-Law-Terms-and-Definitions-second-edition.pdf>.

**ჩიკვაშვილი, 2004** – ჩიკვაშვილი, შ. საოჯახო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2004.

**ჯაში, ჯაში 2003** – ჯაში მ., ჯაში ქ., თარგმნის ტექნიკა, თბილისი, ლინგვა პლუსი, 2003.



**Reflection of the Dynamics of Social Changes in  
the Language of Family Law**

Summary

The paper examines cross-culturally the ways social changes impact term building patterns in the language of Family law. The empirical data embrace samples from English (BrE) French and Georgian languages and cultures. As is known, similar to other fields, any social change finds its reflection in the language of law; some new lexical units are coined becoming a part of legal language, while some others remain within the stock of common core lexis. Two main factors determining the peculiarities of term building patterns have been singled out: intrasystemic/intralinguistic and extralinguistic. The paper discusses structural, semantic and pragmatic peculiarities of family law terms across the three languages and cultures attempting to state commonalities and reveal differences between them.

მარინე ჭაცარავა

პოლიკარამ ჯაჯანიძის დიალექტოლოგიური შრომები  
და დიალექტოლოგიის ძირითადი პრობლემები

პროფ. პ. ჯაჯანიძის ღვაწლი ქართული დიალექტოლოგიის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში მეტად თვალსაჩინოა. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ენათმეცნიერების ამ დარგს. კერძოდ, მოგვცა გურულისა და აჭარულის თავისებურებათა ღრმა მეცნიერული ანალიზი ისტორიულ-შედარებითი მეთოდების მომარჯვებით.

პ. ჯაჯანიძეს მიაჩნდა, რომ ქართული ენის შესასწავლად გადაუდებელი ამოცანა იყო დიალექტოლოგიური მასალების შეგროვება, მეცნიერული სისტემატიზაცია.

მეცნიერი გულდასმით იკვლევდა ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკას, დიალექტებს და ტოპონიმიკურ ერთეულებს, ძველ ქართულ ხელნაწერებს.

მან 1952 წელს ა. შანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ზმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი ადთქმის წიგნის ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით“. მკვლევარმა 1959 წელს გამოაქვეყნა „პირველი თარიღიანი (864 წ) ხელნაწერის „სინური მრავალთავის“ სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა საძიებელი-სიმფონია ლექსიკონი“. მასვე ეკუთვნის აგრეთვე „მოციქულთა საქმის სიმფონია ლექსიკონი“, „ძველი ქართულისა და სვანურის საერთო ძირითადი ლექსიკური ფონდის მასალები“, „სასვენი ნიშნები რამდენიმე გელათური ხელნაწერის მიხედვით“, „ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთების ენა“, „გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის „ოქროს წყაროს ახალი ნუსხა და მისი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური და გრამატიკულ-ლექსიკური მიმოხილვა“, ამ ნაშრომთა ნაწილი, სამწუხაროდ, გამოუქვეყნებულა. მას ბევრი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული და არ დასცალდა მოულოდნელი გარდაცვალების გამო, ეს მოხდა 1977 წლის I სექტემბერს.

მეტად თვალსაჩინოა პ. ჯაჯანიძის ღვაწლი ქართული დიალექტოლოგიის შესწავლის საქმეში. მან რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ქართველოლოგიის ამ დარგს. მეცნიერმა ჯერ კიდევ სტუდენტობის

პერიოდში ჩაიწერა ტექსტები ვახანურას ხეობაში და 1942 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი“, ხოლო 1949 წელს გამოაქვეყნდა „მასალები იმერული ლექსიკონისათვის“.

შემდგომში პ. ჯაჯანიძე დაინტერესდა ისეთი მნიშვნელოვანი დიალექტით, როგორც გურულია. მან დაგვიტოვა გურული ტექსტები ხელნაწერის სახით (საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი) 360 გვ. როგორც წინასიტყვაობაში წერს, „ეს ტექსტები ფოლკლორული თვალსაზრისითაც არ არის ინტერესმოკლებული. აქ არის 229 გვ. საუბრების ჩანაწერი, ზღაპრები 229-313 გვ. ლექსები 313-352 გვ. ასევე შეწირულების საბუთი 353-355“.

ამ ტექსტების ანალიზის შედეგად 1955 წელს მკვლევარმა გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი „ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში“, „გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები“ 1956 წელს. „მასალები გურული ლექსიკონისათვის“ – 1957 წელს, „ნაწევარი გურულსა და ქვემოაჭარულში“ 1958 წელს.

ქართული ენის დიალექტების მკვლევართათვის ინტერესმოკლებული არ შეიძლება იყოს მეცნიერის მიერ ჩაწერილი „აჭარული დიალექტის ტექსტები“. ეს არის 350 გვერდიანი (საბეჭდ მანქანაზე) შესრულებული ნაშრომი. ტექსტები წარმოდგენილია ზუსტად იმ სახით, როგორც მთქმელისაგან მოისმინა ავტორმა. ეს არის ზღაპრები, ლექსები, შეწირულების საბუთი, ტექსტების ნაწილი მეტად საყურადღებოა ფოლკლორული თვალსაზრისითაც.

დიდ ყურადღებას იმსახურებს სტატია „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც გამოქვეყნდა 1960 წელს. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია „აჭარულის ლექსიკონის მასალები“, რომელიც 1961 წელს გამოქვეყნდა. 1968 წელს დაიბეჭდა ფართო მნიშვნელობის სტატია „გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები“.

მკვლევარის ნიჭისა და შრომის შედეგი გამოჩნდა პ. ჯაჯანიძის ფუნდამენტალურ ნაშრომში „გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში“. ეს მონოგრაფია დისერტაციად მომზადდა. მეცნიერმა საპაექროდ წარადგინა ეს ნაშრომი 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. დისერტანტს ერთხმად მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ეს არის თვალსაჩინო გამოკვლევა, მოიცავს 670 გვერდს. როგორც ავტორი აღნიშნავს, „გურული და აჭარული დიალექტის ახლო ურთიერთობამ (გურიაში 3 აჭარული სოფელია, ხოლო აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გურულებია) იმთავითვე აუცილებელი გახადა აჭარული დიალექტის შესწავლა. გურული და აჭარული დიალექტური მოვლენების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, საერთო მონაცემებისა და ურთიერთგავლენის შედეგების გამოკვლევა. მეორე მხრივ, ნაშრომში მოცემულია ცდა გურულში მეგრულ-ჭანური ენობრივი ნორმების დანაშთის გამოვლენისა“.

ავტორმა მონოგრაფიაში მთელი სისრულით წარმოაჩინა გურული კილოს ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურება და გაანალიზა ისინი აჭარული დიალექტის შესატყვის თუ განსხვავებულ თავისებურებებთან მიმართებაში.

ავტორი ადგენს, რომ ზმნისწინის ხმოვანთა ასიმილაცია უფრო შეზღუდულია აჭარულში, ვიდრე გურულში.

თანხმოვანთა დისიმილაცია კი საერთოა გურულისა და აჭარულისათვის. ბგერათა სხვა კომბინატორული მოვლენები – მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩამატება და სხვა გურულსა და აჭარულში ქართული ენის დიალექტთან საგანგებოდ განსხვავებულს არაფერს გვიჩვენებს.

პ. ჯაჯანიძის გამოკვლევაში გამახვილებულია ყურადღება ორმაგი მრავლობითის ფორმებზე გურულსა და აჭარულში. აღნიშნულია, რომ ორივე დიალექტში ამ მხრივ მსგავსებაა. თუმცა ორმაგი მრავლობითი გურულში ისევე არ წარმოადგენს ამ დიალექტის გრამატიკული წყობის ორგანულ ნაწილს, როგორც ძველ ქართულში არაა იგი გრამატიკული წყობის სისტემური ელემენტი.

პ. ჯაჯანიძე ენათმეცნიერულ-დიალექტოლოგიური კვლევის დროს ყოველთვის განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩეოდა. მან გურულისა და აჭარულის ნაცვალსახელთა ფორმების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ორივე დიალექტში მცირეოდენი ვარიაციით მათთვის საერთოა **აგი, ეგ(ი)**. მრავლობითიც ამათგან არის ნაწარმოები.

მონოგრაფიაში სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე ნათლად არის ნაჩვენები, რომ თანდებულთა სახეებსა და გამოყენებაში არსებითი განსხვავება არ შეინიშნება გურულსა და აჭარულ დიალექტებში. თუმცა აჭარულში **-ზე** გამოყენებულია **-შე** თანდებულის ფუნქციით (ფურნეზე მუშაობს). გურულში კი მსგავსი ფორმები

იშვიათია. აჭარულში **-ზე** და **-ში** თანდებულები შეიძლება დაერთოს ადგილის ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებს (აქზე – აგზე), აქში, მაგზე – მაგდე).

ორივე დიალექტის სათანადო მასალის ღრმა ანალიზის შედეგად პ. ჯაჯანიძე მონოგრაფიაში ნათლად გვიჩვენებს, რომ გურულის ნაწილაკები **ა**, ბარდამ კახამ (კინალამ), მითამ. ნეტაი, ხომე, ხოდა მეტნაკლებად ოდნავ ფონეტიკური ვარიაციით აჭარულშიც გვხვდება, მაგრამ აჭარულში ისეთი ნაწილაკებიც დაიძებნება, რომლებიც გურულისათვის უცხოა. ასეთებია: ჰაგრე, ღარმი (გურული კახამ).

მონოგრაფიაში კარგად არის ნაჩვენები სიტყვაწარმოების ბევრი საინტერესო ფორმა გურულ და აჭარულ დიალექტებში. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია, რომ გურულისათვის დამახასიათებელი ზოგი სუფიქსი აჭარულში არ გვხვდება. მაგალითად, გათხოვილ ქალთა წარმომავლობითი გვარების წარმოება **-ფხე** სუფიქსით ხდება. ქალთა გვარების ამგვარი წარმოება აჭარულს არ აქვს, თუმცა, როგორც პ. ჯაჯანიძე აღნიშნავს, მისი ნაშთი დღესაც შენახულია ცხმორისში ჩაწერილ ერთ თქმულებაში.

მკვლევარი ასევე შეეხო ზმნისწინთა მსგავსება-განსხვავებას გურულსა და აჭარულში. კერძოდ, ზმნისწინთა შენაცვლებას. მაგალითად, შე-ს ნაცვლად წა-ს გამოიყენება (წადის). შე-ს ნაცვლად შა-ს ხმარება. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი დიდი ხანია დაიწყო.

პროფ. პ. ჯაჯანიძემ გურულის აჭარულთან მიმართებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს დიალექტები განსაკუთრებით შესამჩნევად შორდებიან ერთმანეთს **-ავ** და **-ამ** სუფიქსიან ზმნათა წარმოების მხრივ. გურული მტკიცედ იცავს ვ-იდ, მ-ი-დ წარმოებას, აჭარული ევ-დ, ემ-დ წარმოებას. ორივეს ამავე ხაზზე მდებარე ქვემოთმერიული უპირისპირდება თავისი -ავ-დ, -ამ-დ ფორმებით. მკვლევარი საგულისხმოდ დასკვნას გვაწვდის: „ცხადია, უძველესი ვითარება აქვს შემონახული გურულსა და აჭარულს. ძველ სალიტერატურო ქართულში ასახვას პოულობს ერთიც და მეორეც“ (გვ. 640).

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, გურულსა და აჭარულს (უფრო მეტად) გადმონაშთის სახით დაუცავს ძველი ქართულის წყვეტილის ხოლმეობითი: შეჭამის, თოვლმა მოტეხის.

ბ-ნი პოლიკარპე ასევე შეეხო ქვემდებარის ბრუნებას გურულსა და აჭარულში. იგი აღნიშნავს, რომ ადამიანის სახელი ქვემდებარედ სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახითაა, ბრუნვისინიშ-

ნიან ფორმათა პარალელურად იხმარება და ფუნქციითაც მათ ეტო-  
ლება. აღსანიშნავია, რომ ქვემდებარე II სერიის ფორმებთან შეიძ-  
ლება მოთხრობით ბრუნვაში იყოს. მნიშვნელობა არ აქვს ზმნის  
გვარსა და გარდამავლობას. დანერგილია მეგრულის ვითარება. ასე-  
ვე გურიაში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში III პირის ნაცვალსა-  
ხელი ქვემდებარედ ზოგჯერ მოთხრობით ბრუნვაშია ყველა გვარის  
ზმნასთან I და III სერიაშიც.

ჭოროხის ხეობის აჭარულში ერგატიული კონსტრუქციაა ყვე-  
ლა სერიაში ზმნის გვარის მიუხედავად. ეს კი ჭანურის ძლიერი გა-  
ვლენა უნდა იყოს – ასკვნის პროფ. პ. ჯაჯანიძე.

მონოგრაფიაში მკვლევარმა სწორი ენათმეცნიერული ანალი-  
ზის შედეგად დაასკვნა, „...გურული და აჭარული მეტყველების ყო-  
ველმხრივი ანალიზი ადასტურებს მოსაზრებას, რომ გურიისა და  
აჭარის ოდინდელი მკვიდრნი სამხრეთ იბერები არიან.

ამაზე მიუთითებს დასახელებულ კილოებში აღმოსავლური  
დიალექტების ფენის არსებობა. თუმცა ამ ფენის ელემენტები სხვა  
დიალექტური და ენობრივი გარემოს პირობებში, მნიშვნელოვნად  
გაფერმკრთალებული, ენობრივი სამყაროს დიდ სიღრმეში არის მო-  
ქცეული. ზანური ენისა და დასავლური კილოების ელემენტები შე-  
დარებით თავისი სიახლით უფრო ხელშესახები ჩანს.

ამგვარად, გურული და აჭარული წარმოდგენენ აღმოსავლუ-  
რი და დასავლური დიალექტებისა და ზანურის შენაზავს“.

ამგვარად, პროფ. პ. ჯაჯანიძემ ქართულ დიალექტოლოგიას  
შესძინა მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი. მათში დასმულსა და  
გადაწყვეტილ საკითხებს აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული  
მნიშვნელობა.

დიალექტოლოგია ქართველოლოგიის იმ სფეროთაგანია, რო-  
მელშიც თავისი ნიჭისა და შრომის კვალი დატოვა პ. ჯაჯანიძემ. სა-  
მწუხაროდ, ნაშრომთა უმრავლესობა არ არის ხელმისაწვდომი.  
ვფიქრობთ, რომ მათი გამოქვეყნება დიდ სამსახურს გაუწევს ქარ-  
თველური ენების სტრუქტურის საკითხებზე, განსაკუთრებით კი  
დიალექტოლოგიურ უბანზე მომუშავე მეცნიერთ.

## დამოწმებული ლიტერატურა

**პ. ჯაჯანიძე, 1970** – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში, სადოქტორო დისერტაცია, 1970.

**პ. ჯაჯანიძე 1965** პ. ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის ლექსიკონი, 1965.

**პ. ჯაჯანიძე, 1977** – პ. ჯაჯანიძე გურული დიალექტი I (ტექსტები, ლექსიკონის მასალები) თბ. 1977.

**ფეიქრიშვილი, 2017** – ჟ. ფეიქრიშვილი, პოლიკარპე ჯაჯანიძის გახსენება, გაზ. „აკ. წერეთლის ს ახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2017.

MARINE KATSARAVA

### **P. Jajanidze’s Dialectological Works and the Basic Issues of Dialectology**

#### Summary

The paper discusses P. Jajanidze’s contribution to the development of Georgian dialectology. Being the author of over 60 works, the fields of the scholar’s interest were versatile (historical linguistics, historical lexicography), however, unfortunately, many of his works have remained unpublished.

P. Jajanidze’s works on Georgian dialectology is of particular relevance. The paper focuses on his fundamental research comparing the Gurian and Acharan dialects of Georgian; on the basis of the in-depth analysis of the given dialects P. Jajanidze concludes that Gurian and Acharan dialects are the synthesis of West and East Georgian dialects and that of Zan (one of the Kartvelian languages).

ნატო ზამრეზიანი

სიტყვათა გამეორებისათვის ჩოლურულ  
მეტყველებაში

ცნობილია, რომ სიტყვათა გამეორება (როგორც ერთ-ერთი ლექსიკური აქტუალიზატორი), რომელიც რაიმე მოვლენის გააქტიურებას, საკითხის ან პრობლემის წინ წამოწევას ემსახურება, დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მათ შორის სვანურისთვისაც.

აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად შესწავლილია როგორც ქართულში (შ. აფრიდონიძე, ალ. ლლონტი...), ისე მეგრულში (მ. ლომია), რასაც ვერ ვიტყვით სვანურზე, რადგან სვანურის დიალექტები ამ კონკრეტული საკითხის მიხედვით არ ყოფილა დღემდე კვლევის ობიექტი.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ჩოლურულ მეტყველებაზე, რომელშიც ჰიპოტაქსურ წინადადებებში არცთუ იშვიათად დასტურდება ხსენებული სინტაქსური მოვლენა, რაც თვალშისაცემი გახდა საველე პირობებში მოპოვებული მასალების საფუძველზე. სიტყვათა გამეორება ძირითადად დამახასიათებელია გაბმული (ზეპირი) მეტყველებისათვის, როდესაც მთქმელი საუბრისას ცდილობს გამეორების მეშვეობით შთაბეჭდილების მოხდენას, სათქმელის ხაზგასმას და უკეთ წარმოჩენას. მეორდება ზმნა-შემასმენელი შემდეგ ილუსტრაციებში:

ქა ლეჟა **ღემკანგრუნელი** ეჯი, **ერ ღემკანგრუნელი**, ერქა ოხდა ტოტ ეჯს'ე, მესგყდარს... (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბ. ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 67 წლისა) „ზემოთ გადაიქცეოდა ხოლმე ის, რომ იქცეოდა თურმე, მაშინ წაუვლია ხელი იმას, ე, საყდრელს...“

სგ'რჩადდ ლეთიშთე, **ქ'ნდსკინე** ერქა აჯაღ, **ქ'ე ადსკინე**, ერქა ახფიშტუ აჯაღ ამნემ, ხაჯიდ ი ჩუადკუპრ ხოშა დელლექუა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვ. შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 56 წლისა) „შევედით ბარდებში, გადახტა მაშინ ისევ, რომ გადახტა, მაშინ ისევ ესროლა ამან, მოარტყა და ჩააგდო დიდ ლელეში“



ჯიცრლს ჩუ დერ ოთნაჩდრლდ მარწუნენს, ეჯი **ჟი ტებენ**, **ჟერ ტებენ**, აჯად ჩუ ხუაგნად ი ქა ხეფსრლ ძირ, კუტეცნა ძირ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვ. ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 72 წლისა) „ცომს ხომ შევურევდით მაწონს, ის ამოვიდოდა, რომ ამოვიდოდა, კიდევ დავაყენებდით და გამოდიოდა ძირი, ხორბლის ძირი“...

ზმნის გამეორებას სისტემური ხასიათი აქვს და უმეტესწილად ზღაპრებში გვხვდება, რომლებშიც მთქმელი გამეორებას მეტი ექსპრესიულობისათვის მიმართავს, „ამგვარი თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით თხრობა დამახასიათებელია ქართული ზღაპრისთვისაც“ (ლომია 2005: 178). მაგ.:

ჟენცტუ ალე ი **ქწაად** ბეწტი ჭუტეკქა.**ქერაჩად**, დაჭ გუდ აჯად მანენას ი ლიწგრხანიელ ენბინე, მარე ხუთკუნჭულად ხეჭტე, ერე: „სერ ქა მეჩდე ლოქ ხტი ბეწტი ჭუტეკქა...“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბ. ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 67 წლისა) „მოიკიდა ეს [ზურგზე] და გავიდა ბეწვის ხიდზე, რომ გავიდა, დევი რადაცას მიხვდა და წრიალი დაიწყო, მაგრამ ხუთკუნჭულამ უთხრა, რომ: „უკვე გასული ვარო ბეწვის ხიდზე...“

ლმარდელი კომბლე ი ღოლდაქარ ქოთრეკლა ცხეკთე ი ერ ანტახხ ალე ღოლდაქარ, ეშხუ ქა ხეკლონ ი **აჩად** კომბლე ლათხელთე. **ერ აჩად**, სგა ლახხტირდა მალ...(მივლინ. მასალ., მთქმელი: ბ. რატინი, სოფ. ლეუშერი, 6 წლისა) „ყოფილა კომბლე და ცხვრები გაურეკავს ტყეში და რომ დაბრუნდნენ ეს ცხვრები, ერთი აკლდა და წავიდა კომბლე სამებნელად. რომ წავიდა, შეხვდა მელია“...

ხშირია შემთხვევები, როცა ერთმანეთის მიყოლებით მეორდება ზმნები (ასეთ შემთხვევაში შეიძლება წინამავალი მთავარი წინადადება მომდევნო წინადადებაში დამოკიდებულად მოგვევლინოს):

ქოთრგანდახ, **ესღრიხ**. [ერ] **ესღრიხ**, [ეჩქა] **ანჯადხ** სემი ლაყტილ შუკუტს. სემი ლაყტილ შუკუტს **ერ ანჯადხ**, ეჩქა ჟი ხაძრა ამეჩუნენ... (მივლინ. მასალ., მთქმელი: მ. ფერცულიანი, სოფ. ლეუშერი, 8 წლისა) „გაუდგნენ გზას, მიდიან. [რომ] მიდიან, [მაშინ] მოვიდნენ სამ გასაყარ გზასთან. სამ გასაყარ გზასთან რომ მოვიდნენ, მაშინ აწერია აქ...“

ქა ხუაკუნანად, ერე კუტეცნეჟი მრდ ემშყედელას ი **ხუაკულაჭდად** ეჯჟინენ. **ქერ ოხკალტინდ** ეჯის ეჩანდონენ **ჟი ხუახურიელდად**. **ქერ ოხხურიელნად**, ეჩანდონენ ნებუზა მეჯართე

ალე ერ ენკარლ, ა, ბიქუ, ბიქუსა ქა ხუაბზბდად (მივლინ. მასალ., მთქმელი: თ. ჩეგიანი, სოფ. უკლეში, 77 წლისა) „გადავაგდებდით, რომ ხორბალზე არ დავარდნილიყო და ისე ვლექავდით. რომ გავლექავდით იმას, მერე შევავროვებდით. რომ შევავროვებდით, მერე სადამო ხანს ეს რომ ამოვარდებოდა („ადიმართებოდა“), აი, ქარი, ქარში გავანიავებდით ხოლმე“...

მეორდება ზმნა და სახელი. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ნაცვალ-სახელითაა ჩანაცვლებული:

ათხე მ'ნ სი ერ ლარიდ, ამჩუ **ბითქ ენკიდ** ამნემდ ა **დაშტუდ. ამნემდ ერ ბითქ ენკიდ**, ეჩქა მი ქ'ოსხილწანიელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გ. ბაბლუანი, სოფ. ტვიბი, 69 წლისა) „ახლა მე და შენ რომ ვართ („ვიმყოფებით“), აი, აქ დახტა ეს („**ბათქ**-ან-ი აილო ამან“), აი, დათვი („დათვმა“). ეს რომ დახტა, მაშინ მე მკლავები ავიკაპიწე“

ერ ემვედხ აგითე, **ალქეიმკედ მგრამხენ**, ა, **ციცტ. ალე ციცტ ერ ემვედელი**: „მაღ ლოქ ლი ალე?...“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ც. კვასტიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „რომ მოსულან სახლში, ესეც მოსულა საიდანაც, აი, კატა. ეს კატა რომ მოსულა: „რა არისო ეს?“...“

ჩოლურულში გამეორებულ ზმნას კავშირთაგან მაქვემდებარებელი კავშირი **ერე** „რომ“ახლავს, რაც დამახასიათებელია მეგრულიისთვისაც: „მეგრულში წინამავალი წინადადების ზმნა ან სახელი მეორდება მომდევნო წინადადებაში -**ნი** (=რომ) კავშირთან ერთად“ (ლომია 2005: 175). იშვიათად კი შეიძლება ერთდროულად ორი კავშირის თანხლებით დადასტურდეს:

ეჯის ქ'ოთბაღუა ი **ემჩედ. სგ'ერ ემჩედელი** ალე ლარათე, ემჩუ ალთენელი ძღედ ქორ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბ. ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 67 წლისა), იმას გაუბედავს და წასულა. რომ შესულა ამ მინდორში, იქ გამოჩნდა თურმე („გამოჩენილა“) დიდი სახლი“

ეთფიშტუნე ისარ ი **ქ'ანშგდახ** ქუეყანა დაწარ. **ქ'ერ ანშგდახ**, ხაყუფეხ ალე ისარს, ხაყუფეხ, ხაყუფეხ, ჟი დემ ახყუფეხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბ. ხვისტანი, სოფ. ლეუშერი, 67 წლისა) „ისროლა ისარი და გამოცვივდნენ უამრავი („ქვეყანა“) დევები. რომ გამოცვივდნენ, ამრობენ ამ ისარს, ამრობენ, ამრობენ, ვერ ამოაძვრეს“

ბაბლუნანარ ეჯჟი **ოხკრდახ** ჟი ეჩე, **ერე. ეროხკრდახ**, დაწრ ახსედახ ქა კანდლა ი ლოშკინპილს ჩ'უემსედ ემხუ ზურნალ, ლუჭირლე (მივლინ. მასალ., მთქმელი: თ. ბაბლუანი, სოფ. უკლეში, 77 წლისა) „ბაბლუნები ისე ამოუწყვეტიათ იქ, რომ ამოუწყვეტიათ, არავინ და-

რჩენილან საერთოდ და ბოლოს დარჩენილა ერთი ქალი, გათხოვილი“...

არცთუ იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა კავშირი გამოტოვებულია, თუმცა ივარაუდება კონტექსტით (აგრეთვე სვანურისთვის დამახასიათებელი ინტონაციით) და ადვილად აღდგება:

ხოჩა ლიმზგრანლ აჯად ეჩეჩული, ლეკალწიობს **ხატწლიხ**. ლეკალწიობს [ერ] **ხატწლიხ**, ეჩეჩუნენ ქამ ლი... (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვ. ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 72 წლისა) „კარგი ლოცვა კიდევ იქ არის, ლეკალწიობას ეძახიან. ლეკალწიობას რომ ეძახიან, იქ გარეთ არის“

ეშჩუნენ ხოჩა სიტყუას **ქა ლექუნა** ხოჩა სიტყუან მწრე, **ქა[ერ] (ქერ) ლექუნა** ეჩა ადამიანობს}, [ეჩქა] ჩოსფანნახ... (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვ. ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 72 წლისა) „იქ კარგ სიტყვას იტყოდა კარგი სიტყვის კაცი, [რომ] ისაუბრებდა იმის კარგ ადამიანობაზე, [მაშინ] სუფრას წაუდგამდნენ ხოლმე“...

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სხვა დიალექტებში. შესაბამისად, სამომავლოდ იგეგმება დანარჩენი დიალექტების შესწავლაც, თუმცა, ვფიქრობთ, აქამდე არსებული გამოცემული ტექსტები სრულყოფილ სურათს ვერ მოგვცემს (ვინაიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ხსენებული ბეჭდური მასალა საკმაოდ არის ჩასწორებული და გაბმული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები მათში არ ჩანს) და შესაძარებლად ახალი ჩაწერილი ზეპირმეტყველების ნიმუშები იქნება გამოყენებული.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ჩოლურულ მეტყველებაში სიტყვათა გამეორებას მთქმელები ხშირად მიმართავენ არამარტო ზღაპრის მოყოლისას, არამედ ჩვეულებრივი ამბის გადმოცემის დროსაც, რასაც გარკვეულწილად ამბის ხატოვანი თხრობა ახლავს და მეტ ემოციურობას სძენს სათქმელს.

## **ლიტერატურა**

**ლომია** 2005 – მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, გამომც. უნივერსალი, თბილისი, 2005.

**NATO SHAVRESHIANI**

### **Towards the Repetition of Words in Cholan Speech**

#### Summary

Word repetition, as one of the lexical activators creating peculiar hypotactic constructions is typical of the Kartvelian languages, Svan among them. The paper examines some samples of the given linguistic means on the material of the Cholan dialect of Svan.

ენო ციხიშვილი

ბარდაშვალ ზმნათა წყვეტილის მესამე სუბიექტური  
პირის მრავლობითი რიცხვის ფორმათა  
წარმოება საშუალ ქართულში

ძველ ქართულში წყვეტილში მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში **-ა** და **-ო**, იშვიათად კი **-ნ** და **-დ** ბოლოსართები გამოხატავდა, თანამედროვე ენას მხოლოდ **-ა** და **-ო** სუფიქსები შემორჩა; ძველ სამწერლობო ენას მრ. რიცხვში აღნიშნული პირის გადმოსაცემად **-ეს** და იშვიათად **-ედ** ბოლოსართი ჰქონდა. **-ეს** სუფიქსი დაერთვოდა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს (შანიძე 1976). მოგვიანებით **-ეს** ბოლოსართი მხოლოდ მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს(ზმნებს, რომელთაც ბრუნვაცვალებადი სუბიექტი აქვთ) შემორჩა, სხვა ზმნებთან ამ უკანასკნელს **-ენ** აფიქსი ჩაენაცვლა, რომელიც საბოლოოდ **-ნენ** ბოლოსართმა შეცვალა (შანიძე 1980). დღეს აღნიშნულ ფორმებში ნორმად **-ნენ** სუფიქსის დართვა ითვლება. **-ეს**-ის **-ენ** სუფიქსით ჩანაცვლება ჯერ კიდევ საშუალ ქართულში დაიწყო. საშუალ ქართულშივე მოხდა მისი **-ნენ** ნიშნით შეცვლა (ნიკოლაიშვილი 1978). ამის ფაქტები მრავლად მოიპოვება საშუალი ქართულის ძეგლებში.

საშუალი ქართულის ენობრივი მასლის ანალიზისას ყურადღებას ამჯერად მხოლოდ გარდაუვალ ზმნათა მრ. რიცხვის ფორმების წარმოებაზე შევაჩერებთ, სადაც ერთმანეთს **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსები ენაცვლება. საშუალი ქართული ენის ის პერიოდია, რომელშიც სამივე ბოლოსართი თანაარსებობს. აღნიშნულ სუფიქსთა განაწილებაში არაერთგვაროვანი სურათია, თუმცა ზოგჯერ ხერხდება კონკრეტულ ავტორთან ვითარების ქრონოლოგიური თუ ჟანრობრივი მოტივაცია. საშუალი ქართულის ადრეული საფეხურის ძეგლებში **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები თითქმის არ გვხვდება. „ვეფხისტყაოსანში“ გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად მხოლოდ **-ეს** ბოლოსართია. „ამირანდარეჯანიაში“ რამდენიმე **-ენ** და **-ნენ** ნიშ-

ნიანი ფორმა მარტოდენ გვიანდელ დანართშია. მაგალითად, ერთ წინადადებაში ორივე ფორმა დასტურდება:

რა ლახტების ცემით **დაიდალნენ**, ლახტები წელში ჩაიპყრეს და ჯელდაჯელ ერთმანერთსა ზედა **შესცვიდენ** (ამ., 737, 1). „ვისრამინაში“ კი ორიოდე **-ენ** სუფიქსიანი ზმნაა, არ ჩანს **-ნენ** ბოლოსართი:

სიყუარულისა უარაკოისა შედეგად უარაკოსავე საერთმა-ნერთოსა უწყალო გამწირაობასა **მიჰზუდენ** (ვის., 267, 7).

ვერ დავადასტურეთ **-ენ** და **-ნენ** ნიშნები XII-XIII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებსა და ლაპიდარულ წარწერებში და არც აბუსერიძე-ტბელის 1233 წლით დათარიღებულ თხზულებაში გვხვდება. აქ ყველგან მხოლოდ **-ეს** სუფიქსი გვხვდება. შეიძლება თავად ძეგლთა მოცულობითაც აგვეხსნა მათში ახალ მაწარმოებელთა უქონლობა, მაგრამ ეპოქისა და ძეგლთა შინაარსის გათვალისწინება ვითარებას თვალნათელს ხდის. მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ იცვლება როგორც ამავე პერიოდის, ისე მომდევნო საუკუნეთა სამართლის ძეგლებსა და ისტორიულ თხზულებებში. აქაც **-ეს** სუფიქსის უეჭველი უპირატესობა აშკარავდება.

ძველი ვითარებაა შენარჩუნებული ისტორიულ თხზულებათა კრებულშიც „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრების“ ენა ჯერ კიდევ ძველი ქართულია. იგი მხოლოდ იწყებს საშუალო ქართულის ნიშნების ათვისებას“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 046). **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები დიდ იმპიათობას წარმოადგენს ე. წ. ძველი ციკლის საისტორიო თხზულებათა კრებულში. თითო-თითო ფორმა ჯუანშერის ისტორიის დანართ ნაწილში ვნახეთ, სახელდობრ, ორივე ზმნა XVIII საუკუნის ნუსხაშია, სადაც იოანე ზედაზნელის წმინდა მოწაფეზე, შიო მღვიმელზე მოგვითხრობს ჩანართის ავტორი. თვით ძირითად ტექსტში კი მხოლოდ **-ეს** სუფიქსია ყველგან:

და ყოველსა გარემოს სოფლებსა **მოვიდენ** სხუანი ურიცხუნი სულნი მონაზონებად (ქ. ცხ., I, 211, 12),

**-ნენ** სუფიქსიანი ზმნაც ამავე ეპიზოდშია:

და მწყემსად **იდგნენ** მგელნი ვირთა (ქ. ცხ., I, 211, 13).

ერთი **-ენ** სუფიქსიანი ზმნა ლაშა გიორგის-დროინდელ მემატიანესთან ანასეულ ნუსხაშიც მოვიძიეთ:

ესდენად სიმორესა შინა **მივიდენ**, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა (ქ. ცხ., I, 369, 12).

ძველი ციკლის თხზულებათაგან ბასილი ეზოსმოდვრის ისტორიაშიც გვხვდება ერთი **-ენ** ბოლოსართიანი ზმნა:

ფიცხლად **დამორჩილდენ** შიშითა და სიყუარულითა მისითა (ქ. ცხ., II, 369, 12).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები XV-XVIII საუკუნეებშია გადაწერილი, თუმცა, პირველწყაროები გაცილებით ადრინდელ საუკუნეებს ეკუთვნის და, შესაბამისად, ახალი **-ენ/-ნენ** აფიქსებიც არ ჩანს. ხელნაწერთა ავტორები მაქსიმალური სიზუსტით ცდილობენ დედნისეულ ფორმათა შენარჩუნებას. გადამწერთა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ახალი ფორმები მაინც აღწევნ აღნიშნულ ძეგლთა ენაში.

ე.წ. ახალი ციკლის ისტორიათა კრებულში შემავალ თხზულებათა შორის ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ერთადერთი, სადაც **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები ძველ **-ეს** ბოლოსართიან ზმნებს – უმნიშვნელოდ, **-ენ** ბოლოსართიანებს კი 2-ჯერ აღმატებთან:

და ძლიერად **შეიზნენ** მუნ აღათანგი ხერხეულიძე და კახი ასლანიშვილი დავით და ორნივე **დაიკოცნენ** მუნ (ქ. ცხ., II, 408, 27);

და რომელნიმე კახნი **აიყარნენ** და **გაპყვნენ** ცოლშვილიანად თეიმურაზს (ქ. ცხ., II, 400, 29);

**წარმოემართნეს** და **მოვიდეს** ხუნანს და **დაიბანაკეს** მუნ ხუნანს, რომელ არს გატეხილი-ჭიდი (ქ. ცხ., II, 417, 4-5);

**შერიგდენ** დადიანი და გურიელი (ქ. ცხ., II, 361, 24).

როგორც „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარნი მიიჩნევენ, ბერი ეგნატაშვილის სახელით ცნობილი ისტორია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ არის დამუშავებული 1745 წელს. დანარჩენი ორი მომდევნო ტექსტი კი არ შეიძლება ჩაითვალოს ვახტანგისეულად. ისინი მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევრის ნუსხებშია დაცული. ამ თვალსაზრისის მართებულობას მხარს უჭერს იმ კვლევის შედეგი, რომელიც ახალი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** სუფიქსთა განაწილებაზე ვაწარმოეთ. აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით მათში სრულიად განსხვავებული ვითარებაა. ახალი „ქართლის ცხოვრების“ II და III ტექსტებში, პირიქით, **-ეს** ბოლოსართიანი ზმნები მნიშ-

ვნელოვნად სჭარბობენ დანარჩენებს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელთა შედგენა-დამუშავება სხვა ავტორთა მიერ განხორციელდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ენობრივი საკითხი ბერი ეგნატაშვილის ტექსტთან იქნებოდა შესაბამისობაში.

ბერი ეგნატაშვილის ისტორიის ერთსა და იმავე ეპიზოდში ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა სუფიქსით გვხვდება:

მერმე **შეიყარნეს** ბარათიანნი (ქ. ცხ., II, 344, 5);

**შეიყარნენ** და მოადგნენ ტფილისს (ქ. ცხ., II, 344, 2);

**შეიბნეს** მუნ გოფანთოსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი (ქ. ცხ., II, 376, 3).

დაიწყო სამდურავი და მტერობა ჩამოვარდა ორთავეს შინა ესრეთეთითარი, რომე აქეთ ეს შეიყარა და იქით ისი, და **შეიბნენ** (ქ. ცხ., II, 376, 13).

დასტურდება „შემოიქცეს // შეიქცენ // შეიქცნენ“ პარალელური ფორმებიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის პრეფიქსიან ვნებითებში ნორმად დამკვიდრებული თავისებურება უკვე საფუძვლიანად წაშლილია:

წარმოსტყუევნეს და წარმოიღეს მრავალი ნატყუენავი და **შემოიქცეს** ძლევა-შემოსილნი (ქ. ცხ., II, 416, 12);

ხოლო ყიზილბაშნი **შეიქცენ** გამარჯვებულნი (ქ. ცხ., II, 376, 21);

მაშინ სძლია ათაბაგმა და **შეიქცნენ** ქართველნი (ქ. ცხ., II, 347, 19).

აქვე მრავლად შეიძლება ისეთი ფაქტების დამოწმებაც, როცა პარალელური წარმოება ერთ წინადადებაშია:

და მიერთიგან **ადიყარნეს** და **წარვიდნენ** (ქ. ცხ., II, 379, 29);

**იძლივნეს** სპა ქართველთა და უკუნ **იქცენ** (ქ. ცხ., II, 356, 20);

რა მიეწია როსტომ მეფე ნოდარს, **გამოუბრუნდენ** ორნივ ძმანი ჩხეიძენი, **შემოებნენ**, იომეს და დაჯოცნეს იგინიცა (ქ. ცხ., II, 422, 14).

პარალელური ფორმათწარმოება გამოვლინდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ II ტექსტშიც:

და **ადიყარნენ** და **წარვიდენ** და **მიადგნენ** ციხესა ბირთჳსისა (ქ. ცხ., II, 469, 23);



ამისა შემდგომად **ადიყარნეს** და **წარვიდეს** (ქ. ცხ., II, 452, 23).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტის მრავლობითობას უპირატესად **-ეს** ბოლოსართი გამოხატავს, როგორც XVIII საუკუნეში შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ასევე XII – XVIII საუკუნეთა საერო საკანონმდებლო ძეგლებში. **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები კი სხვადასხვა საუკუნის სიგელ-გუჯრებში აქა-იქ იშვითად გვხვდება.

**-ნენ** ბოლოსართიან ფორმას გამოავლენს XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთა“:

და შემდგომად მცირედისა **ეუფლნენ** ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა (სამ. ძეგლ., II, გვ. 102).

მსგავსი ფორმებია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და ამავე პერიოდის (1721 წ.) გარიგების სიგელში:

იმას ყაზახნი **დაესხნენ** და ის ცხვარი ძალად წაუსხეს (სამ. ძეგლ., I, გვ. 204).

რომე თიანელნიც **შემოგვებვეწნენ** ამას, და ჩვენც ეს გაუგონეთ ასე და ამრიგად (სამ. ძეგლ., II, გვ. 335).

უფრო იშვიათად **-ენ** ბოლოსართიანი ფორმები დასტურდება:

**განძლიერდენ** ნებითა და ბრძანებითა შენითა... და დანიპყრნეს საპატრონოდ ტახტი შვიდთავე საქართველოთანი (სამ. ძეგლ., II, გვ. 353).

სხვადასხვა საუკუნის სამართლებრივ ძეგლებში ერთ ზმნურ ფუძესთან პარალელური (**-ეს** და **-ნენ** სუფიქსიანი) წარმოება გამოვლინდა: XVIII საუკუნის ღმრთაების გუჯარში ძველი ფორმაა, XVII საუკუნის სხვა საკანონმდებლო ძეგლში კი – ახალი.

**...მოიწიენეს** შუამდინართ ათორმეტნი ესე წმიდანი მამანი (სამ. ძეგლ., II, გვ. 367);

ოდეს **მოიწიენენ** უღმრთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღვდელთ-მონაზონნი და კრებულნი მოსრეს (სამ. ძეგლ., II, გვ. 230).

XII-XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდეგის საერო საკანონმდებლო ძეგლებში **-ენ//ნენ** ავიქსთა სიმცირე ლოგიკურია. მდივან-შემდგენელნი იცავენ იმ ძველ მწიგნობრულ სტილს,

რომელიც ნაკლებად შეესაბამება მათ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებას.

გარდაუვალ ზმნებთან **-ენ//ნენ** ბოლოსართთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდანაა შესაძლებელი. თეიმურაზ I-თან ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. აქ **-ეს, -ენ, -ნენ** აფიქსები რაოდენობრივად ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 64 : 4 : 2. ავტორი ზოგჯერ აღნიშნულ ბოლოსართებს ერთსა და იმავე ფუძესთან იყენებს. მაგალითად, „ლეილმაჯუნნიანში“ სამივე სუფიქსი ერთ ზმნასთან დასტურდება:

საფლავზე **დადგენ** მშობელნი, სანთელს უნთებენ შამებ და (თ. I, გვ. 52. 215, 13);

კარს **მიუდგენ** მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა (თ. I, გვ. 31. 51, 1);

ზედ **მოადგეს** დამე ბნელსა მას შუქთაგან დაუმალსა (თ. I, გვ. 35. 83, 4).

საგანგებო ყურადღების ღირსია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ: „დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს. რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში ვერ ახერხებს ძველი ქართულის ვერც მორფოლოგიური და ვერც სინტაქსური ნორმების დაცვას – ძველი ქართული არ იყო მისთვის ბუნებრივი ლიტერატურული მეტყველება, ძველი ქართულის ნორმები მას შეთვისებული ჰქონდა ხელოვნურად, ძველი ტექსტების კითხვა-შესწავლის შედეგად, მაგრამ სტილის მხრივ სულხან-საბა აღწევს ძველი ქართული სასულიერო ძეგლების ენასთან საოცარ მსგავსებას“ (გიგინეიშვილი 1959: 33).

„სულხან-საბა ორბელიანი სრულიად არ ცდილობს თავის უფლებებში აღადგინოს ძველი ქართული ენა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში – გარკვეული სტილისტიკური დანიშნულებით – იგი დიდი მხატვრული ოსტატობით იყენებს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ ფორმებსაც“ (გეწაძე 1969: 40).

გამოთქმულ თვალსაზრისს ეხმიანება ჩვენი კვლევის შედეგიც. „სწავლანში“ 58 **-ეს** სუფიქსიანი ფორმის გამოყენებას უთუ-

ოდ სტილისტური ფუნქცია აკისრია, ამგვარი არქაიზაციით სასულიერო ჟანრის თხზულებისათვის ნიშანდობლივი კოლორიტის შექმნა.

თუმცა, ამავე ნაწარმოებში ძველ ფორმათა გვერდით 9 -**ენ** და 3 -**ნენ** სუფიქსიანი ზმნაც დასტურდება.

საინტერესოა „მიექცენ“ ფორმა. ეს იმ ზმნათაგანია (მოიქცეს, დაირღუეს), რომლებიც პრეფიქსიან ვნებითა ძველ ენაში მოქმედ წესს არ ემორჩილებიან – **-5** ფორმანტს **-ეს** სუფიქსის წინ არ ჩაირთავენ და ამიტომ თავისებურ ზმნათა რიგში დგებიან. ძველ ქართულში აღნიშნული ზმნა მხოლოდ „მიექცეს“ ფორმით გვხვდება. მოგვიანებით, როცა **-ეს** სუფიქსი **-ენ** ბოლოსართმა შეცვალა, მოსალოდნელი „მიექცენ“ ფორმა უნდა ყოფილიყო, რაც ამ თხზულებაში დადასტურდა კიდევ, ე. ი. ძველი გრამატიკული ნორმა ახალი ფორმანტით აღიჭურვა:

რაოდენნი უშვილონი შვილიერ **იქმნეს**, რაოდენნი მკვდარნი **ადღეს**, რაოდენნი მადლითა ადვსებულნი სახლად თვისად **მიექცენ** (საბა, სწავლ., გვ. 206, 637).

ამ წინადადებაში გვერდი-გვერდაა ძველი და ახალი წარმოება.

ამ ნაწარმოებშივე პარალელური წარმოების ისეთი შემთხვევა, როცა **-ეს** და **-ენ** ბოლოსართები ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთანაა გამოვლენილი:

და ყოველნივე მოციქულნი ძვირ-ძვირითა ტანჯვითა **მოსწყედეს** და დადვეს სული ცხოვართათვის ქრისტესათა (საბა, სწავლ., 208, 645);

უწესონი იყვნენ და ნამეტნავისა მიღებითა ვითარისა რისხვითა **მოსწყედენ** და შჯულის კიდობანიცა მიეღოთ (საბა, სწავლ., გვ. 215, 667).

სრულიად განსხვავებული ვითარებაა „სიბრძნე სიცრუეში“. საერო თემატიკის იგავ-არაკთა კრებულში გარდაუვალ ზმნათა დიდ უმრავლესობას მრ. რიცხვში პირის ნიშნად თანამედროვე ქართულისეული **-ნენ** სუფიქსი დაერთვის, 74 **-ნენ** სუფიქსიანი ფორმის გვერდით 40 **-ენ** და 21 **-ეს** ბოლოსართიანი ზმნა:

**მოიწივნეს** სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიღეს (საბა, ს.ს., გვ. 9);

**შეიცილნენ** და ყადთან საჩივნელად **წავიდნენ** (საბა, ს.ს., გვ. 115).

ჯალაზნი **მომბულდენ** და გავეყარე (საბა, ს.ს., გვ. 86).  
 პარალელური წარმოება ზოგჯერ აქაც გვხვდება:  
 სლვასა შინა მეკობრენი **შეხვდენ**, სამნი **გაეუზნეს** და მან  
 ხმა არ გასცა (საბა, ს.ს., გვ. 15);  
 ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დადღეტილნი, **და-  
 ძმოზილდენ** და თავის პატრონს **გაეპარნენ** (საბა, ს.ს., გვ. 54);  
**დამოყვრდენ**, დიდად **გაიწყენენ** (საბა, ს.ს., გვ. 112).  
 სამნივ **გამოეზნეს** და ერთად **მივიდნენ** (საბა, ს.ს., გვ. 62).  
 პარალელური წარმოება იშვიათად ერთ ზმნასთან რეალიზ-  
 დება:  
 რა მივიდა მეფე, **მოეგებნეს**, დასვეს (საბა, ს.ს., გვ. 35);  
 რა მისი სახელი ვახსენე, **მომეგებნენ** კაცნი (საბა, ს.ს., გვ.  
 94).  
 ზოგჯერ კი სამივე აფიქსია ერთ ფუძესთან:  
 ძოდან რომელთა ვაჭართა მოეცათ, ივინი მუნ **დახვდეს**  
 (საბა, ს.ს., გვ. 15);  
 კარგა **დამხვდენ**: გამათბეს, მალხინეს, გამანებირეს (საბა,  
 ს.ს., გვ. 94);  
**დახვდენ** მეფისა ვაჭარნი, ცნეს მათი მპარაობა (საბა, ს.ს.,  
 გვ. 15);  
 განთიად მოვიდა ყადი და მოწამენი და იგი მტერი მოლა-  
 ცა **მივიდეს** (საბა, ს.ს., გვ. 24);  
**მივიდენ** მასთან (საბა, ს.ს., გვ. 27);  
**მივიდნენ** მეფე და ვაზირი (საბა, ს.ს., გვ. 109).  
 თუ „სწავლანში“ „მოიქცენ“ ზმნა **-ნ** ფორმანტის გარეშეა,  
 „სიბრძნე სიცრუეში“ ძველი ნორმა უკვე აღარსად ჩანს. სამივე  
 შემთხვევაში აღნიშნული ზმნა **-ნ** ელემენტით დასტურდება:  
**მოიქცენენ** და მასვე მძორზე შულლი დაიწყეს (საბა, ს.ს., გვ.  
 145).  
**-ენ** ბოლოსართიანი ფორმა შეგვხვდა თხზულებაში „მოგზა-  
 ურობა ევროპაში“. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში თხრობა რე-  
 ლიგიურ თემას შეეხება:  
 წმინდა პავლე მოციქული რომ მოვიდა აქ პირველადო და  
 ქრისტე ქადაგაო, მაშინვე **მოიქცენ** ჩვენი მამანიო (საბა, მოგზ.,  
 გვ. 225).  
 თუმცა სულხან-საბას ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებთა  
 შორის **-ეს, -ენ, -ნენ** აფიქსთა განაწილების თვალსაზრისით ვითა-

რება ამ ძეგლში შედარებით უფრო ახალი ქართულისებრია. აქ ძალზე იშვიათია **-ეს** სუფიქსიანი გარდაუვალი ზმნები, სამაგიეროდ თითქოს თანაბრად გვხვდება **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართები:

ფრანცისებმა გვიცნეს. **მოგვეგებნეს** (საბა, მოგზ., გვ. 200);

ექვსი ფლურის თხოვა დაგვიწყეს, ძლივ ხუთას მარჩილს **დაგვეკერდენ** (საბა, მოგზ., გვ. 155);

არ **მომეშენენ**. წმიდის პაპის სასახლეში დამაყენეს (საბა, მოგზ., გვ. 205).

ნაწარმოებში დასტურდება პარალელური წარმოებაც. ერთ ფრაზაში **-ენ** და **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები გვერდი-გვერდ ჩნდება:

ყოველი კარდინალი თვითო თვითო მოვიდა და ხელს აკოცეს და **გამობრუნდნენ** და **დასხდნენ** (საბა, მოგზ., გვ. 171);

დარბაისელნი **მოგვეგებნენ**. **შეგვიძღვენ** (საბა, მოგზ., გვ. 211).

ზოგჯერ კი **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართები ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან გვხვდება:

**გამობრუნდნენ**, პაპას თაყუანისცეს. **გამობრუნდენ** (საბა, მოგზ., გვ. 171).

XVII-XVIII საუკუნეების მწერალია არჩილიც. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანისაგან განსხვავებით, მის პოეზიაში ძველ ფორმებს უფრო ხშირად ვხვდებით. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გარდაუვალ ზმნებთან 107 **-ეს**, 54 **-ენ** და 23 **-ნენ** სუფიქსიანი ფორმა დავადასტურეთ. მართალია, „ვისრამიანში“ **-ენ** ბოლოსართიანი ფორმები ჭარბობენ, მაინც მთლიანობაში სურათი არ იცვლება.

აქაც ბევრი ისეთი მაგალითის დამოწმება შეიძლება, როცა ერთ ზმნურ ფუძესთან **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსები ცვლიან ერთმანეთს. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ავტორი მეზობელ ტაეპებში მიმართავს ძველსა და ახალ წარმოებას:

ავს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი, ხადუმი,

რა **გამოსცილდეს** ლომისას, ხმა არის მო დასადუმი (არჩ., II, 664, 4);

**გამოსცილდენ** ლომისასა, უკან მოჰყვა მათ გიორგი (არჩ., II, 665, 1).

„ვისრამიანში“ **-ეს** და **-ნენ** აფიქსებია ერთ ზმნასთან:

ყოველგნით **მოვიდნენ** მძლეველნი ლაშქარნი გამარჯვებულნი (არჩ., I, გვ. 143. 77, 1).

**მოვიდეს** ყოველგნით ლაშქარნი, მინდორი ველარ იტევდეს (არჩ., I, გვ. 162. 214, 1).

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე პოემაში აღმოჩნდა „გაგვექცნეს“, „გამოექცეს“, „გაექცნენ“ ფორმები. ერთ შემთხვევაში თუ ნორმა დაცულია, მეორეგან **-ნ** ფორმანტია ჩართული ზმნაში, რამდენჯერმე კი **-ნეს** ბოლოსართს **-ნენ** ენაცვლება:

სომხები თუ **გამოექცეს**, რა გიკვირს თხისგან-უთხია (არჩ., II, 928, 4);

რაც გადაგვრჩა, მალ **გაგაგვექცნეს**, ვინ-ვის წინა წაუსწრობდა (არჩ., II, 555, 1);

ყველა უომრად **გაექცნენ**, ეს ვინ არ გაიკვიროსა? (არჩ., II, 235, 3).

ეს ფაქტი ძველი გრამატიკული ნორმის მოშლაზე მეტყველებს.

**-ეს, -ენ, -ნენ** აფიქსთა განაწილების ამსახველი სურათი კიდევ უფრო საინტერესოდ XVIII საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში გამოიყურება. XVIII საუკუნე ენის განვითარების ის ეტაპია, როცა ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები უკვე კარგადაა დამკვიდრებული როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სამწერლობო ენაში, მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ენობრივი ნორმები ჯერაც ძალაშია. ამის მიზეზი თავად ძველის შინაარსი შეიძლება იყოს ან ცალკეული ავტორის სურვილი, ძველი სამწერლობო ტრადიციის გამგრძელებლად დარჩეს. ამიტომაც არაერთგვაროვანი ვითარებაა თეიმურაზ II-ის, ბესიკის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

თეიმურაზ II-ის ნაწარმოებებში მცირედით სჭარბობენ ახალი ფორმები ძველს. მნიშვნელოვანია, რომ აქ **-ეს** და **-ნენ** აფიქსთა გადანაწილებისას გადამწყვეტი თვით ნაწარმოების ჟანრია. ლექსებსა და პოემებში აშკარად შეიმჩნევა **-ეს** სუფიქსთა სიმრავლე, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებში, პირიქით, **-ეს** სუფიქსიანი ზმნები ახალ **-ნენ** სუფიქსიან ფორმებზე ორჯერ ნაკლებია. მაგალითად, ჩვენ მიერ მოძიებული 21 **-ეს** ბოლოსართიდან 15 პოეზიაზე მოდის, 6 კი „თიმსარიანში“ გვხვდება. 24 **-ნენ** ბოლოსართიდან 16 „თიმსარიანშია“, დანარჩენი 8 – პოეტურ თხზულებებში. საგულისხმოა, რომ პოეზიაში გამოვლენილი 15 **-ეს** სუფიქსი-

დან 13 შეგვხვდა პოემაში „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“. თითქმის ყველა მათგანი პოემის სასულიერო ნაწილშია, რომელშიც ძველი და ახალი აღთქმის ამბებია მოთხრობილი. რელიგიური თემატიკა კი თავისთავად ძველ ფორმებს გულისხმობს, თუმცა პოემის სასულიერო ნაწილში იშვიათად - **ნენ** ბოლოსართიანი ფორმებიც გვხვდება, ისევე როგორც საეროში – **-ეს** ბოლოსართიანები:

რად **ადიდრნესო** წარმართნი, ერმან იზრახა ცუდათა (თ. II, გვ. 37. 299, 2);

იყო სიბერე ისაკის, მას **დაუბრყვილდეს** თვალნია (თ. II, გვ. 14. 104, 1);

მის ნაყოფის გემოს ნახვით იგ **დაეცნენ** ჭამისაგან (თ. II, გვ. 6. 42, 3).

სპარსულიდან თარგმნილ „თიმსარიანში“ **-ნენ** ბოლოსართის სიჭარბეც ლოგიკურია. საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილ იგავ-არაკთა კრებულში ავტორი უფრო ახალ ფორმებს აძლევს უპირატესობას:

სპილოები სულ **დაირუჯნენ** და **დაიწვნენ** (თ. II, 158, 17);

და **დაღონდნენ** ვეზირები და მუნაჯირები (თ. II, 144, 27).

დავიმოწმებთ პარალელურ ფორმათწარმოებასაც, რომელსაც თეიმურაზ II მიმართავს ხანდახან. „თიმსარიანში“ **-ეს** და **-ენ** სუფიქსებია გვერდიგვერდ:

**შემოკრბეს** დღესა ერთსა შვიდნივე იგი ვეზირნი (თ. II, 146, 30);

რა ბრძანება ესმათ, ყველანი **შემოკრბენ** (თ. II, 204, 28-29).

XVIII საუკუნის II ნახევრის პოეტი ბესიკი ძველ წარმოებას მიჰყვება. მის პოეზიასა და პირად წერილებში უფრო ნაკლებად ახალ ფორმებსაც ვხვდებით. აქ **-ენ** და **-ნენ** სუფიქსიან ზმნათა რიცხვი თითქმის თანაბარია:

ცრემლით **ადმევსნეს** მწირნი თვალები (ბეს., გვ. 4. 5, 3);

ოთხნივე ძმანი **შეითქვნეს**, შარვაშის-ძენი მძლეველნი (ბეს., გვ. 29. 3,3);

თითო მჯიღი ერთმანერთსა შემოჰკრეს და **შეიტაკნეს** (ბეს., გვ. 48. 5 1);

როს **გაშველდენ**, **წაცაიქვნენ**, ერთი იქით, ერთი აქეთ! (ბეს., გვ. 49. 10, 1);

**განშორნენ** შეუსწრებელსა შესამატსა ნაყოფსა მას პოლიტიკისას (ბეს., გვ. 106).

„ბესიკის თხზულებებში დადასტურებული არქაული მოვლენების ხვედრითი წონა გაცილებით უფრო მეტია ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ ფორმებთან შედარებით... ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ქართული ენის ენობრივი ნორმების გავლენა, მაგრამ ამ ნორმებს ბესიკი ბოლომდე ვერ იცავს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების არსებობის ფაქტი“ (ქლენტი 1989: 163).

გარდაუვალ ზმნებთან მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ აფიქსებზე წარმოებული დაკვირვებაც უთუოდ ეხმიანება საყოველთაოდ ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილმა პოეზიაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას ყველაზე დიდი სამსახური გაუწია. „დავითიანში“ თითქმის არსად გვხვდება **-ეს** სუფიქსი გარდაუვალ ზმნებთან. აქ ყველგან **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართებია. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვი თითქმის თანაბარია:

მაგრამ კვლავ **შესცდენ** მის გზათა, რა ცოდვის ბურმან მონისა,

**ჩაცვიფდენ** ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა (დავითიანი, გვ. 47. 145, 3-4);

**გამოესალმნენ** მეფესა ქართველნი მუკლზედ ხვევითა (დავითიანი, გვ. 102. 540, 1);

კაცს **წაეკიდნენ** გოგო და ბიჭი (დავითიანი, გვ. 199. 134, 1).  
არის პარალელური წარმოების შემთხვევებიც:

**ადიძრენ** ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება (დავითიანი, გვ. 28. 6, 3);

შეითქვენენ ერნი, **ადიძრნენ** ცუდისა განძრახებადა (დავითიანი, გვ. 38. 82, 4).

„კალმასობაში“, მართალია, **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართიანი ზმნები ძველ **-ეს** სუფიქსიან ფორმებს საგრძნობლად სჭარბობენ, ძველ წარმოებას მაინც თავისი ადგილი უჭირავს:

და ოდეს **დაუახლოვდეს** ურთიერთსა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, პირველსავე კვეთებასა შინა მამაცად **ეკვეთნეს** ქართველნი (ბატონიშ., II, გვ. 120);



ამაზედ ბევრი იცინეს და მადლობელნი ორნივე კერძონი **განშორდენ** ერთიმეორეს (ბატონიშ., II, გვ. 8);

და ესრეთ ძლეულნი **განიბნიენენ** სპარსები და მხედარნი ქრისტესნი **მოადგენენ** ბახტრიანის ციხესა (ბატონიშ., II, გვ. 111).

აქ საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაშია ძველი და ახალი ფორმები:

**აღიძრნენ** ბილწნი ესე და **მოიწიენეს** მანგლისსა, რომელსა ეწოდა კველთა (ბატონიშ., II, გვ. 91);

იხილეს რა ბერი, ყოველნივე **მისეალმნენ** და მოიკითხნეს ურთიერთი და **დასხდენ** ესენი (ბატონიშ., II, გვ. 140);

**შემოეხიზნენ** ქართველთ და **დასახლდენ** ესენი (ბატონიშ., II, გვ. 228).

„კალმასობაში“ დასტურდება იმის მაგალითიც, როცა ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან რეალიზდება ძველი და ახალი წარმოება:

და ოდეს მტარვალნი და სხვანი უკვე სპარსნი **წარვიდენ** სახლად თვისა და იყვნენ მოცულ განკვირვებითა დიდითა, **მოვიდეს** იდუმალ კაცნი ნათესავით სომეხნი (ბატონიშ., II, გვ. 118).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აფიქსთა შესახებ საშუალი ქართულის ძეგლებში მოპოვებულ მასალას თუ მთლიანობაში შევავლებთ თვალს, ასეთი სურათი გამოიკვეთება:

საშუალი ქართულის ადრეული ხანის (XII-XIII სს.) ძეგლებში **-ეს** აფიქსია ძირითადი. „ვეფხისტყაოსანში“ ის ერთადერთი მაწარმოებელია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. „ამირანდარეჯანიანში“ მხოლოდ მერმინდელ დანართშია რამდენიმე ახალი ფორმა; „ვისრამიანში“ ერთგან თუ შევხვდით ახალ წარმოებას. შემდგომ საუკუნეებში **-ეს** სუფიქსის გვერდით ახალი მაწარმოებლები ჩნდება. **-ენ//ენ** აფიქსთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდან ხერხდება, მაგრამ **-ეს** ბოლოსართი მაინც ინარჩუნებს ძველ პოზიციას. XVIII საუკუნიდან მოყოლებული კი ავტორთა უმრავლესობა ახალ წარმოებას ირჩევს.

**-ენ** და **-ენ** სუფიქსთა ურთიერთმიმართებას რაც შეეხება, ისინი საშუალ ქართულში თანაარსებობენ, თუმცა ყველგან აშკარაა **-ენ** ბოლოსართის უპირატესობა. შევეცადეთ, მათ განაწილებაში გარკვეული წესრიგი დაგვეჩვენახ: პრეფიქსიანი ვნებითები

უფრო ხშირად **-ნენ** სუფიქსიან წარმოებაზე ეწყობიან; დონიანი ვნებითები და **დ** თანხმოვანზე ფუძედასრულებული სხვა ზმნები უფრო მეტად **-ენ** ბოლოსართს დაირთავენ; საშუალ-ვნებითები და უნიშნო ვნებითები შუალედურ მდგომარეობაში არიან. ხშირად კი პარალელურ ფორმათა გამოყენებას სტილისტური დანიშნულება აქვს.

### ლიტერატურა

**გეწაძე, 1969** – დ. გეწაძე, მწკრივთა ფორმების წარმოება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969.

**გიგინეიშვილი, 1959** – ი. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის. სულხან-საბა ორბელიანი, საუბილეო კრებული, თბ., 1959.

**ნიკოლაიშვილი, 1978** – ე. ნიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის **-ეს** სუფიქსის **-(ნ)ენ**-ით შეცვლის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 3, 1978.

**ჟღენტო, 1989** – დ. ჟღენტო, ბესიკის ენა, თბ., 1989.

**შანიძე, 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1976.

**შანიძე, 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980.

### დამოწმებული წყაროები და შემოკლებათა განმარტებანი

**ამ.** – „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბ., 1967.

**არჩ. I** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1936.

**არჩ. II** – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1937.

**ზეს.** – ზესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. ტფილისი, 1932.

**დავითიანი** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბ., 1955.

**ვის.** – „ვისრამიანი“, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბ., 1962.

**თ. I** – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი, 1934.

**თ. II** – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1932.

**ბატონიშ.** – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი, 1948.

**სამ. ძეგლ I** – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ., I, 1963.

**სამ. ძეგლ. II** – ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., II, 1965.

**საბა, მოგზ.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბ., 1959

**საბა, ს.ს.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბ., 1959.

**საბა, სწავლ.** – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბ., 1963.

**ქ. ცხ. I** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., I, 1955.

**ქ. ცხ. II** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., II, 1959.

**Towards the Formation of the Plural of the 3<sup>rd</sup> Subjective  
Person of Intransitive Verbs in the Aorist  
in Middle Georgian**

Summary

In Middle Georgian the 3<sup>rd</sup> subjective person of intransitive verbs in the Aorist had a number of suffixes: in the manuscripts of early 12-13 cc it was mainly the suffix *es*. In later centuries the suffixes *-en//nen* appear. However, the regular usage of the latter is observable from the 17<sup>th</sup> c. Simultaneously, in many a case the suffix *es* is still evidenced. However, since the 18<sup>th</sup> c majority of authors have employed *-en//nen* suffixation; out of the two the usage of *-nen* seems prevalent.

ლანა ჯღარაკაძე

**სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის  
ლინგვოსტილისტიკური მახასიათებლები**  
(ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ პილის  
1849 წლის სიტყვის მასალაზე)

როგორც ცნობილია, ძალიან ხშირად პოლიტიკა ძალაუფლებისათვის ბრძოლაა, რომელიც მიმართულია გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური იდეების პრაქტიკაში განსახორციელებლად. აღნიშნულ ბრძოლაში ვერბალური ქმედება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა (ჰორვეთი, 2014: 45).

საუკუნეების მანძილზე პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმული სიტყვა საზოგადოების დარწმუნების მნიშვნელოვანი საშუალება იყო; როგორც ცნობილია, ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება მზადდება და ხორციელდება ენის მეშვეობით. ენა პოლიტიკის ძლიერი იარაღია.

პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა სტილისტიკურ ხერხს პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ისინი სხვადასხვა მანიპულაციის გზით ახერხებენ საზოგადოების კეთილი განწყობის მოპოვებას და მასზე იმგვარი ზეგავლენის მოხდენას, რომ საზოგადოება ხშირად იღებს მათ ყალბ მსჯელობაზე დაფუძნებულ განცხადებებს და მხარს უჭერს იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც, შესაძლოა, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

სტატისის მიზანია განიხილოს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნების ლინგვოსტილისტიკური მახასიათებლები ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ პილის (1788-1850) 1849 წლის 6 ივლისის სიტყვის მასალაზე.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის: კრიტიკული დისკურსის ანალიზი (ვან დეიკი, 2001: 352), სტილისტიკა (გალპერინი, 1977; ვერდონკი, 2010) და ნაშრომები პოლიტიკურ დისკურსზე (ტილორი, 1850; ჰორვეთი, 2014).

სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ და უშუალოდ ინგლისურენოვანი და ქართული პოლიტიკური დისკურსის ნიმუშებ-

ზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სახელმწიფო ლიდერები ხშირად მიმართავენ სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნებას, რადგანაც „რაც გაუმართლებელია მორალურად, გამართლებელია პოლიტიკურად“ (ტეილორი, 1849:10). მათ, ვინც დახელოვნებულია სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნებაში, შეუძლიათ ბნელი ნათლად წარმოაჩინონ, მწარე ტკბილად მოგაჩვენონ და პირიქით:

„Put darkness for light, and light for darkness; bitter for sweet, and sweet for bitter“ (ტეილორი, 1849: 44) .

ფინანსისტ ჯეიმს ტეილორის თვალსაზრისით, სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობა ხელოვნებაა, რომელსაც შეიძლება ყველა დაეუფლოს, ვისაც მსახიობური ნიჭი აქვს, ვინც დაჯილდოებულია მჭევრმეტყველების, დარწმუნების უნარით და არავითარ საშუალებას არ ერიდება დასახული მიზნის მისაღწევად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ პილის (1788-1850) პოლიტიკური ფიგურა. როგორც ჯეიმს ტეილორი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რობერტ პილი თავის 1849 წლის სიტყვაში მიმართავს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნებას, თუმცა ტეილორის აღნიშნული ნაშრომი არ განიხილავს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ლინგვისტიკისტიკურ მახასიათებლებს.

ისტორიკოსები რობერტ პილს, გლადსტონსა და დიზრაელთან ერთად, მიიჩნევენ ყველაზე სახელგანთქმულ პრემიერ-მინისტრად მე-19 საუკუნის ბრიტანეთის ისტორიაში. მიჩნეულია, რომ ბრიტანეთში თანამედროვე პოლიტიკა იწყება პილით, რადგან მან თანამედროვე კონსერვატორული პარტია აღადგინა ძველი ტორთა პარტიის ნანგრევებიდან. ორმოცი წლის პოლიტიკური კარიერის მანძილზე პილს ეკავა ირლანდიის მთავარი მდივნის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და ორჯერ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი.

რობერტ პილი მიიჩნევა რეფორმატორად. მას მიეწერება მე-19 საუკუნის არაერთი ადმინისტრაციული, საკანონმდებლო თუ სოციალური რეფორმა. აგრეთვე მის სახელს უკავშირდება რეფორმები, რომლებიც შეეხო სისხლის სამართალს, სასჯელაღსრულების სისტემას, ფისკალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას. იგი გამოირჩეოდა პრაგმატული მიდგომით სოციალური და პოლიტიკური პრობლემე-

ბისადმი. მან დიდი წვლილი შეიტანა ბრიტანული მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაციაში.

რობერტ პილმა ჩამოაყალიბა პირველი ბიუროკრატიული პოლიციის სისტემა ინგლისში. მან პოლიციის რეფორმა დააფუძნა 9 პრინციპზე, რომელიც ცნობილია პილის პრინციპების სახელით. ამ რეფორმამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ წესრიგს მთელ მსოფლიოში. რობერტ პილის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ციტატაა „პოლიცია ხალხია და ხალხი პოლიცია“ – „The police are the people and the people are the police“

პილი ყოველთვის იყო დაინტერესებული ფუნდამენტური ცვლილებების გატარებით, თუმცა ყოველთვის მოქმედებდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მას მიიჩნევენ შუაეპოქორიანული პერიოდის არქიტექტორად.

რობერტ პილმა დიდი გამოცდილება მოიპოვა თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, რაშიც მას ხელი შეუწყო მისმა პიროვნულმა თვისებებმა: პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, ინტელექტი, შრომისმოყვარეობის დიდი უნარი. ამ ყველაფრის უკან კი იდგა მისი ტემპერამენტი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მის ქმედებებზე, მის გადადგმულ ნაბიჯებზე: სიამოვნების მიღება მიღწეული წარმატებებისგან, ლიდერობის ალღო, სიამაყე, სიფიცხე და სიჯიუტე – ეს მისი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარეები იყო, თუმცა მისი ინტელექტის, კარგი მეხსიერებისა და უნარების წყალობით ის ბრწყინვალე მმართველი იყო. მისი რთული ხასიათის მიუხედავად, მახვილი გონება და ძლიერი ხასიათი დომინირებდა მის ცხოვრებაში. აღნიშნული თვისებები ეფუძნებოდა მის შიდაპიროვნულ კონფლიქტებს, რამაც დალი დაასვა მის პიროვნებას და ამის გამო ის ბევრისთვის ცივ, არასასურველ ფიგურას წარმოადგენდა (გაში, 2007).

პილის პოლიტიკური ფიგურა ყოველთვის იყო დიდი განსჯის საგანი როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მის შემდეგაც. მან თავისი პოზიცია შეინარჩუნა მთელი რიგი მიღწევების, კრიზისული პერიოდებისა და დავა-განხილვების ფონზე. პილი ადრეული ასაკიდანვე იყო ჩართული დიდი იმპერიის საქმეებში და წლების განმავლობაში მიღებულმა და დაგროვილმა გამოცდილებამ, მკაცრმა დისციპლინირებულობამ განაპირობა მისი სწორუპოვარ ორატორად, ადმინისტრატორად და მოდებატედ ჩამოყალიბება. მისი ყოველი ნაბიჯი წინასწარი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. იგი იყო ერთ-ერთ-

თი ყველაზე ფრთხილი პოლიტიკოსი. თუმცა დიზრაელი ამას-თანავე მიუთითებს პილის პიროვნულ ნაკლოვანებებზე და მას „სხვათა ინტელექტის ქურდად“ იხსენიებს „burglar of others' intellect“, „trading on the ideas and intelligence of others“ (ბლოი, 2016). ასევე მიუთითებს პილის წარმოსახვის უნარის ნაკლებობასა და ადამიანური ბუნების უცოდინარობის შესახებ. დიზრაელს მიაჩნია, რომ პილს ხელოვნური მანერები ჰქონდა და ბუნებით ძალიან მორცხვი იყო. უელინგტონი კი ამბობს:

„I have no small talk and Peel has no manners“ (ჰარისი, 2013: 45)

როგორც უკვე აღინიშნა, ჯეიმს ტეილორი რობერტ პილს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის გამოყენებაში „ადანაშაულებს“, აღნიშნული ბრალდება ეხება რობერტ პილის მიერ 1849 წელს წარმოთქმულ სიტყვას, რომლითაც მან უპასუხა თავის ოპონენტ დიზრაელს, რომელმაც დედოფლის მინისტრების ზოგად ჭკუასუსტობაზე მიუთითა. თუმცა, როგორც აღინიშნა, ტეილორი თავის ნაშრომში „სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ხელოვნება“ არ განიხილავს რობერტ პილის ზემოხსენებულ სიტყვას ლინგვისტური თვალსაზრისით.

1849 წლის სიტყვაში რობერტ პილი ეხება რამდენიმე საკითხს, კერძოდ :

1. 1845-1846 წლების ხანმოკლე ეკონომიკური წარმატების პერიოდს;
2. დიზრაელის ბრალდებას, რომელიც ეხება არასწორ სახელმწიფო სავაჭრო პოლიტიკასა და მის შედეგებს;
3. ორდ სტენლის შენიშვნას შიდა მრეწველობის დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით;
4. პროდუქციის ადგილობრივი წარმოების ნაცვლად მისი სხვა ქვეყნისგან შესყიდვის უპირატესობას მეწაღისა და თერძის მაგალითზე;
5. 1845-1846 წლების პურის კანონს და მის შედეგებს;

განვიხილოთ თითოეული მონაკვეთი ცალ-ცალკე:

დიდ ინტერესს იწვევს სიტყვის შესავალი ნაწილი, რომელშიც რობერტ პილი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ჭეშმარიტებაზე, სიმართლეზე. იგი თავიდანვე აღნიშნავს, რომ მისი ოპონენტების არგუმენტების განხილვისას თითოეული საკითხის ახსნა-განმარტებით შეეცდება სიმართლის გამოვლენას. მიაჩნია, რომ სწორედ ეს არის ის კურსი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ:



*„In examining the arguments of the Hon. Member for Buckinghamshire , I shall take that course which appears to me by far the best , and the most likely to conduce to the elucidation of the truth , namely, to state each argument separately, and as nearly as I can in the words in which it was conveyed , and then to give that which appears to me to be the answer to such argument ; and I cannot help thinking, that if that were the course generally pursued in this House in the conduct of these discussions , substituting the plain simple test of reason for vague declamation, it would perhaps , upon the whole , conduce more to the full elucidation of the matters with which we have to deal“ (ტელიორი, 1849: 11).*

პილის ეს დეკლარაციული სახის განცხადება, რომელიც ხასიათდება თავდაჭერილობითა და ზომიერებით, არგუმენტირების, კამათის, პაექრობის დაწყების ბრწყინვალე მაგალითია და უდავოა, რომ პილმა ამ სიტყვებით უკვე მოხიზლა და დაარწმუნა მსმენელები.

პილი აღნიშნულ მონაკვეთში იყენებს პარალელიზმსა და გამეორებას, რათა მისი ეს შეტყობინება ადვილად დასამახსოვრებელი იყოს მისი სამიზნე აუდიტორიისთვის. გამეორება ერთ-ერთი ეფექტური სტილისტიკური ხერხია, რადგან რამდენჯერმე გამეორების ხარჯზე პოლიტიკური დისკურსის ნაწილები სამიზნე აუდიტორიას გაცილებით მარტივად ამახსოვრდება და ამავდროულად გამეორება ემოციური დატვირთვის მატარებელიცაა. მაგალითად, პილი ზემომოყვანილ პასაჟში იმეორებს ფრაზას „მიმაჩნია რომ“ – „which / that appears to me“:

*I shall take that course which **appears to me** by far the best, and then to give that **appears to me** to be the answer to such argument,*

სიტყვის შესავალში, როგორც ზემომოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, პილი მიმართავს ისეთ სტილისტიკურ ხერხს, როგორცაა პოლისინდეტონი (მრავალკავშირიანობა), რაც მის სიტყვას მთლიანობას მატებს და ერთგვარად კრავს, ამავდროულად „and“ კავშირის ხშირი და თანმიმდევრული გამოყენება ერთგვარ რიტმულობასაც სძენს მის სიტყვებს და ხაზს უსვამს იმ იდეებს, რომლებიც დაკავშირებულია „and“ კავშირით:

***and** the most likely to conduce to the elucidation of the truth, namely, to state each argument separately, **and** as nearly as I can in the words in which it was conveyed , **and** then to give that which appears to me to be the answer to such argument ; **and I** cannot help thinking “*

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის პირველ მონაკვეთში პილი განიხილავს 1845-1846 წლების ეკონომიკური წარმატების პერიოდს, რასაც ის მის მიერ 1842 წელს საშემოსავლო გადასახადის შემოღებას უკავშირებს და ამავდროულად ახსენებს 1841 წლის ხაზინის გაკოტრებას, რასაც მისი წინამორბედი მინისტრების მცდარ პოლიტიკას მიაწერს.

თუმცა ეკონომისტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ 1841 წლის ხაზინის გაკოტრება არ იყო 1840 წლის გაზრდილი საიმპორტო გადასახადის შედეგი და არც 1845-46 წლების დროებითი ეკონომიკური აყვავების პერიოდი არ იყო განპირობებული პილის მთავრობის მიერ პროტექციული ბაჟის გადასახადის გაუქმებითა და საშემოსავლო გადასახადის შემოღებით.

ის ფაქტი, რომ 1840 წელს იყო საბიუჯეტო დეფიციტი, სიმართლეა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლორდ მელბორნის (ბრიტანეთის პრემიერი) მთავრობის ფინანსთა მინისტრმა ფრანსის ბერინგმა ყველაფერი გააკეთა ბიუჯეტში არსებული დეფიციტის აღმოსაფხვრელად, თუმცა მათი ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა.

ამის კვალობაზე 1841 წელს, როცა უკვე პილი მოვიდა ხელისუფლების სათავეში თავის კონსერვატორულ პარტიასთან ერთად, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მან 1842 წელს შემოიღო საშემოსავლო გადასახადი, რომელიც პროდუქტიული აღმოჩნდა მხოლოდ მისი შემოდების პირველ წლებში, ხოლო 1845 წლისათვის, მისი ვადის ამოწურვის თარიღისათვის, დანახარჯმა მიაღწია ისეთ ნიშნულს, რომ 1845 წელს კვლავ დეფიციტი იყო ნავარაუდები, ამიტომ საშემოსავლო გადასახადის ვადას კიდევ სამი წლით გახანგრძლივდა. ხოლო 1847 წლისათვის, ანუ საშემოსავლო გადასახადის ვადის ხელმეორედ ამოწურვისთვის, ბრიტანეთი კვლავ კრიზისულ ვითარებაში იყო. მთავრობამ საშემოსავლო გადასახადის ხელახალ გახანგრძლივებას დაუჭირა მხარი. ეს იყო ის საშემოსავლო გადასახადი, რომელიც სრულიად არახელსაყრელი იყო მდიდრებისთვის და ავიწროებდა ღარიბებს:

*„Bad in principle, mischievous in operation, interruptive in prosperity in every department of active life, disadvantageous to the rich, and oppressing and destructive to the poor“* (სელიგმენი, 1914: 138).

ამჟამად იყო, რომ საშემოსავლო გადასახადმა, რომელიც მხოლოდ მოკლე დროზე იყო გათვლილი, პერმანენტული ხასიათი მიიღო:

*„The income tax, instead of being temporary staff which might be thrown aside when it had served its turn, had become a permanent and necessary support upon which it is evident that we should have still to lean, and to lean more strongly than ever“* (სელიგმენი, 1914:141).

პილის მოლოდინი არ გამართლდა, რადგან 1845-1846 წლების ეკონომიკური წარმატების პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა და მალევე დასრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პილი ამ სიტყვებს წარმოთქვამს 1849 წელს, მაშინ, როცა კარგად იცის თუ რა შედეგები მოჰყვა მის მიერ 1842 წელს შემოღებულ საშემოსავლო გადასახადს. შესაბამისად, ზემომოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1845-1846 წლების ეკონომიკური წარმატების პერიოდი არ იყო პილის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი და პილმა ფაქტების არასრულად, არამართებულად წარმოდგენის ხარჯზე არასამართლიანად მიიწერა ეს წარმატება.

პილის ამ ინფორმაციული ხასიათის სიტყვის მიზანს აუდიტორიის დარწმუნება წარმოადგენს, ამავდროულად, ეს სიტყვა წარმოადგენს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ბრწყინვალე ნიმუშს, რადგან ის დასკვნები, რომლებსაც ის აკეთებს, ერთი მხრივ, უსაფუძვლოა და, მეორე მხრივ, შეუსაბამო იმ მიზეზებთან, რომლებსაც ის მათ მიაწერს.

ანალიტიკოსი სამუელ მილერი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მუდმივი საშემოსავლო გადასახადი იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც მის შემოღებას მოჰყვა, რევოლუციის მიზეზი გახდებოდა.

*„In any other free country besides Great Britain, the imposition of a perpetual income tax, with all its inquisitorial accomplishments, would be the germ of a revolution“* (სელიგმენი, 1914: 139).

მოცემულ მონაკვეთში ჩანს, რომ პილი მიმართავს ისეთ სტილისტიკურ ხერხებს, როგორებიცაა პარალელიზმი და ანაფორა:

**„I find, that** in the year 1841 there was a deficit of about 2,500,000. **I find, that** in the preceding year , 1840, **you** had adopted the system of imposing additional duties ' upon Imports , etc... **I find, that** that addition, so placed upon Imports , had produced no corresponding augmentation of the revenue.

But, in 1842, **you adopted** a different principle; **you imposed** an Income Tax, and **you reduced** taxation upon all the great articles of subsistence (Hear 'and Cheers )... **You imposed** an Income Tax, by which were raised . **You removed** the prohibitions upon the import of Animals' and

Meat. **You reduced** the duties upon every article which enters into the subsistence of the people . **You greatly reduced** the protective duties upon Corn. **You reduced** the duties upon 555 articles of Customs ; and the result was what the Hon . gentleman has represented to have been the state of this country in 1846” (Cheers) .

როგორც ცნობილია, სხვადასხვა პირის ნაცვალსახელების გამოყენება სიტყვით გამოსვლისას ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს იმისთვის, თუ რა რეზონანსი მოჰყვება ამ სიტყვას.

პილი ზემომოყვანილი მონაკვეთის პირველ აზვაცში იყენებს მეორე პირის ნაცვალსახელს „you“, ამ შემთხვევაში მეორე პირის ნაცვალსახელი „you“, არის ექსკლუზიური „you“ – რადგან მასში პილი მოიაზრებს წინამორბედ მთავრობას. ამასთანავე ზედიზედ სამჯერ ხმარობს პირველი პირის ნაცვალსახელს I-ს და რამდენჯერმე მისი გამეორებით ნათლად აფიქსირებს საკუთარ სუბიექტურ პოზიციას.

ხოლო იგავე მონაკვეთის მომდევნო აზვაცში პილი იყენებს მეორე პირის ნაცვალსახელს „you“ ზედიზედ რვაჯერ. ამჯერად მეორე პირის ნაცვალსახელი you-ინკლუზიურია, რადგან მის უკან არა წინა მთავრობა, არამედ ბრიტანელი ხალხი, მისი პოლიტიკური გუნდი და თვითონ დგანან. რაოდენობრივად ნაკლები „I“-ს გამოყენება მიანიშნებს, რომ კონცენტრაცია ხდება არა „მე“-ზე, როგორც ინდივიდზე, არამედ „You“-ზე, როგორც საზოგადოებაზე, მსმენელზე, აუდიტორიაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მოხსენების მეორე ნაწილში წარმოდგენილია პილის კომენტარი მისი ოპონენტის, დიზრაელის, ბრალდებაზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ გატარებულ არასწორ სავაჭრო პოლიტიკას.

დიზრაელი ასაბუთებს, რომ 1845-1846 წლებში ექსპორტის დეკლარირებული ღირებულება შეადგენდა £59,500,000, ხოლო 1848 წელს ექსპორტის დეკლარირებულმა ღირებულებამ შეადგინა £53,000,000, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მუშათა კლასმა 1848 წელს £6,500,000-ით ნაკლები მიიღო საიჯარო, სახელმწიფო გადასახადების თუ სხვა ხარჯების დასაფარად, ვიდრე ისინი იღებდნენ 1845-1846 წლებში.

რობერტ პილი კი მიმართავს რა სიცრუეზე დაფუძნებულ მსჯელობის ხელოვნებას, ცდილობს თავისი ოპონენტის, დიზრაელის, არგუმენტირებული მსჯელობის განეიტრალებას ბრალდების უარყოფითა და საწინააღმდეგოს მტკიცებით.

*„I totally deny, the inference which the honorable member drew from that circumstances. I deny because there was a falling off in the declared value of exports in 1848, as compared with the average declared value of those 1845-1846 to the extent of £6,500,000, that therefore the working classes received in 1848, £6,500,000 less for their labour, than they obtained in 1845 and 1846”* (ტელიორი, 1849:15).

*„It would be melancholy, indeed, if that were the case (that the working classes had received six and a half millions less for their labour than in 1845 and 1846) but, my consolation is, that nothing of the kind has taken place“ „Nothing can be more fallacious than any inference drawn from a falling off in the declared value of manufactures exported”* (ტელიორი, 1849: 16).

პილის ამ განცხადებას აპლოდისმენტებით შეხვდა მისი მსმენელი მიუხედავად იმისა, რომ პილს არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაც გააბათილებდა დიზრაელის ბრალდებას.

პილი აღნიშნავს, რომ საწყენი იქნებოდა, მუშათა კლასს ექვსმილიონ-ნახევრით ნაკლები ანაზღაურება რომ მიეღო 1848 წელს 1845-1846 წლებთან შედარებით. იგი ხალხს აიძულებს და კიდევ ერთხელ ბრალდების უარყოფით აჯერებს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. თუმცა ამასთანავე დასძენს, რომ მუშათა კლასი ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ნაკლებ ანაზღაურებას იღებს გაწეული შრომისთვის. ეს კი ნიშნავს, რომ საშუალოდ მუშათა კლასი იღებს იმავე რაოდენობის თანხას 400 სამრეწველო საქონლისგან, რასაც ის მიიღებდა 100 სამრეწველო საქონლისგან 1815 წელს.

პილი აღნიშნავს, რომ 1815 წლიდან მუშათა კლასმა თავისი ოსტატობისა და შრომის წყალობით ოთხჯერ გაზარდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, მაგრამ ის არ იძლევა განმარტებას, თუ რატომ არ გაზარდა მდიდარმა კლასმა ფასი, გაზრდილი პროდუქციის პროპორციულად. ყველასთვის აშკარაა, რომ სწორედ მდიდარი კლასი ნახავდა „ლომის წილ“ სარგებელს მუშათა კლასის მიერ გაზრდილი წარმოებული პროდუქციის რაოდენობით.

სიტყვის აღნიშნულ მონაკვეთში იკვეთება, რომ პილი მიმართავს სიცრუეზე დაფუძნებული მსჯელობის ერთ-ერთ ხერხს და ცდილობს მსმენელის ყურადღების გადატანას არარელევანტურ საკითხებზე, რაც, თავისთავად, იწვევს აუდიტორიის ერთგვარ დაბნევას, ორატორი კი თავს არიდებს იმ კითხვას, რომელზედაც პასუხი

უნდა გაეცა, ამასთანავე ის აქებს მუშათა კლასს და ამით ცდილობს მათი კეთილგანწყობის მოპოვებას.

სიტყვის მესამე ნაწილში წარმოდგენილია კიდევ ერთი მაგალითი, რომლითაც პილი ოპონენტის განეიტრალებას ოსტატურად ახერხებს ოპონენტის არგუმენტების რამდენჯერმე უარყოფით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის რღვევითა და მცდარი არგუმენტირებით; თავის ერთგულ მსმენელზე კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ყოველი მისი სიტყვა სიმართლეა. ამჯერად ის ახდენს ლორდ სტენლის შენიშვნების ციტირებას, რომელმაც შიდამრეწველობის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითა.

*„I boldly maintain that the principle of protection to domestic industry, meaning thereby legislative encouragement for the purposes of protection, not for revenue, is a vicious principle. I deny the Hon. Gentleman’s assumption that you cannot fight hostile tariffs by free imports. I so totally differ on that point, that I maintain that your true policy is to compete with hostile tariffs by free imports (Loud cheers).*

*I deny that you ought to return to protection as a principle; and I say that the wider you extend your principle of protection, the greater injury you will inflict on the national wealth and on the interests of the people (Cheers). Surely, the capital of the country is a fund from which the industry of the country must be maintained – surely the industry of the country must be promoted in proportion to the capital which can be employed in its manufactures – surely the augmentation of capital as our population increases must depend on the SAVING of annual revenue (cheers) (ტეილორი, 1849: 18)*

პილი აქ ემიჯნება ლორდ სტენლის დასკვნას, რომ ხალხი ვერ იბრძოლებს თავისუფალი იმპორტის ტარიფების წინააღმდეგ. ასევე ხაზს უსვამს, რომ ამ აზრს არ ეთანხმება და საზოგადოებას ჰპირდება, რომ ამ ტარიფების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხარს დაუჭერს, რის გამოც აუდიტორიისგან მხურვალე აპლოდისმენტებს იღებს.

პილი წინააღმდეგია, რომ მრეწველობის დაცვა იყოს მათი მთავარი პრიორიტეტი, რადგან თვლის, რომ ამ გზით ზიანი მიადგება ეროვნულ სიმდიდრესა და ხალხის კეთილდღეობას. მას მიაჩნია, რომ ქვეყნის კაპიტალი ის ფონდია, რომლითაც უნდა მოხდეს ქვეყნის მრეწველობის შენარჩუნება, კაპიტალის ზრდა, რამდენადაც მოსახლეობა იზრდება, დამოკიდებული უნდა იყოს დაზოგილ წლიურ შემოსავალზე.

რობერტ პილს დიდძალი კაპიტალი ისე ერგო, რომ მრეწველობაში არანაირი გამოცდილება არ ჰქონია, თვლიდა, რომ კაპიტალი არის საფუძველი, ასე ვთქვათ, მიზეზი და მრეწველობა მისი შედეგი.

ტილორის მოსაზრებით, იგივე რომ ეკითხათ რობერტ პილის მამისთვის (რომელიც წარმატებული მეწარმე იყო და საკუთარი ხელით მუშაობდა ბამბის სართავ მანქანებთან), რომლის აზრები და შეხედულებები მომდინარეობდა არა წიგნებიდან, არამედ მისი პირადი, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, ის დიდი ალბათობით იტყოდა, რომ სწორედ მრეწველობაა კაპიტალის წყარო და არა პირიქით, და რომ კაპიტალის ზრდა მოსახლეობის ზრდასთან ერთად დამოკიდებულია წლიური შემოსავლის გამოყენებაზე და არა მის დაზოგვაზე.

პილი აღნიშნულ სიტყვაში იყენებს ისეთ რიტორიკულ ხერხებს, როგორებიცაა გამეორება და უარყოფა, რათა მსმენელის ყურადღება გაამახვილოს კონკრეტულ საკითხებზე. ის ამ სიტყვებში ნათლად აყალიბებს თავის სუბიექტურ მოსაზრებასა და დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საქმე ეხება ეროვნულ სიმდიდრესა და საზოგადოების ინტერესებს, რითაც ერთგვარად მანიპულირებს. მცდარი მოსაზრების არგუმენტირებას კი ის ოსტატურად ახერხებს ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის თუ ლოგიკური თანმიმდევრობის რღვევით, რაც გულისხმობს იმას, რომ შედეგი შეიძლება უსწრებდეს მიზეზს, რომლიდანაც ის აღმოცენდა.

მისი სიტყვებს სარწმუნოებას მატებს მისი ერთგვარი სოლიდარობა, თუ დაპირება საზოგადოების მიმართ, რომ ის დაეხმარება მათ ტარიფების წინააღმდეგ ბრძოლაში:

*„I maintain that your true policy is to compete with hostile tariffs by free imports“.*

ამავე სიტყვაში ის ბევრჯერ იმეორებს პირის ნაცვალსახელს „I“ იმის დასტურად, რომ ის ერთგვარ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ სიტყვებზე :

*I boldly maintain; I deny; I so totally differ; I maintain; I say;*

პილი იყენებს ზმნიზებას „Surely“ – ზედიზედ სამჯერ, რათა ხაზი გაუსვას თავისი სიტყვების სარწმუნოებას, სანდოობას. ასევე ის ბევრჯერ იყენებს „the“ განსაზღვრულ არტიკლს და მოდალურ ზმნას „must“, რათა მსმენელის ყურადღება მიაპყროს კონკრეტულ

საკითხებზე და ამავდროულად ხაზი გაუსვას მათ სერიოზულობას. სიტყვის აღნიშნულ მონაკვეთში პილი კვლავ მიმართავს სტილის-ტიკურ ხერხებს – პარალელიზმსა და ანაფორას:

**Surely, the capital of the country is a fund from which the industry of the country must be maintained – surely the industry of the country must be promoted in proportion to the capital which can be employed in its manufactures – surely the augmentation of capital as our population increases must depend on the SAVING of annual revenue (cheers)**

გამოსვლის მეოთხე ნაწილში პილის მსჯელობის ობიექტს მეწაღე და თერძი წარმოადგენენ. აქ ის ეკონომიკურად გაუმართლებელ რჩევებს იძლევა. პილი რომ პირადად გასაუბრებოდა მათ, ამგვარ აბსურდულ დასკვნებს აირიდებდა თავიდან. პილის მცდელობა ამაოა, რადგან არც ერთი მეწაღე და თერძი არ მოტყუვდება ამ აბსურდული მსჯელობით, რომელშიც ის მეწაღესა და თერძს უცხოელისგან საქონლის გაცილებით იაფად შესყიდვას სთავაზობს ნაცვლად იმისა, რომ მათ ერთმანეთს მეტი თანხა გადაუხადონ იმავე საქონლის შესაძენად.

მეწაღემ და თერძმა კარგად იციან, რომ რაიმეს შესაძენად უპირველესად ეს თანხა უნდა გამოიმუშაონ და შემდეგ დახარჯონ ის, და თუ მეწაღე და თერძი ერთმანეთს შრომის ნაყოფს კი არ გაუცვლიან, არამედ მას სხვისგან შეიძენენ, ამით ისინი სარგებელს ვერ ნახავენ, პირიქით, ეს მათ გაკოტრებამდე მიიყვანს. პილს ავიწყდება, რომ, მისგან განსხვავებით, მეწაღისა და თერძის ჯიბეებში ფული მხოლოდ შრომის შედეგად ჩაედინება (ტელიორი, 1849: 24).

პილი თავისი მსჯელობის მეტი სარწმუნოობისთვის ახსენებს პოლიტიკური ეკონომისტის ადამ სმიტის სახელს და ამ მცდარ მსჯელობას სწორედ მის სახელს უკავშირებს. როცა ადამ სმიტი პროდუქციის ადგილობრივი, შიდა წარმოების ნაცვლად მათი სხვა ქვეყნისგან შესყიდვის უპირატესობაზე საუბრობს, ის გულისხმობს, რომ უმჯობესია ადგილობრივი შრომა მოხმარდეს იმ პროდუქციის წარმოებას, რომელიც მეტადაა ხელსაყრელი ქვეყნის შიდა მრეწველობის პოტენციალის გათვალისწინებით.

ადამ სმიტი მიიჩნევს, რომ უგუნურება იქნებოდა, თუ ინგლისელი ხალხი შეეცდებოდა ბამბის ან ყურძნის იმ ჯიშების მოყვანას, რომელთათვისაც ინგლისური კლიმატი შეუფერებელია, რადგან უმჯობესია ამის სანაცვლოდ მეტი ძალისხმევა და შრომა დაიხარ-



ჯოს ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე, ხოლო ეს პროდუქტები შეისყიდონ სხვა ქვეყნისგან (ტეილორი, 1849: 26).

ადიშნული სიტყვის ბოლო ნაწილი შეეხება პურის კანონს, რომელიც მოქმედებდა 1815-1846 წლებში, ამ კანონის უმთავრესს ფუნქციას წარმოადგენდა ინგლისელი ფერმერებისა და მემამულეების ინტერესების დაცვა კონკურენტებისგან და ადგილობრივ პროდუქციაზე იყო აქცენტირებული, რათა ადგილობრივ მწარმოებლებს ადგილობრივ პროდუქციაზე გაზრდილი ფასებით მეტი სარგებელი მიეღოთ, რაც ფაქტიურად გულისხმობდა ხორბლის იმპორტის შეწყვეტას. ამ კანონის მიღებამ გაზარდა სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის ჩართულობა, თუმცა სავაჭრო კომპანიების მოგება შემცირდა, გაჩნდა პროდუქციის დეფიციტი, რამაც ფასების ზრდა განაპირობა.

ხელოვნურად გაზრდილი პურის ფასი ნიშნავდა, რომ მუშათა კლასს თავის გასატანად შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ ხორბალზე უნდა ეხადა. მათ საწარმო საქონლის შესამენად თანხა აღარ რჩებოდათ, რის გამოც საწარმოების დიდი ნაწილი დაიხურა. მუშათა გარკვეულმა ნაწილმა სამსახური დაკარგა, ხოლო ზოგიერთი საწარმოს მუშებს შეუმცირდათ ანაზღაურება, რასაც მუშათა გაფიცვები მოჰყვა. ამან საყოველთაო არეულობა გამოიწვია და ქვეყანაში ეკონომიკურად მძიმე სიტუაცია შეიქმნა.

1845-1852 წლის ირლანდიის კარტოფილის შიმშილობამ ბრიტანეთის მთავრობა ამ კანონის გაუქმების აუცილებლობაში დაარწმუნა. პილს წილად ხვდა ამ კანონის გაუქმება, რის გამოც ის მისმა თანაგუნდელებმა მოღალატედ ცნეს და მისი პარტიაც გაიხლიჩა.

პილი ამბობს, რომ ის მძიმე განსაცდელი, კრიზისული პერიოდი, რომელიც ხალხმა გამოიარა არ იყო ნაწინასწარმეტყველები არც ერთი პოლიტიკოსის თუ სახელმწიფო მოხელის მიერ. იგი წარუმატებლობას, კრიზისს, მხოლოდ ღვთის განგებას, უფლის ნებას მიაწერს და ამავდროულად პირფერობით ცდილობს საზოგადოების ნდობის მოპოვებას და ამბობს, რომ მათი ხსნა, შველა მხოლოდ მათივე ძალისხმევით მოხდა. პილი ამბობს, რომ სწორედ მათი, საზოგადოების, ძალისხმევის შედეგია, რომ ბრიტანელი ხალხის სიმშვიდე, კეთილდღეობა დგას სამართლიანობაზე. ეს მაშინ, როცა განხეთქილება, სიღარიბე, სიღატაკე მძვინვარებდა საზოგადოებაში. აღნიშნული მონაკვეთიდან კარგად იკვეთება, თუ როგორ წარმატებით გამოიყენა პილმა მცირე რელიგიური ექსკურსი თავისი მიზნის მი-

საღწევად, რადგან მის ამ სიტყვებს აუდიტორია მხურვალე ოვაციებით შეხვდა:

*„But, Sir, it was no act of a sagacious minister. Great and coming crisis was not foreseen by any statesman. It was not a lucky accident. My belief is, that it pleased Almighty God to listen to your prayers to turn scarcity and dearth into cheapness and plenty,(Cheers) and so to direct and prosper your consultations on the brink of a great precipice, and on the coming of a tremendous calamity, that you established peace and happiness on the foundations of truth and justice. You have reaped the reward of that policy. You have passed unscathed through the sternest trials to which the institutions of any nation were ever subjected. You stood erect amid the convulsions of Europe and now you are to have a proposal made to you of some paltry fixed duty”*(ტილორი, 1849: 39).

